ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
კვლევის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების და მათი დისფუნქციურობის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა

2021 წელი

კვლევა განხორციელდა პროექტის „უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**
კვლევის ანგარიშის ავტორი: **ხატია ჭანიშვილი**
კვლევის ჯგუფი: **იაგო კაჭკაჭიშვილი (კვლევის კონსულტანტი), ხატია ჭანიშვილი, სალომე ჭიჭინაძე**
რედაქტორი: **ნათია მენაბდე**

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 6

სოციალური დისფუნქციის ემპირიული ინდიკატორები..... 9

შემაჯამებელი დასკვნა.....10

კვლევის ძირითადი მიგნებები 11

- რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი 11
- ბავშვთა საჭიროებები და აღზრდის პროცესი.....12
- სოციალიზაციის თავისებურებები 12
- განათლებაზე ხელმისაწვდომობა 13
- ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა 14
- დისფუნქცია და მისი გამომწვევი მიზეზები 14
- სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკა და არსებული სერვისები.....15

ძირითადი შედეგები.....15

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერა 15

- დასაქმება და შემოსავლის წყარო 16
- ოჯახების წინაშე არსებული გამოწვევები.....19

ბავშვის აღზრდა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები.....21

- ბავშვის საბაზისო საჭიროებები 24
- ბავშვის განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესი 27
- ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები და აღზრდის მეთოდები.....33
- ბავშვთა მიმართ ძალადობა.....36

ბავშვთა განათლება.....39

სკოლამდელი განათლება 39
სასკოლო განათლება 42
ინკლუზიური განათლება 48
არაფორმალური განათლება 50
მშობლის ჩართულობა შვილის/შვილების განათლების პროცესში 52
მშობელთა განათლება 53
ჯანმრთელობის დაცვა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები 55
ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა 55
მშობლის ფსიქოემოციური მდგომარეობა 58
დისფუნქციური ქცევა და მისი შედეგები 60
მიგრაცია და ბავშვთა შრომა 62
სახელმწიფო სოციალური პროგრამები და მათი ეფექტურობა 65
რეკომენდაციები 69

შესავალი

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბავშვიანი ოჯახებისთვის მხარდამჭერი სისტემების შექმნა და განვითარება. მხარდამჭერ სისტემებში იგულისხმება ის ფულადი/არაფულადი მომსახურებები, რომლებიც ეხმარება ოჯახებს, დააკმაყოფილონ ბავშვის აღზრდა-განვითარებასთან დაკავშირებული მზარდი საჭიროებები. როგორც ბავშვის უფლებათა კოდექსშია მითითებული, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამები გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებულ პროგრამებს, რომლებიც ემსახურება ბავშვების გაძლიერებისა და დაცვის მიზნით პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას მათი საუკეთესო ინტერესების, მონაწილეობის, სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, განვითარების, განათლების, სათანადო საცხოვრებელი პირობების, სოციალური დაცვისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, უთანასწორო მოპყრობის გარეშე“. კოდექსი ყურადღებას ამახვილებს ოჯახის მხარდამჭერ პროგრამებზეც და ხაზს უსვამს, რომ ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა ერთჯერადი ხასიათის არ უნდა იყოს. იგი მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვისა და მისი ოჯახის გაძლიერებას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების მდგრად უზრუნველყოფას. ამ მიზნით კოდექსი აყალიბებს ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით განსახორციელებელ ჩარჩო-პროგრამების ჩამონათვალს. ესენია:

ა) ბავშვის აღზრდისა და განვითარების პოზიტიური მეთოდების გამოყენების, ბავშვთან არაძალადობრივი კომუნიკაციისა და ბავშვის უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი საინფორმაციო, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები;

ბ) მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური მხარდამჭერი ღონისძიებები ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და გარემოებების გათვალისწინებით;

გ) პოზიტიური მშობლობისა და ბავშვზე ზრუნვის უნარ-ჩვევების გაძლიერების კურსები; ოჯახური თანაცხოვრების, ოჯახური დავისა და განქორწინების დროს კონსულტირება;

დ) მშობლისთვის პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზება;

ე) დამხმარე სოციალური სერვისები (დღის ცენტრი, მედიაციისა და შერიგების სერვისები ოჯახური დავის დროს, მკურნალობის კურსი ალკოჰოლიზმის, ნარკოტიკზე დამოკიდებულების ან სხვა ფსიქოემოციური საჭიროების დროს, სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა დასაქმებული და მარტოხელა მშობლისთვის), მათ შორის, თემზე დაფუძნებული სერვისები;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებების ადრეული იდენტიფიკაციის, ინდივიდუალური შეფასებისა და სათანადო მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის, ბავშვის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები.[1]

ის გარემოება, რომ ბავშვიანი ოჯახები ყველაზე მეტად საჭიროებენ მიზნობრივი დახმარების სისტემებს, დასტურდება არაერთი კვლევით, რომლებიც აჩვენებს, რომ ქვეყანაში ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს ისეთ შინამეურნეობაში, სადაც ვერ კმაყოფილდება მათი საბაზისო საჭიროებები (მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა. გაეროს ბავშვთა ფონდი. 2017).[2] ხოლო მონეტარული დახმარების სისტემა ვერ პასუხობს ამ ოჯახებისა და ბავშვების სასიცოცხლო და განვითარებაზე ორიენტირებულ საჭიროებებს. დღეის მდგომარეობით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღებად რეგისტრირებულია 142,870 ოჯახი (510,343 პირი), მათ შორის, 16 წლამდე ასაკის პირები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 119,373-ს.[3]

სიღარიბის თემა აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ ოჯახებში მესამე/მეოთხე თაობა იზრდება სიღარიბეში, რაც კიდევ უფრო მეტი გამოწვევის წინაშე აყენებს იქ მცხოვრებ ბავშვებს. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ, გარდა ფინანსური რესურსის მწვავე ნაკლებობისა, ბავშვიანი ოჯახების წინაშე დგას სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებზედაც, არაერთი წელია, საუბრობენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირები, სოციალური მუშაკები. ეს პრობლემები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- დედა და მამა არ ფლობენ მშობლობის საბაზისო უნარებს (არ იციან, როგორ განსაზღვრონ და დააკმაყოფილონ ბავშვის კვების, ჰიგიენის, უსაფრთხოების საჭიროებები);
- არ იციან პოზიტიური მშობლობისა და არაძალადობრივი აღზრდის მეთოდების შესახებ;

[1] https://www.matsne.gov.ge/document/view/4613854?publication=1

[2] https://www.unicef.org/georgia/media/1036/file/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%202017.pdf

[3] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1477

- არ შეუძლიათ, განსაზღვრონ შვილების განათლებისა და განვითარებისთვის საჭირო პირობები, ან შესთავაზონ ისინი;
- მშობლების უმუშევრობა.

ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს იმ ბავშვების სპეციფიკური საჭიროებები და პრობლემები, რომელთა მშობლები (ძირითადად – დედები) გასულნი არიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ – იმყოფებიან შრომითი მიგრაციაში, რის გამოც ირღვევა დედა-შვილის ემოციური და ფიზიკური კავშირი. დედა ვეღარ მონაწილეობს შვილის აღზრდის პროცესში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებული და სხვა დისფუნქციის მქონე მამების ან ხანდაზმული ბებიის/ბაბუის მზრუნველობის ამარა, რაც, გარდა ზემოაღნიშნული არასასურველი გამოცდილებისა, დამატებით პრობლემებს უქმნის ბავშვის განვითარებას. აღნიშნულ საკითხზე არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება ჩვენი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ წინა კვლევებში (მაგალითად, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების აღსრულების შეფასება“), როდესაც სფეროში ჩართული სპეციალისტები: ბაღის აღმზრდელები, პედაგოგები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები საუბრობდნენ ბავშვების გართულებულ ფსიქოემოციურ/ქცევით მახასიათებლებზე, რომელთა მიზეზადაც სახელდებოდა მშობლების (დედის) შრომითი მიგრაციის ფაქტები.

მოცემული პრობლემური სფეროების მიმართულებით, კონკრეტული მიზნობრივი მხარდამჭერი სისტემების განვითარების მიზნით, ორგანიზაციამ დაგეგმა და განახორციელა **გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები სოციალური დისფუნქციის მქონე ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევა**.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანი** იყო **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების და მათი დისფუნქციურობის განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა.**

კვლევის ამოცანები:

- ოჯახებში არსებული სოციალური დისფუნქციის ჩარჩოს განსაზღვრა;
- ოჯახებში არსებული დისფუნქციების განმაპირობებელი გარემოებების დადგენა;
- სოციალური მხარდაჭერის პროგრამების (ფულადი/არაფულადი სისტემების) ეფექტურობის დადგენა/განსაზღვრა სოციალური დისფუნქციების მქონე ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების გათვალისწინებით.

კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ შემდეგი სოციალური ჯგუფები:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების სრულწლოვანი წარმომადგენლები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების არასრულწლოვანი წარმომადგენლები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სრულწლოვანი წარმომადგენლები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ოჯახების არასრულწლოვანი წარმომადგენლები;
- სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელები/ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები/ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო/სახელისუფლო სფეროს წარმომადგენლები/სოფლის რწმუნებულები და სოციალური მუშაკები;
- ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს ექსპერტები.

ინფორმაციის მოპოვების მეთოდები და კვლევის ეტაპები

საწყის ეტაპზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია ოზურგეთის მუციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები 0-დან 65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე (მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები ბავშვიანი ოჯახები), ასევე, 65001-დან 100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბავშვიანი ოჯახების საერთო რაოდენობის შესახებ, რის შემდეგაც შეირჩა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლები წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით:

- რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებით დასახლებული სოფლები;
- მაღალმთიანი/ზარის სოფლები (ტერიტორიული პრინციპით);
- მრავალკომლიანი/მცირეკომლიანი სოფლები;
- სოფლები, რომლებშიც სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მრავალი ოჯახი ცხოვრობს.

კვლევაში ჩართული იყვნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 22 სოფლის წარმომადგენლები, სულ – 111 რესპონდენტი.

კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და ჯგუფური ინტერვიუ.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუ რა წარმოადგენს ბავშვიანი ოჯახების სოციალური დისფუნქციის ემპირიულ ინდიკატორებს, კვლევის საწყის ეტაპზე ჩატარდა ორი სიღრმისეული ინტერვიუ სფეროს ექსპერტებთან, რომელთა გაანალიზების შემდეგაც ჩამოყალიბდა კრიტერიუმები, თუ რა კატეგორიის ოჯახები შეიძლება ჩაითვალოს დისფუნქციურად და რა არის დისფუნქციურობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

კვლევის მეორე ეტაპზე გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები – ფოკუს-ჯგუფი და ჯგუფური ინტერვიუ. პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, შეხვედრების დიდი ნაწილი გაიმართა online-რეჟიმში, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. ვინაიდან სამიზნე ჯგუფებს მეტწილად წარმოადგენდნენ მოწყვლადი ოჯახების წარმომადგენლები, სირთულეს წარმოადგენდა მათი მობილიზება და ჩართვა ონლაინ-სივრცეში; შესაბამისად, შეხვედრებს გაეწია ორგანიზება და მათი ნაწილი რეალურ სივრცეში ჩატარდა, ნაწილი – ვირტუალურში.

კვლევის ინსტრუმენტად მოდერატორის მიერ გამოყენებული იყო წინასწარ შემუშავებული დისკუსიის გზამკვლევი, რომელიც მოიცავდა ძირითად საკვანძო საკითხებს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა, საშუალოდ, 8-12 ადამიანს, ხოლო ჯგუფური ინტერვიუს შემთხვევაში – 4-6 რესპონდენტს. შეხვედრები გრძელდებოდა დაახლოებით 1,5-2 საათს. ჩატარდა ფოკუს-ჯგუფების აუდიო- და ვიდეოჩაწერა, რის შესახებაც რესპონდენტები ინფორმირებულნი იყვნენ. საველე სამუშაოების შესრულების შემდეგ მომზადდა ფოკუს-ჯგუფების ჩანაწერების ტრანსკრიპტები, რომლებიც დამუშავდა და გაანალიზდა პროგრამა Nvivo-ს გამოყენებით.

სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 22 შეხვედრა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან. აქედან 7 იყო ფოკუს-ჯგუფი, 13 – ჯგუფური ინტერვიუ და 2 – სიღრმისეული ინტერვიუ.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგები იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- რა ტიპის ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო, განვითარების, სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებები აქვთ სოციალური დისფუნქციის მქონე ოჯახებს, რაც ზეგავლენას ახდენს ბავშვების ზრდა-განვითარებაზე;
- რა განაპირობებს ოჯახში არსებულ დისფუნქციებს;
- რამდენად აკმაყოფილებს/უპასუხებს არსებული ფულადი/არაფულადი მხარდაჭერის სისტემები (ადგილობრივ/ცენტრალურ დონეებზე) სოციალური დისფუნქციის მქონე ბავშვიანი ოჯახების სპეციფიკურ საჭიროებებს.

სოციალური დისფუნქციის ემპირიული ინდიკატორები

როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, **რა კატეგორიის ოჯახები შეიძლება ჩაითვალოს სოციალური დისფუნქციის მქონედ.** შესაბამისად, კვლევის საწყის ეტაპზევე დადგინდა ოჯახების დისფუნქციის მახასიათებლები პოტენციური რესპონდენტების შერჩევის მიზნით. სფეროს ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების გაანალიზების შემდეგ გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომელთა დარღვევა/არქონა, უმეტეს შემთხვევაში, განაპირობებს ბავშვიანი ოჯახების დისფუნქციას, კერძოდ:

- ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა – ოჯახის წევრების დასაქმება, ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო და სხვ.;
- ბავშვის საბაზისო საჭიროებებების დაკმაყოფილება – კვებისა და ჯანმრთელობის საჭიროებების უზრუნველყოფა, ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობის ქონა, უსაფრთხო საცხოვრებლის არსებობა;
- დასაქმება – მშობლის/მშობლების შრომითი მიგრაცია, ბავშვთა შრომა;
- მშობლობის უნარ-ჩვევები – ცოდნა ბავშვის საბაზისო და განვითარებაზე ორიენტირებული საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართულებით, ოჯახში უსაფრთხო ემოციური გარემოს შექმნა;
- მხარდამჭერი ქსელის არსებობა – თანადგომის ქსელის შექმნის შესაძლებლობა და მისგან მიღებული ფულადი/არაფულადი დახმარება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობა – მშობლის/ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობები.

გარდა ამისა, ექსპერტებმა დაასახელეს ფაქტორები, რომელთა არსებობა ზრდის ოჯახების დისფუნქციურობის ხარისხს:

- მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონა/ობლობა;
- ოჯახის წევრების მიერ ალკოჰოლური სასმლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, დამოკიდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ინსტრუმენტი მთლიანად მორგებულია ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე და ანგარიშშიც სწორედ ამ ფაქტორებზე არის გამახვილებული ყურადღება.

შემაჯამებელი დასკვნა

საბოლოო ჯამში, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სოციალური დისფუნქციის კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ოჯახებში ვლინდება.

გამოიკვეთა, რომ ოჯახებისთვის მთავარი გამოწვევა მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. აღნიშნული კი, როგორც უკვე ითქვა, სოციალური დისფუნქციის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი კი უმუშევრობაა. ოჯახის არასტაბილური შემოსავალი, ხშირ შემთხვევაში, ვერ აკმაყოფილებს ოჯახის წევრების, განსაკუთრებით ბავშვების, საბაზისო საჭიროებებს, რაც კიდევ უფრო ზრდის დისფუნქციის რისკს.

მატერიალურ არასტაბილურობასა და არასაკმარის ფინანსებთან ერთად იკვეთება არსებული ბიუჯეტის განკარგვის შესაძლებლობის უნარის არქონა, რაც კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის იმ ბავშვებს, რომლებიც ამ ოჯახებში ცხოვრობენ. აღნიშნული უარყოფითად აისახება ბავშვთა განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესზე, რადგან ამ დროს ირღვევა ბავშვის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება. ეს კი ბავშვებს აქცევს საზოგადოების მარგინალიზებულ ჯგუფად, რაც ზრდის მათ მიმართ ბულინგის წარმოქმნის შესაძლებლობას.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სიღარიბე უბიძგებს ოჯახებს, დასაქმების სხვადასხვა გზას მიმართონ. უმეტესად, არჩევანი არცთუ ისე მრავალფეროვანია, რის გამოც ოჯახების წარმომადგენლებს უწევთ საზღვარგარეთ სამუშაოს მოძიება როგორც ოჯახის სრულწლოვანი წევრებისთვის, ასევე ბავშვებისთვისაც, რომლებიც შემდგომ ერთვებიან ხშირად მათთვის საზიანო შრომაში. აღნიშნული გარემოება ზრდის რისკს, რომ არასრულწლოვანი მოსწყდეს სასკოლო პროცესს, ეს კი აქვეითებს განათლებაზე მისი ხელმისაწვდომობის ხარისხს. ამასთან, მძიმე შრომა ქმნის არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფრთხეს. მიუხედავად ამისა, ოჯახები, ხშირ შემთხვევაში, უგულებელყოფენ და/ან ვერ იაზრებენ აღნიშნულ საშიშროებას, რადგან მათთვის პრიორიტეტი არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რათა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება მაინც შეძლონ.

სოციალურად მოწყვლადი ოჯახები ნაკლებად განიხილავენ სახელმწიფო ინსტიტუტებს, როგორც მხარდამჭერებს, და მიუთითებენ არსებული სერვისების არაეფექტურობაზე. რესპონდენტები აქცენტს სვამენ ერთჯერად ან ხანგრძლივ ფულად დახმარებაზე, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ოჯახების კეთილდღეობას. ამის საპირწონედ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირები ასახელებენ მატერიალურ/არამატერიალურ სერვისებს,

რომლებიც მათ ხელს შეუწყობს, ხანგრძლივად დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რომ თავად შეძლონ შემოსავლის მიღება. ასეთ სერვისებად ისინი მიიჩნევენ, მაგალითად, მუნიციპალიტეტის მიერ ოჯახებისთვის სახნავ-სათესი მიწის გადაცემას, მოწყვლადი ოჯახებისთვის გრანტების შეთავაზებას მცირე ბიზნესის დასაწყებად, ასევე ადგილობრივ დონეზე სამუშაო ადგილების შექმნას, რაც სტაბილურობის შექმნისა და სიღარიბის დაძლევის გარანტი იქნება.

კვლევის ძირითადი მიგნებები

რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

- კვლევაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობა გაფართოებული ტიპის ოჯახის წარმომადგენელია. სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის რესპონდენტები მეტწილად მრავალშვილიანი და/ან მარტოხელა მშობლები არიან. თუმცა ოჯახის ამგვარი კონფიგურაცია არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლადს დისფუნქციურობასთან მიმართებით.
- კვლევაში ჩართული მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირები და მათი ოჯახის წევრები უმეტესად არ არიან დასაქმებულნი. მათი ძირითადი შემოსავალი მიზნობრივი სოციალური დახმარება და სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებით მოპოვებული ანაზღაურებაა.
- მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირების უმეტესობას აქვს საზღვარგარეთ (უმეტესად – თურქეთში) დასაქმების გამოცდილება. აღნიშნული ფასდება საკმაოდ მძიმე შრომად; ამასთან, ეს დაკავშირებულია სხვა სირთულეებთან, როგორიცაა არასრულწლოვანი შვილის/შვილების დატოვება ოჯახის სხვა წევრებთან/ნათესავებთან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, მიზნობრივი სოციალური დახმარების მოხსნის საფრთხე და ა.შ.
- პანდემიის პირობებში მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირების ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან მათ შეეზღუდათ საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობა.
- მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირები ვერ ახერხებენ სტაბილური სამუშაო ადგილის პოვნას და ამის რამდენიმე მიზეზს გამოყოფენ. ესენია: სამუშაო ადგილების სიმცირე მუნიციპალიტეტში, აღნიშნული პირების მწირი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება; მათი ან/და შვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა; მცირეწლოვანი შვილის ყოლა, რომელიც მუდმივ ყურადღებას საჭიროებს.
- კვლევაში ჩართული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ფინანსების ნაკლებობა, თუმცა, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფისთვის დამატებითი მწვავე პრობლემაა საცხოვრებლის არქონა ან არსებული საცხოვრებლის მძიმე ავარიული მდგომარეობა, ასევე, საბანკო ვალდებულებები ან კერძო პირებისგან აღებული ვალი.

ბავშვთა საჭიროებები და აღზრდის პროცესი

- რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა ბავშვის აღზრდის პროცესში მთავარ აქტორად მოიაზრებს დედას, რომელსაც აქვს მეტი პასუხისმგებლობა, აკონტროლოს, იზრუნოს ბავშვზე და უზრუნველყოს მისი საჭიროებების დაკმაყოფილება; თუმცა, მატერიალური კუთხით საჭიროებების დაკმაყოფილება, უმეტესად, მამაკაცის მოვალეობად აღიქმება. სავარაუდოდ, სწორედ ეს განაპირობებს იმ გარემოებასაც, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტ ქალთა დიდი ნაწილი (მათ შორის, სოციალური სტატუსის არმქონე პირები) არ არის დასაქმებული, რადგან ისინი თავიანთ მთავარ მოვალეობად შვილების აღზრდას ასახელებენ.
- ოჯახები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე, აღნიშნავენ, რომ უმეტეს შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებენ ბავშვის ისეთ საბაზისო საჭიროებას, როგორიცაა კვება. რესპონდენტები პრობლემურ საკითხებად გამოყოფენ ბავშვების ტანსაცმლით უზრუნველყოფას, ჰიგიენური ნორმების დაცვას, საცხოვრებელ სახლში არსებული პირობებსა და განათლების პროცესში საჭირო რესურსების არარსებობას.
- რესპონდენტები ბავშვის აღზრდის პროცესში იყენებენ დისციპლინის დაცვის სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც უმეტესად იცვლება ახალგაზრდის ასაკის მატებასთან ერთად. მონაწილეები გამორიცხავენ ფიზიკური დასჯის ფორმებს და აქცენტს უმეტესად სვამენ წახალისებაზე, როგორც უფრო ეფექტურ მიდგომაზე.

სოციალიზაციის თავისებურებები

- სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივი დახმარების მიმღები ოჯახების შვილები ხშირად ხდებიან მარგანალიზებულნი იმ გარემოში, რომელშიც გადიან სოციალიზაციის პროცესს. ამის მიზეზები შემდეგია: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახური პირობები, სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეები. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას კი პედაგოგები, ძირითადად, ვერ ახერხებენ, რადგან ისინი, მეტწილად, არ ფლობენ ინფორმაციას მსგავსი რთული საკითხების მოგვარების სტრატეგიების შესახებ.
- კვლევაში ჩართული რესპონდენტები ძალადობის არსის, მნიშვნელობის და ფორმების შესახებ ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც მიიჩნევენ, რომ ძალადობრივი აღზრდის მეთოდები ნეგატიურად აისახება ბავშვის განვითარებასა და მის სოციალიზაციაზე.
- რესპონდენტებს აქვთ ინფორმაცია თემში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ, თუმცა ძალიან მცირეა რეფერირების რიცხვი. რესპონდენტებისთვის ძალადობის ფაქტზე შეტყობინება საფრთხეს უკავშირდება, რადგან ხშირად ეს ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური; შესაბამისად, მათ არ

აქვთ დაცულობის შეგრძნება, რაც მთავარი ბარიერია შესაბამისი სტრუქტურებისთვის ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების გადაწყვეტილების მიღებისას.

- როგორც სოციალურად დაუცველი კატეგორიის, ისე სოციალურად დაუცველი სტატუსის არმქონე ბავშვების მშობლები საუბრობენ ბავშვის უფლებების მნიშვნელობაზე, თუმცა უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ გარემოების გამო, რომ ბავშვები ცდილობენ, უფლებებზე აპელირებით აისრულონ სურვილები და დაიკმაყოფილონ ინტერესები. მათი აზრით, ბავშვებს არ აქვთ გაცნობიერებული, რომ უფლებების ქონასთან ერთად მათ ეკისრებათ მოვალეობები, რომლებიც უნდა შეასრულონ.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა

- ბავშვის სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან საფეხურად სახელდება სკოლამდელი განათლება. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები კმაყოფილი არიან სააღმზრდელო პროცესით და მიიჩნევენ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები აკმაყოფილებს ბავშვის საჭიროებებს. ძირითად პრობლემად დასახელდა ბაღების მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსების ნაკლებობა.
- ზოგადი განათლება რესპონდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურია ბავშვის განვითარების პროცესში. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მშობლები კმაყოფილი არიან პედაგოგების მუშაობის ხარისხით, თუმცა, იმ გარემოებას, რომ მათი შვილები საჭიროებენ რეპეტიტორთან მომზადებას, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, ხსნიან საგნების/ პროგრამის სირთულით.
- პანდემიის პირობებში მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების შვილებს განსაკუთრებით შეეზღუდათ განათლების მიღების შესაძლებლობა, რადგან მათ არ ჰქონდათ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა (ტელეფონი, კომპიუტერი, პლანშეტი) და/ან ინტერნეტი, რის გამოც ბავშვების ნაწილი სასწავლო პროცესის მიღმა დარჩა.
- სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივი დახმარების მიმღები ოჯახები ბავშვის განვითარებასა და განათლებას შორის ტოლობის ნიშანს სვამენ. მათთვის განათლების მიღება განვითარების მთავარი საფუძველია. მშობელთა უმეტესობა არ ფლობს ინფორმაციას ბავშვის ადრეული და შემდგომი განვითარების საფეხურების შესახებ.
- მშობლები, რომელთა შვილები ჩართული არიან ინკლუზიური განათლების პროგრამაში, ხედავენ სკოლაში ინდივიდუალური ასისტენტისა და ფსიქოლოგის საჭიროებას, რათა მათმა შვილებმა უკეთ შეძლონ ინტეგრირება თანატოლებთან და დაკმაყოფილდეს მათი ძირითადი საჭიროებები.
- რესპონდენტები მიუთითებენ არაფორმალური განათლების სიკეთეზე ბავშვის განვითარების პროცესში, თუმცა სახელმწიფოსგან მიზნობრივი სოციალური

დახმარების მიმღები ოჯახების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს არაფორმალური განათლების ინსტიტუტებში შვილების ჩართვას, რადგან ეს დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან.

- არაფორმალური განათლების ცენტრები მეტწილად თავმოყრილია მუნიციპალურ ცენტრში (ქ. ოზურგეთში) და არა თავად სოფლებში. შესაბამისად, გარდა ეკონომიკური პრობლემებისა, თავს იჩენს ტრანსპორტირების საკითხიც, რომელიც ერთ-ერთი შემაფერხებელი ბარიერია იმისა, რომ მოზარდი, სკოლის გარდა, დაკავებული იყოს სხვა საქმიანობით.
- სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის მშობლებს სრული ან არასრული საშუალო განათლება აქვთ მიღებული. სწავლის გაგრძელების შემაფერხებელ ფაქტორად რესპონდენტები უმეტესად ასახელებენ დაოჯახებასა და შვილის გაჩენას.
- რესპონდენტები ნაკლებად გამოთქვამენ სურვილს, დაეუფლონ ახალ პროფესიას, ან ჩაერთონ საგანმანათლებლო ტრენინგებში, რის მიზეზადაც დროის უქონლობას მიიჩნევენ.

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა

- დიდ ნაწილს კვლევაში ჩართული რესპონდენტებისა, რომლებიც სახელმწიფოსგან იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, ჰყავს შვილები, რომლებიც, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებენ სპეციფიკურ მოვლასა და გარემოს.
- რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ხშირად ირღვევა მათი და მათი შვილების ჯანმრთელობის დაცვის უფლება. ამის მიზეზი, უმეტესად, ძვირად ღირებული სამედიცინო პროცედურები და მედიკამენტები ხდება, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ ანაზღაურებს.

დისფუნქცია და მისი გამომწვევი მიზეზები

- კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დიდი ნაწილის ცოდნა ოჯახური დისფუნქციის შესახებ საკმაოდ მწირია.
- კვლევაში ჩართული სოციალური მუშაკების თქმით, გურიაში ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანა თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ უკავშირდება მხოლოდ ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და სიღარიბეს. ამის მიზეზია მშობლების დისფუნქციურობა.
- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მე-9 და უფრო მაღალი კლასების მოსწავლეებს აქვთ როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება.

- პედაგოგების ნაწილი დადებითად აფასებს ბავშვთა შრომას, რის მიზეზადაც ასახელებენ ბავშვში შრომისმოყვარეობის განვითარების შესაძლებლობას და ოჯახის დახმარების სურვილის ქონას.
- სოციალური მუშაკები მიუთითებენ, რომ ბავშვები, რომელთა მშობლებიც დასაქმებული არიან საზღვარგარეთ, მიდრეკილნი ხდებიან დეპრესიისა და აგრესიისკენ, რასაც ასაბუთებენ შესაბამისი ფაქტებით.

სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკა და არსებული სერვისები

- გამოიკვეთა გამოწვევები ადგილობრივ დონეზე უწყებებს შორის თანამშრომლობის მიმართულებით. სოციალური მუშაკები მიუთითებენ, რომ მერის წარმომადგენლები სოფლად არ ფლობენ სრულ ინფორმაციას თავიანთ თემში მცხოვრები მოწყვლადი ოჯახების საჭიროებების შესახებ; ასევე, ნაკლებად იცნობენ სოციალური სამსახურის ფუნქციებს, რაც აფერხებს სოციალურად მოწყვლადი ოჯახების გამოვლენისა და დახმარების შესაძლებლობას.
- მერის წარმომადგენლების თქმით, ისინი არსებული ბიუჯეტისა და პროგრამების ფარგლებში ცდილობენ, დაეხმარონ საკუთარ თემში მცხოვრებ სოციალურად მოწყვლად ოჯახებს. გარდა ამისა, ისინი ურთიერთობას ამყარებენ ბიზნესის წარმომადგენლებთან, რათა იმ ოჯახების დახმარებაც შეძლონ, რომლებიც გარკვეული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო ვერ სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით. შესაბამისად, არსებულ პირობებში მერის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ თავიანთ მუშაობას ამ კუთხით.
- მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირები არაეფექტურად მიიჩნევენ ქვეყნის სოციალური დაცვის პოლიტიკას. ისინი გამოთქვამენ სურვილს, სახელმწიფოს მხრიდან მიიღონ ისეთი შემოთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის სტაბილურ სამუშაო ადგილებს, შესაბამისად, მათ ოჯახებს – შემოსავლით.

ძირითადი შედეგები

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერა

კვლევაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობა ცხოვრობს გაფართოებული ტიპის ოჯახში, რომელიც აერთიანებს რამდენიმე თაობას და, ძირითადად, შედგება სამზე მეტი წევრისგან. ესენია ბებია-ბაბუა, მშობლები და შვილი/შვილები. აღსანიშნავია ისიც, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ძირითადად, სწორედ გაფართოებულ ოჯახებს ვხვდებით; შესაბამისად, რესპონდენტების ოჯახების შემადგენლობა, საშუალოდ, მერყეობს 5-7 წევრს შორის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კვლევაში ჩართული სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები (რომლებიც ასევე მეტწილად გაფართოებული ტიპის

ოჯახებში ცხოვრობენ), ძირითადად, არიან მრავალშვილიანი მშობლები, რომლებსაც ჰყავთ 4 ან მეტი შვილი, რაც ნაკლებად დამახასიათებელია სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე რესპონდენტებისთვის, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, ჰყავთ 2 ან 3 შვილი.

დასაქმება და შემოსავლის წყარო

კვლევაში ჩართული სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები და მათი ოჯახის წევრები, ძირითადად, დასაქმებული არ არიან. მათი ერთადერთი შემოსავალი, უმეტესად, არის სოციალური შემწეობა და/ან ოჯახის წევრების პენსია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რესპონდენტების თქმით, ისინი ცდილობენ, მოიძიონ სამუშაო ადგილები, რომლებიც არ მოითხოვს დასაქმების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას და/ან ანაზღაურების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვას, რადგან, თუ მათ გასამრჯელო ბანკში ჩაერიცხებათ, ეს მათთვის სოციალური შემწეობის მოხსნის/შეწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდეს. მეტწილად, ისინი დასაქმებული არიან საკუთარ ან სხვა თემში სეზონურ და/ან დღიურ სამუშაოზე, როგორიცაა თხილის მოსავლის აღება, სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (თესვა, ხვნა და სხვ.), დამხმარე მუშახელის პოზიცია მშენებლობაზე, ავტომომსახურების ცენტრებში და სხვ.

„ჩემი ქმარიც რაღაც 20 ლარს გააკეთებს. ეგეც ყოველთვის არაა, არ აქვს სამუშაო, თუკი ვინმემ დაუძახა სამუშაოდ, ეგაა. ბარზეა თუ თოხზეა, მაგაზე მუშაობს, მეტი არ შეუძლია... დედამთილი პენსიონერია, მაგრამ მისი პენსია მას არ ყოფნის“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„თხილში [ვმუშაობ] ზაფხულში, ჩაის ბიზნესი აქვთ კიდე სოფელში და სეზონურად, 25 ადამიანი მუშაობს, მაგრამ ეგ 3 თვეც არ გამოდის. ისიც, ისეთი უნდა იყო, ტვირთის თრევაც უნდა შეგეძლოს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

რესპონდენტების თქმით, გარდა იმისა, რომ არ არსებობს მათთვის სამუშაო ადგილები, თავს იჩენს სხვადასხვა პრობლემა, კერძოდ:

- ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა – რესპონდენტების თქმით, მათი ოჯახის წევრებს, ხშირ შემთხვევაში, არ შეუძლიათ ფიზიკური შრომა, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევთ. ამიტომ ოჯახს ვერ მატებენ მატერიალურ დოვლათს, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

„ბავშვი გვყავს ჯანმრთელობის პრობლემით, აქვს თირკმლის პრობლემა, ნეფრიტი. მეც ართროზი მაქვს და ათასში ერთხელ თუ ვიმუშავებ. ვართ სოციალურ დახმარებაზე.

ძირითადად, ამით გაგვაქვს თავი და ხანდახან თუ გამოჩნდება დამატებითი სამუშაო, მაშინ კი ვმუშაობ“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ძირითადად, საავადმყოფოში ვარ, ხან ონკოლოგიურში... წელს ბათუმშიც აღმოვჩნდი ახალი წლის წინა პერიოდში. ძალიან ცუდი ჯანმრთელობა მაქვს, წამლები მჭირდება. ჩემს წამალს უნდა 85 ლარი. სოციალური დახმარებიდან როგორ უნდა მოვახერხო, რომ წამალიც ვიყიდო, ბავშვსაც მივხედო და გადასახადებიც გადავიხადო?!“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

- ბავშვის აღზრდის პროცესი – კვლევაში ჩართული რესპონდენტების დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ ქალები, რომელთა თქმით, შვილის აღზრდის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, მათ არ ჰყავთ დამხმარე, რომელიც დღის განმავლობაში დარჩება ბავშვებთან ერთად. გარდა ამისა, მშობლები, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის მქონე შვილები, ამბობენ, რომ ვერ შეძლებენ მუშაობის დაწყებას, რადგან ვერ დატოვებენ შვილებს, გამომდინარე იქიდან, რომ მათ არ აქვთ ძიძის დაქირავების შესაძლებლობა. ამასთან, მათი შვილები გამოხატავენ დედასთან ყოფნის სურვილს.

„ბავშვებთან ვზივარ სახლში, ვარ დიასახლისი. იმიტომ რომ ჩემს შვილს სჭირდება და ვერ გავდივარ მაგის გამო სადმე. ასე რომ, ბავშვთან მიწევს ყოფნა. მეუღლე შიგადაშიგ მუშაობს ხოლმე. ჰქონდა ადგილები, სადაც მუშაობდა. არის ხელოსანი, მუშაობდა, აკეთებდა მანქანებს პროფილაქტიკებში და ახლა ვზივართ ორივე სახლში უმუშევარი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მე ცოტა მისახედი ბავშვი მყავს, პრობლემატურია. ახლაც კარბამაზეპინ-დეპაკინთან ერთად დიაზეპამიც დავალევინე და, რომ სძინავს, ცალი თვალით იქით ვიყურები, ბავშვისკენ. ზოგადად, ასე ჰქვია, ვერ გავდივარ სახლიდან“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„რა ვიცი, ვერ ვმუშაობ, ვერ მივდივარ, იმის გამო, რომ ბავშვს ვერ ვტოვებ. ჩემს გარეშე ვერ რჩება. არანაირი დახმარება მე არ მაქვს. ბავშვი იღებს იმის გამო, რომ შშმ პირია და დამთავრდა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტების დიდ ნაწილს აქვს საზღვარგარეთ, უმეტესად, თურქეთში, თხილისა და ჩაის პლანტაციებში, საქმიანობის გამოცდილება. რესპონდენტების თქმით, უცხოეთში მუშაობა საკმაოდ რთული იყო, რადგან მძიმე ფიზიკურ შრომა უწევდათ, მაგრამ საბოლოოდ ეს ხდებოდა მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო ოჯახებისთვის, რადგან სწორედ საზღვარგარეთიდან შემოსული თანხით ახერხებდნენ მთელი ოჯახისა და ბავშვების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ, ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტებს თურქეთში მუშაობის 2 და მეტი წლის გამოცდილება აქვთ, რამაც (თხილის და ჩაის პლანტაციებში მუშაობამ) მძიმე კვალი დაატყო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, რადგან სამუშაო პირობები იყო საკმაოდ მძიმე, სამუშაო დრო აჭარბებდა 8 საათს. თუმცა, რესპონდენტების თქმით, ეს იყო მათი ოჯახების გადარჩენის შესაძლებლობა. პანდემიის პირობებმა კი ამ მხრივ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა, რადგან საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ ადამიანებმა ვერ მოახერხეს სეზონურ სამუშაოებზე ქვეყნიდან გასვლა; შესაბამისად, მათ ოჯახს მოაკლდა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

„შრომა ჩემთვის რთულია, ტრომბი მაწუხებს, მაგრამ მაინც თურქეთში დავდიოდი და ჩაის ვკრეფდი 37 და 38 გრადუსზე. დილის 6 საათზე უკვე ჩაიში ვიყავი. მარტო სოციალურზე ხომ ვერ იქნები, ჭამა გინდა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„იყო დრო, რომ თურქეთში გადავდიოდი, მაგრამ, ეს ორი წელია, ჩემი პრობლემების გამო (ორჯერ გავიკეთე ოპერაცია, სიცივე არ შეიძლებოდა და სიმძიმე)... დავრჩი სახლში, ველარ ვახერხებ მუშაობას“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მე ვიყავი 2 წელი თხილის სეზონზე. ახლა პანდემიაა და არ წავსულვარ, თუ არა თხილის სეზონზე 2-3 წელი კი ვიარე“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ზაფხულში სხვადასხვა სამუშაოებზე ვმუშაობ, რომ მოვაგროვო ფული და ბავშვებს, რაც სჭირდებათ, ვუყიდო, ტანსაცმელია ეს, თუ სასწავლო ნივთები“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საფრთხის შემცველია, რადგან, რესპონდენტების თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა საზღვრის დატოვების შემდეგ ავტომატურად მოეხსნათ სოციალური დახმარება. კვლევაში მონაწილეთა აზრით, სახელმწიფოს ამგვარი დამოკიდებულება არასწორია, რადგან, როცა სოციალური დახმარება არ არის საკმარისი ოჯახის სარჩენად, ადამიანები ეძებენ გამოსავალს, რომელიც უმეტესად მოითხოვს ისეთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღებას, როგორიცაა შვილებისა და ოჯახის დროებით მიტოვება, მძიმე ფიზიკური შრომა, საკუთარი ჯანმრთელობის გაწირვა. ამ ყველაფერს ემატება შიში იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არსებულ მცირე დახმარებას ოჯახი ველარ მიიღებს. ამ კუთხით რესპონდენტებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ. ზოგიერთი აღნიშნავს, რომ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, 20 დღით ტოვებს საზღვარს, მუშაობს და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბრუნდება. ამგვარად, თავიდან აიცილებს სოციალური დახმარების მოხსნის საფრთხეს. რესპონდენტთა ნაწილი კი აღნიშნავს, რომ მათ, დატოვეს თუ არა საზღვარი, მაშინვე მოეხსნათ სოციალური დახმარება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტები არ ფლობენ ზუსტ

ინფორმაციას, რა რეგულაციები არსებობს ქვეყანაში ამ მიმართულებით და ამ მხრივ მათი ცოდნა შეზღუდულია.

„ვიყავი გადასული [თურქეთში], 3 თვეც არ გავჩერებულვარ და სოციალური იმწუთას მომიხსნეს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მე გამგეობაში ჩავდივარ და ვეუბნები, რომ მივდივარ [თურქეთში], არ მაქვს იმის სახსრები, რომ ბავშვს ვუყიდო რამე. გაფრთხილებას მაძლევენ, ოცი დღე არ უნდა გავჩერდე იქ, და ამიტომ ვჩერდები ათი დღე. თუ 20 დღეს გადააშორებ, მაშინ მოგეხსნება სოციალურიო. მე ასე ვაფრთხილებდი და ვეუბნებოდი ყოველთვის. ამიტომ არ მოდის აგენტი და, როცა ჩამოვდივარ, მაშინაც ვაფრთხილებ, რომ ჩამოვედი. აღნიშნულია, მე რა დროს გადავდივარ და გადმოვდივარ. 5 ბავშვს ისე ვერ მოვუვლი, თუ იქ არ გადავედი, ამიტომ მივდივართ ორივე [ცოლ-ქმარი]. ხელწერილივით გამომდის განცხადება, ჩავდივარ სოციალურ განყოფილებაში, ვეუბნები და ისე მივდივარ“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ეს პატარა გზა [თურქეთამდე], პატარა მანძილი... ჩემი შვილებისთვის ძალიან კარგი იყო, შეგეძლო ადამიანს წასვლა-წამოსვლა. ეს ყველაფერი ჩამთავრდა პანდემიის გამო. არ ვიცი, როგორ გაგრძელდება, ძალიან გაგვიჭირდება, რომ არ იყოს თუნდაც ეს ვირული, არასასიამოვნო მუშაობა კაცებისთვის, ქალებისთვის ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება. ის, რომ ადამიანებმა რაღაცა მოიწყვეს და კარგად გაართვეს თავი, მაქედან [თურქეთიდან] წამოსული ფულით იყო“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

რაც შეეხება რესპონდენტებს, რომელთა ოჯახებსაც არ აქვთ მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი, ისინი ან მათი ოჯახის წევრები მეტწილად დასაქმებული არიან სხვადასხვა სფეროში. აღსანიშნავია, რომ ამ ოჯახებში, საშუალოდ, 2 ან 3 ადამიანია დასაქმებული და იღებს ანაზღაურებას. რესპონდენტები/მათი ოჯახის წევრები უმეტესად დასაქმებული არიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლა, ბაღი), მომსახურების სფეროში (ბანკი, ენერგოსისტემა, რესტორნების ქსელი), ასევე, ქარხნებსა თუ სათბურებში, რომლებიც ფუნქციონირებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ, სამკერვალო ფაბრიკაში, მოცვის პლანტაციებში.

ოჯახების წინაშე არსებული გამოწვევები

კვლევაში ჩართული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ თემებში ოჯახები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან. მთავარი პრობლემა ფინანსების ნაკლებობაა, რაც, რესპონდენტთა აზრით, სოფლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აწუხებს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი. დამატებით გამოვლინდა

რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს ოჯახების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველთა განვითარების შესაძლებლობებს, კერძოდ:

- საცხოვრებლის არქონა ან არსებული საცხოვრებლის მძიმე ავარიული მდგომარეობა;
- საბანკო ვალდებულებები ან კერძო პირებისგან აღებული ვალი.

როგორც რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, მძიმეა მათი საცხოვრებელი პირობები, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ან საერთოდ არ ფლობენ კერძო საკუთრებას, ან მათ მფლობელობაში არსებული სახლი ავარიულ მდგომარეობაშია. რესპონდენტების თქმით, მათ, უმეტესწილად, არანაირი შემოსავალი არ აქვთ, გარდა სოციალური დახმარებისა; შესაბამისად, 150 ლარი თვის განმავლობაში არ არის საკმარისი არათუ სახლის რემონტისთვის, არამედ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებისთვისაც კი. ასეთ შემთხვევაში, რესპონდენტები მიმართავენ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ, როგორც ამბობენ, მათგან დახმარება ამ კუთხით არ მიუღიათ. როგორც სოფლის რწმუნებულები და მათი წარმომადგენლები აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტში არსებობს პროგრამა უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის, რაც გულისხმობს ბინის ქირის გადახდას ასი ლარის ოდენობით. მათი თქმით, ამ პროგრამით, ძირითადად, სარგებლობენ ის მოქალაქეები, რომლებსაც ხანძრის გამო დაეწვათ სახლი. გარდა ამისა, არსებობს შემთხვევები, როცა ოჯახს დროებითი საცხოვრებელი გადაეცემა.

„ჩვენ გვყავს ერთი მოსწავლე, მართალია, მრავალშვილიანი ოჯახიდან არ არის, მაგრამ საკმაოდ შეჭირვებულ ოჯახში ცხოვრობს. აი, იატაკიც კი არა აქვთ და ხალიჩა აქვთ გადაგებული მიწაზე. ისეთ მდგომარეობაში იყო ბავშვი, ამდენი ხანი აცდენდა სკოლას. დაემართა მწვავე ანთება... სოციალურიც ჩაერია ერთი პერიოდი მაგ საკითხში და ბავშვსაც ართმევდნენ, მერე დროებით შევიდნენ სადღაც სახლში, დროებით მისცეს“ (პედაგოგი).

„სახლი მაქვს ავარიულ მდგომარეობაში. აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ, სადაცაა, ჩამომენგრევა სახლი. მხოლოდ ერთ ოთახში, მისაღებში ვწვებით ახლა, ბავშვებს იქ ვაწვენთ. ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს ახლა. სამი წელია, ვითხოვ დახმარებას. სადაცაა, აივანი უნდა ჩამოიშალოს და არანაირი დახმარება“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„სახლი გვაქვს ავარიული და ცოტა რაღაცეებზე ვნერვიულობთ ხოლმე, რომ რამე არ მოხდეს. უკვე 20 წელია თითქმის, ვითხოვთ დახმარებებს, განსახლების სამინისტროში თბილისშიც გვქონდა წაღებული ყველაფერი და ხან ერთი ქულა დაგვაკლეს, ხან ნახევარი ქულა დაგვაკლეს. მოკლედ, მეწყრული ზონაა ჩვენი ადგილი. ველოდებოდი რაღაც დახმარებას, მაგრამ უარი გვეთქვა, შარშანაც მოვიდა კიდე პასუხი, რომ 0.05 ქულა დაგვაკლეს“ (მშობელი).

„100 ლარის ოდენობით არის ბინის ქირით უზრუნველყოფა უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისთვის. წლებია უკვე, ეს პროგრამა არსებობს. კომისიაა შექმნილი მუნიციპალიტეტში, სადაც, ვისაც სახლი დაეწვა, არ დარჩენილა ყურადღების მიღმა ასეთი ოჯახები. თუ არის ისეთი შემთხვევები, რომ მეწყერსაშიშ ზონებში ცხოვრობენ, როცა ვერ ეხმარება მუნიციპალიტეტი და სრულად ვერ შეუძენს, ბინის ქირის გადახდას სთავაზობენ“ (მერის წარმომადგენელი).

რაც შეეხება საბანკო ვალდებულებებსა თუ კერძო პირისგან აღებულ ვალს, რესპონდენტების აზრით, ეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გამოწვევაა, რადგან მათი თქმით, დღესდღეობით თითქმის ყველა ოჯახი საჭიროებს დამატებით თანხას და სწორედ ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ შემდგომში პირს საბანკო ვალდებულებები ეკისრება. გარდა ამისა, პირობები კიდევ უფრო რთულდება, როდესაც მოქალაქეს მინიჭებული აქვს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი. ამ შემთხვევაში, ასეთი ადამიანების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მათ არ აძლევენ სესხს და უწევთ კერძო პირებისგან ვალის აღება, რომელიც შემდეგ სახელმწიფოსგან მიღებული დახმარებით უნდა დაფარონ. რესპონდენტთა აზრით, შემწეობა, უმეტეს შემთხვევაში, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასაც ვერ სწვდება; შესაბამისად, იზრდება ვალის ოდენობაც, რაც მათ ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს და ხელს უწყობს სიღარიბის მაჩვენებლის ზრდას.

„საბანკო ვალდებულება, მაგალითად [არის გამოწვევა]. საბანკო ვალდებულება ყველას აქვს, მგონი, დღეს“ (მშობელი).

ბავშვის აღზრდა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

კვლევის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ბავშვის აღზრდის პროცესსა და იმ გამოწვევებზე, რომლებიც თავს იჩენს მოზარდის ასაკის მატებასთან ერთად. რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში, ძირითადად, ჩართულია დედა. როგორც სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე, ისე ამ სტატუსის არმქონე რესპონდენტები, მიიჩნევენ, რომ ბავშვის აღზრდა მეტწილად დედის მოვალეობაა; შესაბამისად, უმეტესად, ძირითადი პასუხისმგებლობა სწორედ მან უნდა აიღოს. გარდა ამისა, რესპონდენტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მამაკაცი უფრო ხშირად არის ოჯახის მარჩენალი, რაც დაკავშირებულია სამსახურის ქონასთან; ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვები მეტ დროს ატარებენ დედასთან; ამიტომ მეტი ინტენსივობით უწევთ მასთან ურთიერთობა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევაში მონაწილე ქალი რესპონდენტების დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული; შესაბამისად, ისინი მიიჩნევენ, რომ, როცა ქალი დიასახლისია, მას გაცილებით მეტი

პასუხისმგებლობა ეკისრება ბავშვის აღზრდის პროცესში, ვიდრე ოჯახის სხვა წევრებს; მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მშობლები დაუსაქმებლობის მიზეზად სწორედ შვილების აღზრდის პროცესს ასახელებენ. დასაქმებული ქალი რესპონდენტების ნაწილის აზრით, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა რომ არა, ისინი იქნებოდნენ დიასახლისები და სახლის საქმეების შესრულებას ამჯობინებდნენ.

„მამებმა იმხელა ტვირთი იტვირთეს… დედას და შვილს რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდეს, მაშინ მამა უნდა წავიდეს და მამამ უნდა გააკეთოს [საქმე]. დედამ თუ იმუშავა, [ბავშვი] მამასთან უნდა იყოს. ვიღაცა გამოდის ცალკე, ასე ჰქვია, იმისთვის, რომ შვილი იყოს უკეთესად, ვიღაცამ ხომ უნდა იმუშაოს“ (მშობელი).

„ძირითადად, ჩემთან, დედასთან, არიან ბავშვები. მე გავზარდე. რა თქმა უნდა, მე ვთვლი, რომ ასეც უნდა იყოს. მამა ჩართულია სხვადასხვა დროს, საჭიროებისამებრ. მე ვფიქრობ, რომ მამა უფრო მაგალითი უნდა იყოს თავისი ცხოვრებით და საქმით ბავშვებისთვის და დედა არის აღმზრდელი პირველ რიგში“ (მშობელი).

„მე სულ არ მინდა, არ მინდა საერთოდ ზედმეტი არაფერი, მე პატარა რაღაცაც გამაბედნიერებს – ის, რომ ჩემმა შვილმა არ მითხრას, მშიაო, მცივაო. არ ვიფიქრო იმაზე, რომ რა ჩავაცვა, კურტკა არ აქვს, ფეხზე რომ ჩავაცვა და სკოლაში წავიდეს. ეს პატარა რაღაცეები საფიქრალად რომ არ მქონდეს, მე ესეც ბედნიერს გამხდის და არსად არ წავალ. ქალი უნდა იყოს სახლში, სამზარეულოში, ბავშვებთან. სიამოვნებით ვიქნები, მართლა (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმაზედაც, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში საქმეს ინაწილებს მეუღლესთან, ან, იშვიათ შემთხვევაში, მოზარდის ბებიასთან. ამ შემთხვევაშიც არსებობს როლების გადანაწილება გარკვეული პრინციპით. მამა უფრო მეტად პასუხისმგებლობას იღებს ბავშვის გადაადგილებაზე სოფლიდან ქალაქში, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში – ექიმთან ვიზიტზე, რჩევა-დარიგებების მიცემაზე. როგორც რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, მამა, გარკვეულწილად, თითქოს ცალკე მდგომი ადამიანია, რომელსაც ევალება ოჯახის უზრუნველყოფა ფინანსურად; ის მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერთვება ბავშვის აღზრდის პროცესში. რაც შეეხება დედის როლს, ის მეტწილად შემოიფარგლება ბავშვის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებით და/ან ამ პროცესის მონიტორინგით: იკვებება თუ არა მოზარდი, დაკმაყოფილებული აქვს თუ არა ჰიგიენის საჭიროებები და სხვ. ასევე გამოიკვეთა ისიც, რომ ბავშვის განათლების მიღების პროცესში უმეტესად დედები არიან ჩართული. როგორც თავად აღნიშნავენ, სკოლასა და საბავშვო ბაღში, ძირითადად, დედები დაჰყვებიან შვილებს; სწორედ ისინი ესწრებიან მშობელთა კრებებს, მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. კვლევის მიხედვით, აღნიშნული მიდგომა მეტწილად დამახასიათებელია სოციალურად დაუცველის სტატუსის

მქონე ოჯახებისთვის, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიის დროს რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებდა შვილების აღზრდის პროცესში ორივე მშობლის ჩართულობის მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, მათი თქმით, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას, ორივე მშობელი თანაბრად მონაწილეობდეს ბავშვის აღზრდის პროცესში.

„კაცი როცა სახლშია, იმას იმდენი საქმე აქვს ხოლმე ხან, რომ ძირითადად ვერ იცლის, ბავშვებს რომ მიხედოს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ჩემი მეუღლე ყოველთვის გარეთაა და მუშაობს. მე უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობ ბავშვებს, ვიდრე ის, იმიტომ რომ იგი დაკავებულია, ოჯახის მარჩენალია და ყოველთვის გარეთაა, თუმცა ყოველთვის რეკავს და კითხულობს ამბავს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ბავშვები, პატარები, ზოგადად, დედის მისახედია, ანუ დედა არის უფრო ბავშვთან. რაც შეეხება მამას – ექიმია, საავადმყოფოა, წასვლა-მოსვლა თუ რაღაცა ყურადღება, რაც სჭირდება საქმიდან გამომდინარე, როგორც ვიცი, მამაც გვერდით უდგას, დედაც. ვალდებულია მამაც, რომ შვილებთან იყოს (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მე ვარ ჩართული უფრო ბავშვების [მოვლაში]. მამა კი აქცევს ყურადღებას, მაგრამ სკოლაში მშობლის დაბარება იქნება თუ რამე ღონისძიება, ან რამე პასუხისმგებლობა, ჩემს თავზე ვიღებ. წასვლა დასჭირდება, მე უნდა მივაქციო ყურადღება და საქმიანობაც მე უნდა შევასრულო“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

რაც შეეხება რესპონდენტებს, რომლებიც არიან დასაქმებული და არ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, მიუთითებენ იმაზე, რომ ბავშვის აღზრდის პროცესს, ძირითადად, თანაბრად ინაწილებენ მეორე მშობელთან ერთად. ეს უფრო ხშირად გამოწვეულია იმით, რომ დღის განმავლობაში მშობლები ვერ უთმობენ დროს თავიანთ შვილებს; მათთან, ძირითადად, ოჯახის სხვა წევრები (ბებია, ბაბუა, ძიძა) რჩებიან. შესაბამისად, რესპონდენტების თქმით, მათ სურთ, სამუშაო დღის შემდეგ, რაც შეიძლება, მეტი დრო გაატარონ შვილებთან. მშობლები ცდილობენ, ითამაშონ შვილებთან ერთად, გასცენ პასუხები მათ კითხვებს, რათა დააკმაყოფილონ ბავშვების ინტერესი და, ამავე დროს, მიაწოდონ სწორი და ასაკის შესაბამისი ინფორმაცია.

„რადგან ჩემი შვილი პატარაა, ძირითად დროს, ალბათ, ძიძასთან ატარებს და სახლში როცა ვბრუნდებით, ყველა ვცდილობთ, რომ რაღაცა ჩვენი [წილი გავაკეთოთ]. რა თქმა უნდა, დედაზე უფრო მეტი დატვირთვა მოდის და დედა უფრო ძირითადი არის ამ ასაკში

ბავშვებისთვის, მაგრამ ჩემი მეუღლე ძალიან აქტიურად არის ჩართული იმაში, რომ სანდროს განვითარებაში წვლილი შეიტანოს“ (მშობელი).

„[შვილებს] ყველაფერში გვერდით ვუდგავართ და, რა ვიცი, თუკი ჩემი მეუღლე სახლში არაა, ტელეფონით დაურეკავენ, შეეკითხებიან, უფრო ორივეს რჩევას გაითვალისწინებენ და, რა ვიცი, ამ მხრივ ძალიან შეხმატკბილებული ურთიერთობა გვაქვს ოჯახს“ (მშობელი).

ბავშვის საბაზისო საჭიროებები

დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში თავს იჩენს მნიშვნელოვანი საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელი ხდება მოზარდის ფიზიკური და ფსიქოსოციალური განვითარებისთვის. პირველ რიგში, რესპონდენტები საუბრობენ კვების როლზე. გამოიკვეთა, რომ ოჯახები უმეტესად ფლობენ ინფორმაციას ჯანსაღ პროდუქტებზე, ასევე, ჯანსაღი კვების მნიშვნელობის შესახებაც, თუმცა ოჯახები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივ დახმარებაზე, უმეტეს შემთხვევაში, ვერ აკმაყოფილებენ მოზარდების ისეთ საბაზისო საჭიროებას, როგორიცაა კვება. თავად მშობლების თქმით, მართალია, ისინი სოფლის მცხოვრებლები არიან და უმეტესად აქვთ მცირე ტერიტორია, რომლის დამუშავებაც შეიძლება, ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მათი შვილების სრულფასოვანი კვების საკითხი მოგვარდეს. როგორც თავად აღნიშნავენ, ბავშვს სჭირდება ჯანსაღი პროდუქტები, გაჯერებული სხვადასხვა ვიტამინით, ეს კი დაკავშირებულია ხარჯებთან. ისინი ახერხებენ, რომ ბავშვები დაანაყრონ, მაგრამ, მათი აზრით, მოზარდები ვერ იღებენ მათი ორგანიზმის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკვებს. კვლევის მონაწილენი, უმეტესად, ყურადღებას ამახვილებენ ხორცეულზე, თევზეულზე, რძის პროდუქტებსა და ბოსტნეულზე, რომლებიც, მათი აზრით, საკმაოდ ძვირია და სახელმწიფოსგან მიღებული შემწეობით რთულია თუნდაც თვეში ერთხელ მათი შეძენა. რესპონდენტების თქმით, ისინი ყველანაირად ცდილობენ, მსგავსი პროდუქტებით უზრუნველყონ შვილები, რადგან გააზრებული აქვთ მათი მნიშვნელობა მოზარდის ფიზიკური განვითარების პროცესისთვის, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო ვერ ახერხებენ ჩამოთვლილი პროდუქტების შეძენას. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემური ხდება იმ ოჯახებისთვის, რომლებიც იღებენ სოციალურ შემწეობას, ცხოვრობენ მრავალსართულიან კორპუსში და არ ფლობენ სახნავ-სათეს მიწას; შესაბამისად, ვერ ახერხებენ მცირე მეურნეობის წარმართვასაც კი.

„ჯანსაღი კვება საკმაოდ ძვირი ჯდება. მართალია, სოფელში ყოველთვის რაღაც-რაღაცები მოგვყავს, მაგრამ, მაინც არ არის ისეთი, ჩვენთვის [საკმარისი] იყოს და ფინანსებთან არის ეგეც დაკავშირებული“ (მოზარდი).

„ჩვენ ხომ ყველა, მშობლები… და ოჯახის წევრები ორიენტირებულები ვართ, რომ რაღაცა ვიშრომოთ, ვიწვალოთ ხელფასამდე. მერე ეს თანხა მიდის საკვებ პროდუქტებში და ჩვენი ცხოვრება გადის ამ ჭამა-სმაში და, რეალურად, უკვე იმაზე ვეღარ ვართ ორიენტირებული, რომ ჯანსაღი პროდუქტი შევიძინოთ. ისიც, რასაც ვყიდულობთ, ძალიან ძვირია. რეალურად, ყველა ოჯახი ჩემ გარშემო, მეზობლები, კლასელები, ასევე ჩემი ოჯახი… ორიენტირებული ვართ იმაზე, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ და ვჭამოთ. ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი ძალიან იშვიათია... ეს ძალიან ძნელია. იდეაში, გინდ სოფელში ცხოვრობდე, გინდ ქალაქში, ძნელია და სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული. თუნდაც მატერიალური [მხარე], თუნდაც ის საჭიროება ახლა, რომ ყოველდღე სოფელში იყიდო ახალი პროდუქტი. ამის შესაძლებლობა არ გვაქვს“ (მოზარდი).

„ელემენტარულად, კი ვაჭმევთ ბავშვებს, მშიერი კი არ გვყავს, მაგრამ მათთვის ვიტამინების მიღება საჭიროა. ახლა სოფელში რომ ხარ, კი ბატონო, დარგავ მწვანილს, მაგრამ მარტო მწვანილით არ შემოისაზღვრება. ისეთი კვება უნდა, ისეთი ვიტამინი უნდა ბავშვს, რომ გონებამაც იკვებოს... და არ ჰქონდეს გასაჭირი ბავშვს. არ უნდა შიოდეს დღეს ბავშვს, აღარ უნდა შიოდეს არავის. შეიძლება ჩემს შვილებს [არ შიათ], მაგრამ ვიცი, ორი შვილი რომ ჰყავს ოჯახს, როგორ უჭირს მშობელს. ძალიან გაჭირვებული მდგომარეობაა სოფელში“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

წევრები იმ ოჯახებისა, რომლებიც სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონენი არ არიან, აღნიშნავენ, რომ ისინი, უმეტესად, აკმაყოფილებენ ბავშვის კვებით მოთხოვნილებებს და ფიქრობენ, რომ ჯანსაღი კვების პრობლემა სოფლად ნაკლებად დგას. საინტერესოა შემდეგი გარემოება: მშობლები, რომლებიც არ საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივ დახმარებას, მიიჩნევენ, რომ სოფლებში კვების პრობლემა დგას, თუმცა უჭირთ ისეთი ოჯახების გახსენება, რომლებიც ამ მხრივ უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი თქმით, ცუდი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად ქვეყანაშია და ეს სისტემური პრობლემა უფროა, ვიდრე რომელიმე სოფლის ან კონკრეტული მხარისა. თუმცა, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ისინი არ ფლობენ ინფორმაციას კონკრეტულად ასეთ ოჯახებზე და ჰიპოთეტურად მოიაზრებენ მათ არსებობას. აღნიშნავენ იმასაც, რომ სოფელში ურთიერთობები უფრო განსხვავებულია, ვიდრე ქალაქში. თემის მცხოვრებლები უკეთ იცნობენ ერთმანეთს. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ სოფლის მცხოვრებლებს უფრო მეტად აქვთ გაცნობიერებული თანადგომის არსი და, სწორედ ამის გათვალისწინებით, ამბობენ, რომ, თუ სოფლად კვების პრობლემა რომელიმე ოჯახს დაუდგება, ის მეზობლების მხარდაჭერით აღმოიფხვრება.

„თქვენ რაც ჩამოთვალეთ, ჩემი შვილები ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან. ნამდვილად დაკმაყოფილებულები არიან... და ვისურვებდი, რომ ბევრი იყოს, როგორც ჩემი შვილები“ (მშობელი).

„ჩემი შვილების გარემოცვაში ასეთი არავინ მეგულება [საკვების პრობლემა რომ ჰქონდეს]. მაგრამ, ალბათ, იქნებიან მასეთებიც. მთლიანად თემში შეიძლება იყოს, მაგრამ ირგვლივ – არა“ (მშობელი).

„ეს არის ქვეყნის საერთო პრობლემა, მგონი, და არა მარტო ერთი სოფლის. ეს არის ყველას პრობლემა“ (მშობელი).

„მე არ დავუშვებ, რომ [ჩემს თემში] ბავშვმა იშიმშილოს. მერე რა, რომ ჩემი შვილი არაა. ჩვენ ელემენტარულად უნდა დავეხმაროთ ასეთ ადამიანებს. მერე რა, რომ ჩემი შვილი არ არის, ჩემი მეზობელი ხომ არის. მე არ უნდა მივცე უფლება, რომ სულ შიოდეს“ (მშობელი).

„ეს უკვე ჩვენი ქვეყნის პრობლემაა. ჩვენ უკვე ვერაფერს გავხდებით. თორემ ერთს და ორს, სოფელი ისეთია, რომ შიმშილით... არ მოკლავს. ეს თუ ათასია და ათიათასობით, ჩვენ მარტო ვერ მოვახერხებთ ამის აღმოფხვრას“ (მშობელი).

საბაზისო საჭიროებებში მნიშვნელოვან ასპექტებად რესპონდენტების მიერ გამოიყოფა **ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ჰიგიენური მდგომარეობა, საცხოვრებელი სახლის პირობები და განათლების პროცესში საჭირო რესურსების არსებობა.** როგორც უკვე აღინიშნა, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების მხრივ, რესპონდენტები, რომლებსაც არ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, აღნიშნავენ, რომ მათ შვილებს ხელი მიუწვდებათ ზემოთ ჩამოთვლილ რესურსებზე, თუმცა, ისურვებენ მდგომარეობის გაუმჯობესებას. რაც შეეხება ოჯახებს, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივ დახმარებას, ისინი აღნიშნავენ, რომ, როგორც პრობლემა, კვების შემდეგ მეორე ადგილზე დგას ბავშვებისთვის ტანსაცმლის შეძენა. იქიდან გამომდინარე, რომ მათ არ შეუძლიათ ყოველ სეზონზე ახალი ტანსაცმლის ყიდვა, ეს მათი შვილებისთვის დამატებით პრობლემას ქმნის, რადგან, რესპონდენტთა აზრით, დრო იცვლება, ბავშვებს განსხვავებული მოთხოვნილებები აქვთ, გარემოც ცვალებადია, რადგან ახალგაზრდები ყურადღებას ამახვილებენ ერთმანეთის ჩაცმულობის სტილზე და ეს ხელს უწყობს უთანასწორო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც ზოგჯერ ბულინგის ფაქტების მაპროვოცირებელი ხდება.

„ჩემი შვილები, მინდა, რომ იყვნენ კარგად. ხშირად არის ისე, რომ უნდა ბავშვს ჩასაცმელი, მაგრამ... ვერ ვახერხებ; ველოდები სოციალურს, რომ ვუყიდო, ისე ძალიან რთულად გვაქვს ეს საკითხი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ვეკითხები, რატომ არ იყავი გუშინ სკოლაში-მეთქი, და, იციო, მასწავლებელოო, ფეხსაცმელი მქონდაო დასველებული და მეორე არა მაქვსო, დამისველდა და ვერ წამოვედიო. ჩემთვის ეს იყო... სულის შემძვრელი. შეიძლება გგონია, რომ ოჯახებში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ, ეტყობა, მთალად ასეც არ არის საქმე“ (სკოლის წარმომადგენელი).

„გვინდა, ისე ჩავაცვათ [შვილს], რომ ბავშვებმა არ დასცინონ ქუჩაში... ახლა არის ბევრი ისეთი გაზრდილი, ზოგი – მდიდრები, არის რამდენიმე, რომ დასცინებენ. ამას არ აცვია, ან დახეულია, დახეულს ახლა ვინ კადრულობს. ჩვენ შემოვიკერავდით ადრე, ახლა სირცხვილია ეგ" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვან საჭიროებად მშობლებს ექცათ **დისტანციური სწავლების პროცესში საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის არსებობა და ინტერნეტის ქონა.** სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ეს მძიმე ტვირთი აღმოჩნდა, რადგან უმეტესობა არ ფლობდა არათუ კომპიუტერს, არამედ მობილურ ტელეფონსაც. აქედან გამომდინარე, ბევრი ბავშვი განათლების მიღმა დარჩა. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ მშობლები ცდილობდნენ, შეეძინათ საჭირო ტექნიკური მოწყობილობები და ჩაერთოთ ინტერნეტი, მაგრამ მათი ეკონომიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევდათ; შესაბამისად, ბავშვები ან საერთოდ ვერ ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში, ან მათ ჩართვას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა, თუ სასწავლო პროცესში ჩართვას ოჯახში ერთზე მეტი ბავშვი საჭიროებდა.

„ძირითადი პრობლემა, მე, მაგალითად, მაქვს ტექნიკასთან... და ბავშვების სწავლასთან დაკავშირებული. აი, ელემენტარული, რვეული, რაც სჭირდებათ. იმდენი რაღაცები უნდათ ხოლმე და იმდენ რაღაცებს ამბობენ, რომ სჭირდებათ. ტანსაცმელზე და ასეთ რაღაცეებზე უკვე ზედმეტია ლაპარაკი. აი, ბავშვს რომ მომავალი შევუქმნათ, ტექნიკის მხრივ საკმაოდ სერიოზულ პრობლემებში ვარ უკვე... ოცი ლარი არ მყოფნის თვეში ერთ ტელეფონზე" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ხშირად ვერ ესწრებოდნენ [გაკვეთილებს] იმის გამო, რომ ჰქონდათ ერთი ტელეფონი, კომპიუტერი და ამის გამო იჩაგრებოდნენ. ბავშვს რომ ვკითხე, რატომ არ ჩანხარ-მეთქი, მასწავლებელო, ჩემი რიგი არ დადგა ამ კვირაშიო [დედმამიშვილები ჰყავს]. ასეთი პრობლემები უფრო იჩენს თავს" (სკოლის წარმომადგენელი).

ბავშვის განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესი

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ ბავშვის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემო, რომელშიც ის იზრდება. დისკუსიების ფარგლებში რესპონდენტები ხშირად იმეორებდნენ, რომ „ბავშვი ოჯახის სარკეა", და ამ ფრაზით ყურადღებას ამახვილებდნენ ოჯახური გარემოს შექმნის მნიშვნელობაზე. როგორც კვლევამ ცხადყო, მონაწილენი იაზრებენ სოციალური გარემოს მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ ბავშვი დაბადებიდანვე დაისწავლის იმ ქცევებსა და მანერებს, რომლებსაც იგი აკვირდება თავის გარშემო. შესაბამისად, პირველ რიგში, გამოკითხულთა აზრით, მნიშვნელოვანია,

მშობლებმა ბავშვს შეუქმნან მშვიდი ატმოსფერო, რომელიც ამ უკანასკნელს ჩამოუყალიბებს უსაფრთხოების განცდას. რესპონდენტები მიუთითებენ იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ირგვლივ არსებულმა დამთრგუნველმა, დაძაბულმა თუ ძალადობრივმა სიტუაციამ. ისინი აღნიშნავენ, რომ ამგვარი გარემო ბავშვზე აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას, რამაც შეიძლება შემდგომ თავი იჩინოს საბავშვო ბაღში, სკოლაში თანატოლებთან ურთიერთობისას აგრესიის გამოვლენით, ან საკუთარ თავში ჩაკეტილობითა და ურთიერთობის სურვილის უქონლობით.

„გარემო, ზოგადად, ძალიან დიდ გავლენას ახდენს როგორც ბავშვებზე, ასევე დიდებზე. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს და სოციუმს, სადაც ბავშვები იზრდებიან, ხედავენ, როგორ იქცევიან სხვები და ავტომატურად იღებენ მათ ქცევებს, მათ საუბარს, ყველაფერს, რადგან პატარები არიან. მე ვფიქრობ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, თუ სად იზრდება ბავშვი“ (მშობელი).

„მე ვფიქრობ, რომ თავდაპირველად ოჯახურ გარემოს აქვს მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვალდებული ვართ, რაღაცები ჩავუნერგოთ. შეიძლება ისეთ გარემოში მოხვდეს, რაც მისაღები არ არის, და უნდა შეძლოს კარგის და ცუდის გარჩევა. ჩვენ ახლა გარემოს ბავშვებს ყოველთვის ვერ შევურჩევთ, სიტყვაზე, ვერ აუკრძალავ, [ვერ ეტყვი,] ამასთან იმეგობრე, იმასთან იმეგობრე. ღირებულებები უნდა მივცეთ, რა ვიცი, მე სულ ამას ვცდილობ, მაგალითად, რომ თვითონ შეძლოს, რა არის კარგი და რა – ცუდი, ამის გარჩევა“ (მშობელი).

„ბავშვს უნდა შეუქმნან მშვიდი გარემო, რომ ფსიქოლოგიურად იყოს გახსნილი მშობელთან და მასწავლებელთან. ყოველთვის რომ დატუქსავ, შეურაცხყოფას მიაყენებ და დაჩაგრავ, ის გარეთ რომ გავა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება განვითარებული. გარემოს რომ შეხვდება, ის იქნება უფრო შეშინებული და შებოჭილი. ცოტა უნდა მივცეთ ბავშვს საშუალება, რომ თავისი აზრი გამოთქვას“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინი „ბავშვის განვითარება“ რესპონდენტების უმრავლესობისთვის პირდაპირ უკავშირდება **განათლებას.** ამ მოსაზრებას განსაკუთრებით იზიარებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლები; მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მათთვის განვითარება და განათლების მიღება იდენტურ მნიშვნელობას იძენს. მათი მხრიდან თითქმის არც ერთ დისკუსიაზე არ გამახვილებულა ყურადღება ფიზიკურ განვითარებაზე ან ბავშვის ადრეული განვითარების საფეხურზე გამოვლენილ საჭიროებებზე. როგორც კვლევამ ცხადყო, რესპონდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია განათლების მიღება, რაც, როგორც ამბობენ, საფუძველია იმისა, რომ მათმა შვილებმა თავი დააღწიონ სიღარიბეს. ამ კუთხით, რესპონდენტები მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებენ, ასევე, წიგნის კითხვის კულტურას, რომელიც, მათი აზრით, ახალ თაობას ნაკლებად აქვს. ამის მიზეზს კი ტექნოლოგიებისადმი დამოკიდებულებაში ხედავენ. ეს უკანასკნელი

აღიქმება ნეგატიურად და ხელის შემშლელ ფაქტორად განათლების მიღების პროცესში. განვითარების სხვა საფეხურებსა და საჭიროებებს რესპონდენტები, მეტწილად, უგულებელყოფენ; მათი აზრით, ბავშვები „თავისთავად“ ვითარდებიან და მშობლების დიდი ნაწილი (განსაკუთრებით – სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონენი) ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას განვითარების ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური განვითარება და გარემოსთან ადაპტაცია.

„ძალით ხომ არ შეიძლება ცხოვრება, თვითონ უნდა განვითარდეს ბავშვი, მშობლებთან და პედაგოგებთან ერთად. ცხოვრებისეულად უნდა განვითარდეს ადამიანი და თვითონ უნდა გააანალიზოს ყველაფერი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„განვითარება დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს ბავშვს, თავისი აზრის დაფიქსირება, რაც სურს მას, და არ უნდა იყოს შებოჭილი არც მშობლის მხრიდან და არც მასწავლებლის მხრიდან, ასე ვფიქრობ. თვითონ გაიკვლევს... გზას... (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„პირველ რიგში, განათლება უნდა მივცეთ, რაც შეიძლება, მაღალი დონის... ეს იქნება ძირითადი და მთავარი. აღზრდა გამოიხატება იმით, რომ ჩვენ ბავშვებს მივცეთ სწორი განათლება და დავაყენოთ სწორ გზაზე“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„...წიგნი უნდა წაიკითხოს ბავშვმა; არაა აუცილებელი, კომპიუტერში და ტელეფონებში 24 საათი იჯდეს. ჩემი მოსაზრება ასეთი არის. პასტით უნდა წერდეს და არა კომპიუტერში“ (მშობელი).

მეორე მხრივ, მშობლები, რომლებიც არ საჭიროებენ სოციალურ დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ სწავლის პროცესზე, არამედ ბავშვის სოციალურ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე. რესპონდენტების თქმით, ბავშვი დაბადებიდანვე გადის განვითარების გარკვეულ ეტაპებს, რომლებსაც უნდა დააკვირდეს მშობელი და გაიგოს შვილის საჭიროებები. რესპონდენტები ხაზს უსვამენ შვილის აღზრდის პროცესში ორივე მშობლის ჩართულობის მნიშვნელობას, რაც მოზარდის სწორად განვითარების ერთ-ერთი საწინდარია. აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ სითბოსა და სიყვარულის გამოხატვა აღზრდის პროცესში პოზიტიურ გავლენას ახდენს მასზე.

„განათლება სულ სხვაა და განვითარება – სულ სხვა. ჯერ უნდა განვითარდეს, რომ მერე განათლება მიიღოს. თუ განვითარებული არაა ბავშვი, ის განათლებას ვერ მიიღებს. ძალიან დიდი განსხვავებაა... განათლებასა და განვითარებას შორის“ (მშობელი).

„…ვფიქრობ, რომ ბავშვის განვითარებაში აუცილებლად ორივე მშობელი უნდა მონაწილეობდეს. განათლება მარტო წიგნიერი განათლება არ არის. ეს არის გარემო ფაქტორები – ფიზიკური, ფსიქიკური, ფიზიოლოგიური. ყველაფერია ამ განვითარებაში“ (მშობელი).

„მე მაინც მგონია, რომ ბავშვის განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება. აი, თუნდაც თვეებიდან რაღაცების ჩამოყალიბება უნდა დაიწყოს მშობელმა, უნდა დაეხმაროს ბავშვს იმაში, რომ სწორი მიმართულებები მისცეს და შემდეგ ბავშვმა თვითონ გააკეთოს არჩევანი, ეს რამდენად სწორია და რამდენად მართებულია. ჩემთვის, მაგალითად, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩემმა შვილმა დამოუკიდებლად შეძლოს კვება, ჩაცმა, გარეთ გასვლა, თავისი სათამაშოების დალაგება. იმ ასაკში ვართ, რომ ზუსტად ამ რაღაცების გადალახვა გვიწევს, როცა... [თანდათან] დამოუკიდებლად უნდა მიეჩვიოს ბევრი რაღაცის გაკეთებას“ (მშობელი).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის განვითარების ეტაპებისა და მახასიათებლების შესახებ მშობლებს მწირი ინფორმაცია აქვთ. ისინი მეტწილად ხელმძღვანელობენ საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით და ნაკლებად ფლობენ ემპირიულად დასაბუთებულ ინფორმაციას ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ბავშვის სოციალიზაციის პროცესს, გამოიკვეთა, რომ განურჩევლად ოჯახის კონფიგურაციისა, არსებობს სხვადასხვა სირთულე, რომლებსაც მოზარდები აწყდებიან ამ პროცესში. მათ შორისაა: გარემოში თვითდამკვიდრება, საკუთარი თავის აღქმა, სხვათა განწყობა ინდივიდის მიმართ, მისი გავლენა მოზარდის თვითშეფასებაზე და სხვ. რესპონდენტების თქმით, სოციალიზაციის პროცესში ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ინსტიტუცია, რომელთა შორისაც განმსაზღვრელია ოჯახი და საგანმანათლებლო დაწესებულებები. გამოიკვეთა, რომ პანდემიის პირობებში ეს გარემო შემოისაზღვრა მხოლოდ ოჯახით; მოზარდებს არ ჰქონდათ საშუალება, უშუალო კომუნიკაცია ჰქონოდათ სოციუმის წევრებთან, რამაც გავლენა მოახდინა მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით სტრესული იყო ის, რომ პანდემიის პერიოდში ოჯახების უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდა, რაც ასევე ნეგატიურად აისახა მოზარდების განწყობაზე, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ისინი ვერ ახერხებდნენ საგაკვეთილო პროცესში ჩართვასა და თანატოლებთან ურთიერთობას.

„პანდემიის პერიოდშიც – ვამბობ – [ბავშვებს] სჭირდებათ მეტი კომუნიკაცია... პირველ რიგში, კომუნიკაცია ბავშვებთან, ადამიანებთან. ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა“ (მშობელი).

„ჩაკეტილები იყვნენ ესენი [ბავშვები]. თან სოფელია, კომუნიკაციას ვერ ახერხებენ ერთმანეთთან და ეს იყო დიდი პრობლემა“ (მშობელი).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდამდე მოზარდის სოციალურ გარემოში ინტეგრაცია გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ბარიერს წარმოადგენს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოზარდებისთვის. რესპონდენტები საუბრობენ იმ გამოწვევებზე, რომლებიც მათ შვილებს ექმნებათ კონკრეტულ სოციუმში თავის დამკვიდრების პროცესში. გამოიკვეთა, რომ ხშირად სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები გარკვეულ მარგინალიზებულ ჯგუფებში ერთიანდებიან, რაც ხელს უწყობს მოზარდებში არასრულფასოვნების განცდის გაღვივებას და თვითშეფასების დაქვეითებას. უმეტესად, ამის მიზეზი ხდება ჩაცმულობა, საცხოვრებელი და ოჯახური პირობები, ასევე, ბავშვის შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები სწავლის პროცესში. სწორედ ამ ფაქტორების გამო მოზარდები ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი სხვადასხვა გარემოში, განსაკუთრებით – სკოლაში. ასეთ შემთხვევაში, ისინი დგებიან საზოგადოებრივ ნორმების პირისპირ, მაგრამ ვერ ითავისებენ მათ, რაც აფერხებს არასრულწლოვანთა სოციალიზაციის პროცესს. რესპონდენტების თქმით, გარდა იმისა, რომ სოციალური აგენტები (თანატოლები და მათი მშობლები) ხდებიან ბულერები და უქმნიან მოზარდებს დამატებით ბარიერებს გარემოში ინტეგრაციის დროს, სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით, პედაგოგებმა, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სოციალიზაციის პროცესში, არ იციან სტრატეგიები თუ მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც დაეხმარებიან ბავშვებს თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ნორმების ჩამოყალიბებაში. ეს კი სიტუაციას კიდევ უფრო ქაოსურსა და უმართავს ხდის. აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ თავად სკოლის წარმომადგენლებიც და ამბობენ, რომ მსგავსი პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ნამდვილად დგას. ისინი, მეტწილად, მიუთითებენ სკოლებში ფსიქოლოგის ინსტიტუტის არსებობის აუცილობლობაზე, რაც, მათი აზრით, სიტუაციის განმუხტვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება შეიძლება გახდეს.

„ურთიერთობა უჭირთ ახლანდელ ბავშვებს, იმიტომ რომ არ [დაგელაპარაკებიან], თუ კარგი ჩაცმული არ ხარ, თუ, დავუშვათ, ფული არ გაქვს... ცოტა ზედმეტად გათამამებული ბავშვები ზემოდან უყურებენ, ოდნავ თუ რაღაც ცუდად ჩაცმულია... ჩემი გოგო ყოფილა, მაგალითად, ბულინგის მსხვერპლი, იმიტომ რომ არ მაქვს რემონტი, რაღაცა პრობლემები მაქვს და, მეგობრებმა რომ დაპატიჟეს, წავიდა... ჩვენთან რომ უნდა მოსულიყვნენ [კლასელები], ამის გამო ჩემმა გოგომ მითხრა, არ წავალ სკოლაშიო, იმიტომ რომ... დამცინებენო (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ფეხბურთზე რომ დადიოდა [ჩემი შვილი], პირველად სამი თვის განმავლობაში (ახლა ფეხბურთზე შეძლებული ხალხი დადის, ვისაც უფრო შეუძლია), ერთხელ მოვიდა ჩემთან... და მითხრა, დედა, მე აღარ წავალ ფეხბურთზეო. ვეკითხები, რატომ, რა მოხდა-მეთქი, და ყველა მანქანით დადისო, ყველა ასე, ყველა ისეო, რაღაცა მიზეზები მითხრა. იმწუთშივე გავჩერდი და ვათქმევინე, რისი თქმა უნდოდა, და მერე დავჯექი, დაველაპარაკე, რომ ყველა

უჭკვიანესი და ყველა გამოჩენილი ფეხბურთელი ისე იყო, რომ ფეხსაცმელი არ ჰქონდა; მივიდოდა და იქ იცვამდა; რომ ბურთიც კი არ ჰქონდათ. ავუხსენი ეს ყველაფერი, სიტუაცია და მერე და მერე თვითონაც დაინახა, რომ ვინც ვერ ითამაშა, ვინც მანქანით დადიოდა, დავუშვათ, და ვისაც კომფორტი ჰქონდა, იმან ვერ გაუძლო იმ თამაშს, რეჟიმს, ვერ ითამაშა და დაჯდა სახლში" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ძირითადად, უფრო მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე ხდება ეგ ჩაგვრა, რომ ვიღაცას უფრო მეტი [აქვს], ვიღაცას – ნაკლები. ზოგის შვილებს, მაგალითად, მანქანით მოიყვანენ, ვისაც მინიმუმ 1000-ლარიანი და 500-დოლარიანი ტელეფონი აქვთ და, როგორც უნდა, სადაც უნდა, რომ მიდის და ამ დროს მეორე ბავშვს აცვია მეორადში ნაყიდი ტანსაცმელი. აი, მაგის მერე მიდის [დაცინვა]. ყოფილა მომენტი, ჩემი შვილისთვის უკითხავთ, უი, შენ მეორადებში იყიდე? მე ყველაზე საუკეთესო მაცვია. ბევრი ყოფილა ასეთი. ეს მოდის მატერიალური მდგომარეობიდან. ამ მატერიალურს კიდე ვერ ვშვრებით ეს ოჯახები, რა ვქნათ, არ გვაქვს" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ჩემი გოგო არის 14 წლის. მის კლასში არის სამი განუყრელი მეგობარი, გოგონები. ჩემმა შვილმა მითხრა, აი, რომ მივდივარო და მივესალმები, დედაო, შენ ჩვენ გვერდით არ დადგეო, ასე მეუბნებიანო. გვქონია მასწავლებელთან საუბარი, მაგრამ რას იზამდა. თქვა, რომ ისეთ ასაკში არიან ბავშვებიო, და თავისით გადაწყვიტონ და მოაგვარონო" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ბავშვები ძალიან განერვიულებულები არიან. შეიძლება ეს ეკონომიკურმა პირობებმაც გამოიწვია. ახლა გვქონია უფროსკლასელებთან საუბარი ხომ?! ზოგი იმასაც აღნიშნავს, რომ ვიღაცას ახალი წითელი ბოტასები ეცვაო, რამდენი ხანია, ამის ყიდვა მინდა და მე ვერ შევიძინეო, და გამიჩნდა სურვილი, იმისთვის დამეხიაო, რომ მასაც არ ჰქონოდაო. ალბათ ამ დროს რაღაც იღვიძებს მასში, ძალადობა და აგრესია" (სკოლის წარმომადგენელი).

„ახლა მე შეჭირვებული ოჯახიდან ვარ და არ მაქვს იმის საშუალება, რომ მასწავლებელს გავუკეთო ძვირფასი საჩუქარი. მეორე მშობელმა გაუკეთა ძვირფასი საჩუქარი... ახლა ყანაში ვმუშაობდით მე და ჩემი შვილი, სათოხარში ვიყავით წასული, არ მრცხვენია ამის, პატიოსნად ვშრომობთ და რაღაც ზემოდან იყურებიან [მშობლები და პედაგოგები] და რამე. უბრალოდ, მიკვირს, ცუდ გზაზე დადგომას და სიბინძურის გაკეთებას საკუთარი პატიოსნებით შრომა ხომ სჯობს?" (მშობელი).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევაში ჩართული რესპონდენტები, რომლებიც არ საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ/მიზნობრივ დახმარებას, ზემოაღნიშნულ პრობლემას ნაკლებად ამჩნევენ. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ შვილებს ჰყავთ ბევრი მეგობარი, არ უჭირთ საზოგადოებაში თავის დამკვიდრება და, მეტიც, მიიჩნევენ, რომ დაცინვა და გარიყვა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა მათ თემში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ **სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გამოწვევად რჩება ორი ფუნდამენტური საკითხი: ა) საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორც ფიზიკური არსებობის განმაპირობებელი კომპონენტი და ბ) სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია, რომელშიც იგულისხმება, რომ მათ პრობლემებს საზოგადოება არასათანადოდ აღიქვამს, რის გამოც შეიძლება გახდნენ მარგინალიზებული, ან აღმოჩნდნენ მსხვერპლის როლში.**

„ჩემს შვილებსაც ჰყავთ მეგობრები სკოლაში. აი, პანდემიის დროს რომ იყვნენ ჩაკეტილები, ყველას ხომ არ ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა და კომპიუტერული თამაშები ჰქონდათ. მოჰყავდა ბავშვები. რომ შემოვიდოდი სახლში, ოთხი, ხუთი ბავშვი მხვდებოდა. ასევე, [ჰყავთ] სამეზობლო, სამეგობრო. უფროსი ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა უყვართ ძალიან ჩემს შვილებს“ (მშობელი).

„ზოგადად, არის ჩაცმულობასთან დაკავშირებული პრობლემა, ბავშვებს რცხვენიათ და ალბათ ეს ახდენს გავლენას... მოზრდილობის ასაკში უფრო მეტად განიცდის [ბავშვი], მაგრამ, რა არის, იცით, მის სამეგობრო წრესაც გააჩნია ალბათ. იმიტომ რომ ბავშვს, რომელიც მეგობრებისგან არ განიცდის დაცინვას [იმის გამო], რომ მას არ აცვია, არანაირად არ შეუშლის [ხელს] სწავლაში ის გარემოება, რომ მას არ აცვია ისე, როგორც, მაგალითად, ჩემს შვილს“ (მშობელი).

ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები და აღზრდის მეთოდები

კვლევაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შვილების აღზრდის პროცესი საკმაოდ რთულია და ის სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს. დისკუსიის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მათ საკმაო ინფორმაცია აქვთ ბავშვის აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. მათი თქმით, ძირითადი პრინციპები შვილებთან ურთიერთობისას შემდეგია:

- საუბარი შვილებთან და მათი აზრის გაგება;
- შვილებთან მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- შვილებთან ერთად მათთვის საინტერესო აქტივობების განხორციელება.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მშობელი შვილისთვის უნდა იყოს მთავარი მხარდამჭერი, რომლის მიმართაც ექნება ნდობა. მშობლების აზრით, ბავშვს უსაფრთხოების შეგრძნება სწორედ მაშინ ეუფლება, როცა მშობლის მხარდაჭერის იმედი აქვს. ფაქტობრივად, ყველა რესპონდენტის აზრით, მნიშვნელოვანია შვილებთან საუბარი მათი ბავშვობის პერიოდში, მათი შეხედულებების მოსმენა და გამოცდილების გაზიარება. ამგვარი დამოკიდებულება, მშობელთა აზრით, ხელს უწყობს ბავშვებში სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებას. რესპონდენტები, ასევე, აღნიშნავენ, რომ ისინი მუდმივად ცდილობენ, ბავშვებთან ერთად

ჩაერთონ ამ უკანასკნელთათვის საინტერესო აქტივობებში. ეს შეიძლება იყოს შინ სადილის ერთობლივად მომზადება, საოჯახო საქმეების კეთება, თამაში. გარდა იმისა, რომ ამ გზით, მშობელთა აზრით, ისინი უფრო უახლოვდებიან თავიანთ შვილებს და მეტს იგებენ მათი ინტერესების შესახებ, მეორე მხრივ, უზრდიან მოტივაციას ბავშვებს, თავი დააღწიონ კომპიუტერსა და ტელეფონს და მშობლებთან ერთად აკეთონ ის საქმე, რომელიც, შესაძლოა, ძალდატანებით საერთოდ არ გაეკეთებინათ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, რესპონდენტების თქმით, ძირითადი გამოწვევები აღზრდის პროცესში იწყება მაშინ, როცა მათ შვილებს ეწყებათ გარდატეხის ასაკი. მშობლები კვლევის ფარგლებში ნაკლებად გამოყოფენ ბავშვის ადრეული განვითარების საფეხურს ან შუა ბავშვობის პერიოდს. მშობელთა თქმით, დროის მონაკვეთი, როცა ისინი აღზრდის მეთოდებს ცვლიან და შვილების მიმართ უფრო დამთმობი ხდებიან, სწორედ გარდატეხის ასაკში მათ შესვლას უკავშირდება.

„შვილთან მეგობრული ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. მარტო შენიშვნას არ უნდა აძლევდე: არ ქნა! რატომ გააკეთე? ყველაფრის აკრძალვა ისე, რომ პიროვნული უფლებები ჩამოართვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. შემდეგ ეს მის ფსიქიკაზე ისე მოქმედებს, რომ, როცა რაიმეს ახსნა დასჭირდება, თუნდაც საიდუმლოს გამხელა იქნება, ან რაიმე ისეთის, რაშიც მშობლის დახმარება ენდომება, ითრგუნება ბავშვი, ან ფიქრობს, რომ დედა და მამა ვერ გაუგებენ და რაღაცის გამო დასჯიან“ (მშობელი).

„დედას და შვილს და მამას და შვილს ნდობა და ურთიერთგაგება უნდა ჰქონდეთ, თორემ გამოწვევები სულ იქნება ასაკის მატებასთან ერთად“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ბევრი სიყვარული და სითბო უნდა მისცე, თუგინდა, დამნაშავე იყოს, თავი უნდა მიადო და გულში ჩაიკრა; ან შეშინებული მოვიდეს ბავშვი, უნდა უთხრა, ნუ გეშინია, დედი, შენ ყველაფერს გადალახავ. იმედი უნდა ჩაუსახო ბავშვს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„...18 წლის ბიჭი მყავს, მაგრამ მაინც ყველანაირად ვცდილობ, თოხიც დაიკავოს ხელში, ბარიც დაიკავოს, მამამისს ყანაშიც წაჰყვეს. ამას არ ვთაკილობ. მშობლებმა უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენი ბავშვის ტვინი ისე გადავხარშოთ, იმან ის სოფლის ფასიც დაინახოს და ქალაქიც, სტუდენტიც გახდეს, ქალაქის ყადრიც ისწავლოს. ამიტომ მშობელს დიდი როლი აქვს ბავშვზე, რომ შთააგონოს და სულ თბილი სიტყვით, კეთილი სიტყვით მიუდგეს და ესაუბროს, თუგინდ გოგო იყოს, თუგინდ – ბიჭი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

აღზრდის პროცესში რესპონდენტები იყენებენ დისციპლინის დაცვის სხვადასხვა მეთოდსაც. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში მიდგომები შეიცვალა და დასჯა აღარ არის ისეთი ეფექტური, როგორიც მათ ბავშვობაში იყო.

საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, რესპონდენტები ცდილობენ, უფრო მეტად გამოიყენონ წახალისება შვილების აღზრდისას, რადგან, მათი დაკვირვებით, ეს გაცილებით ეფექტურია, ვიდრე დასჯა. საყურადღებოა ისიც, რომ რესპონდენტები გამორიცხავენ ფიზიკური დასჯის მეთოდის გამოყენებას აღზრდის პროცესში, თუმცა, ამის მიუხედავად, აღიარებენ, რომ ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, გამოუყენებიათ ისეთი მეთოდებიც, როგორიცაა თმის მოწიწკნა, ყურის აწევა, კუთხეში დაყენება, ყვირილი.

„აქ კიდევ ის არის, რომ მშობლები, დედაც და მამაც, უნდა იყვნენ ერთ აზრზე. ბავშვს ორივემ ერთნაირად უნდა უთხრას. როცა სასაყვედუროა, უნდა უსაყვედურონ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში“ (მშობელი).

„დამისჯია, მაგალითად, გამომირთმევია ტელეფონი და არ მიმიცია რაღაცის უფლება. უნდოდა ტელევიზორის ყურება და [ვეუბნები]... არა, მეცადინეობა ვერ მოასწარი და წადი, დაიძინე. მე ვფიქრობ, მშობელმა რაღაც დოზით დასჯა თუ არ გამოიყენა, ასე ჩვენთვის სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. ისეთი თაობა მოდის ახლა, რომ თავის ნებაზე მისაშვებადაც არ ვარგა, ცოტა მუხრუჭები თუ არ გავუკეთეთ. ვსჯი ისე, რომ მათი უფლებები არ იზღუდება. პირიქით, უჩნდებათ იმის განცდა, რომ მათ რაღაც დააშავეს და ამას ხვდებიან. როგორ არ ვიყენებ, ვიყენებ [დასჯის მეთოდებს]“ (მშობელი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ხშირ შემთხვევაში, მშობლებიც და პედაგოგებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ ბავშვთა უფლებების თემის აქტუალიზაციის გამო. მათი თქმით, ბავშვებმა ბევრი გაიგეს საკუთარი უფლებების შესახებ; შესაბამისად, მშობლებსა და მასწავლებლებს შენიშვნის მიცემის უფლებას აღარ აძლევენ. რესპონდენტების თქმით, დღესდღეობით ყურადღება ნაკლებად მახვილდება იმ მოვალეობებზე, რომლებიც ეკისრებათ ბავშვებს, რაც, მათი აზრით, არასწორია. ამის საპასუხოდ, თავად ბავშვები აღნიშნავენ, რომ უფლებების ცოდნა თავის თავშივე მოიცავს მოვალეობების გააზრებას, თუმცა, როგორც ისინი ამბობენ, მათი მშობლების თაობას უჭირს წარსულის ჩარჩოებიდან გამოსვლა და სწორედ ეს არის მიზეზი იმ გაუგებრობისა, რომელსაც ბავშვის უფლებების საკითხი იწვევს.

„ეხლა სკოლაშიც გამოჩნდა უკვე ბავშვთა უფლებები, წერია, ყველა სკოლის შესასვლელში არის, ეხლა უკვე კანონად შემოტანილი წერია უფლებები ბავშვების, მაგრამ ერთი პრობლემაა – ბავშვები კითხულობენ თავის უფლებებს, ეხლა ისეთი თაობა არის მოსული, რომ... მხოლოდ ფიქრობენ თავის უფლებებზე და არა მოვალეობებზე და ასე არ შეიძლება. ცოტა პასუხისმგებლობის გრძნობაც უნდა ჰქონდეთ ბავშვებს და ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ პასუხისმგებლობაც ვასწავლოთ, მარტო უფლებები არ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს. შენი მოვალეობა რა არის, ის უნდა ვასწავლოთ“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

რაც შეეხება წახალისებას, ამ შემთხვევაში რესპონდენტების დიდი ნაწილი ეყრდნობა პრეკონვენციურ და კონვენციურ მორალს, რაც გულისხმობს, რომ პირველ შემთხვევაში

წახალისება ეფუძნება დახმარების გაცვლა-გამოცვლის პრინციპს. მშობლებიც/მეურვეებიც/მზრუნველებიც და ბავშვებიც აღნიშნავენ, რომ მშობელი, მაშინ, როცა ცდილობს, შვილს შეასრულებინოს გარკვეული აქტივობა და აუმაღლოს მოტივაცია, იყენებს პრინციპს: „თუ შენ რაღაცით დამეხმარები, მეც დაგეხმარები“. ასეთ შემთხვევაში წახალისება მეტწილად მოიაზრებს მატერიალურ სიკეთეს, რაც გულისხმობს ბავშვისთვის სასურველი ნივთის, მაგალითად, ტელეფონის, კომპიუტერის, სათამაშოს, ტანსაცმლის შეძენას. მეორე შემთხვევაში, მშობლები/პედაგოგები, როგორც ერთგვარი ავტორიტეტები ბავშვისთვის, ცდილობენ მოზარდებისთვის კარგი ბიჭის/კარგი გოგოს სტატუსის მინიჭებას. ეს განსაკუთრებით გამოიხატება შექებაში, სითბოს გამოხატვაში (ჩახუტება, კოცნა) და სხვ.

„აუცილებლად სჭირდებათ ბავშვებს წახალისება, რაც არ უნდა გიჭირდეს, რაღაცით მაინც... ჩემი ძველი სვიტრი დამირღვევია და მაგისთვის მომიქსოვია, იმიტომ რომ [მეგრძნობინებინა,] აი, შენ რა კარგი იყავი; თუნდაც იმიტომ, რომ იმ თვეში სკოლაში იყო საუკეთესო... მე მეტი არა მაქვს, რა ვქნა, მე მეტი გამოსავალი არ მაქვს, რომ, აი, ამ ხელფასით წავიდე და რაღაცა ვუყიდო. ამით უნდა დავაინტერესო, პატარ-პატარა სათამაშოების მოქსოვა ვასწავლო ეხლა და ის ერთი ჩემი სვიტრი შევწირე იმას, რომ დაჯდნენ და ეს აკეთონ“ (მშობელი).

„წახალისებისთვის ვიყენებ შექებას, საქციელის მოწონებას. ისე, ვცდილობ, რომ არ გადავაჭარბო და თავში არ აუვარდეს. მაქაც ბალანსი უნდა დაიცვა, რომ მერე ძალიან არ გათამამდეს. ზომიერება საჭიროა“ (მშობელი).

„რაღაცას რომ დავპირდები, ვცდილობ, არ მოვატყუო, რადგანაც მე მაინც, [როგორც] მშობელი, მოდელი ვარ მისთვის. ვცდილობ, ტყუილი არ ვუთხრა და არ გამომიჭიროს, რამეს თუ დავპირდები. ამას თუ გააკეთებ, გიყიდი საახალწლოდ ამას... ვცდილობ, მივაჩვიო, რომ ადამიანს რამეს თუ დაპირდები, უნდა შეუსრულო“ (მშობელი).

ბავშვთა მიმართ ძალადობა

როგორც უკვე აღინიშნა, ფაქტობრივად, არც ერთი რესპონდენტი არ ემხრობა ბავშვების მიმართ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას. ასევე, აქვე უნდა ითქვას, რომ მათ უმეტესობას შეუძლია „ძალადობის“ ცნების განმარტება, ასევე ძალადობის ფორმების დასახელება, მათ შორის, ფიზიკურისა და ფსიქოლოგიურის. რაც შეეხება უგულებელყოფას, რესპონდენტები ნაკლებად ასახელებენ ამ ფორმას, როგორც ძალადობას, თუმცა ამის შესახებ ინფორმაციას მათი უმეტესობა ფლობს. ისინი მიიჩნევენ, რომ, თუ ბავშვი ძალადობრივ გარემოში იზრდება, შეექმნება სოციალიზაციის პრობლემები; შესაძლოა, ამან გამოიწვიოს ფსიქოემოციური ფონის გაუარესება, რაც გამოიხატება ქცევით დარღვევებში და, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაში.

„ღმერთმა დაგვიფაროს სისასტიკისგან. მგონი, უარესი შედეგი მოაქვს... თვითონაც ძალადობით გიპასუხებს, ან თავის მეგობარზე იძალადებს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„დღეს წინა პლანზეა ეგ საკითხი, რომ ძალადობა ძალიან ხშირია ბავშვებზე და ძალიან ბევრ ოჯახშია ეგ პრობლემა. ვფიქრობ, რომ ასე არ უნდა იყოს და მაქსიმალურად აღმოფხვრილი უნდა იყოს ბავშვებზე ძალადობა“ (მშობელი).

„ახლა ცოლ-ქმარი რომ რაიმეს ვკამათობთ, იმასაც კი გვიშლის, გარეთ გავა ხმაო, და ბავშვის ცემა სად შეიძლება, ადრე რომ ქამრით და ღენგერით (ღენგერა – გურ. დიალექტ. – ჯოხი. ავტ.) სცემდნენ“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

საყურადღებოა ისიც, რომ რესპონდენტები იხსენებენ თემში (და არა მხოლოდ თემში) მომხდარ ფაქტებს, როცა ბავშვის მიმართ განხორციელებულა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა. ასეთ შემთხვევაში, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოჯახში არსებული კონფლიქტები ოჯახის შიგნითვე უნდა მოგვარდეს, მაგრამ, თუ ეს უკვე შეუძლებელი ხდება, აჯობებს, ჩაერთონ შესაბამისი უწყებები (სამართალდამცავები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები). საყურადღებოა ისიც, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობას არასდროს გაუკეთებია შეტყობინება ძალადობის შესახებ, თუ არ ჩავთვლით სკოლის წარმომადგენლებს, რომელთაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ევალებათ მსხვერპლის გადამისამართება. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო სერვისები არ არის საკმარისი ოჯახების და ბავშვების დასახმარებლად. ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანა და მინდობით აღმზრდელთან გადაყვანაა. ამ გზას კი რესპონდენტები უარყოფითად აფასებენ, რადგან, მათი აზრით, ბავშვი მშობლებთან უნდა იზრდებოდეს, თუნდაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. გარდა ამისა, შეტყობინების განხორციელებას აფერხებს თემში არსებული კავშირები. რესპონდენტების თქმით, სოფელში ურთიერთობის განსხვავებული კულტურაა ჩამოყალიბებული. მოსახლეობა, ძირითადად, ერთმანეთს იცნობს და ყველას ძალიან უჭირს მეზობლების შესახებ პოლიციაში გაცხადება და მათთან დაპირისპირება. გარდა კონფლიქტის საშიშროებისა, რესპონდენტების თქმით, თავადაც ვერ იგრძნობენ თავს დაცულად, რადგან არ იციან, რას უნდა მოელოდნენ მოძალადისგან შეტყობინების მიწოდების შემდეგ. აქედან გამომდინარე, წარმომადგენლები ისეთი ინსტიტუციებისა, როგორიცაა საბავშვო ბაღი და სკოლა, ცდილობენ, თავად მოაგვარონ მსგავსი პრობლემები, სხვა უწყებების ჩარევის გარეშე.

„ახლა მთლად მკვლელობამდე, სახეზე დასახიჩრებამდე თუ არ მივიდა საქმე, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, არ ვყვირივართ და მერე თავში ვირტყამთ ხელს, თუ რამე მოხდა. ესეც, ასე თუ ისე, ჩემთვის ნაცნობია, პატარა სოფელში ვერ დამალავ ამას და

სიმთვრალე როგორი აქვს... რომელ მამაკაცს, ისიც ვიცით. ზოგი მივა სახლში, დაწვება, დაიძინებს და ზოგმა თუ არ იჩხუბა, [არ შეუძლია]. იმ ოჯახში რომ ძალადობაა, ეს ცხადია, მაგრამ [ასე ამბობენ:] ვის არ დაულევია, აბა რა ქნას, იშრომა... არ მოგყვება ოჯახი და არც ბავშვი იტყვის მამაზე ცუდს. სიფხიზლეში მშვენიერი მამაა და არაფერს აკლებს შეიძლება შვილს... თუმცა, ამ მხრივ, ძალადობას სჩადის" (სკოლის წარმომადგენელი).

„ქმარი ბავშვს მოსაკლავად გამოეკიდა, როცა ბავშვი 7 წლის იყო, დანით და იმის მერე შიშები აქვს. თან უყვიროდა: „ჩემი შვილი არ ხარ!" სულ ამას დასჩხავის თავზე. ყოველთვის ძალადობდა, მაგრამ არასდროს არ მიჩივლია. უბრალოდ, გადავწყვიტე, რომ გავშორებოდი... არ მინდოდა დასმენა, სულ შანსს ვაძლევდი, იქნებ, გამოსწორდეს-მეთქი" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ზოგადად, ბავშვები ძალიან ჩაკეტილები არიან და ვერ უმხელენ ხოლმე მშობლებს. ჩემი დაქალი, მაგალითად, ხშირად იყო ბულინგის მსხვერპლი, მშობელს ვერ ეუბნებოდა. ჩემი დახმარებით შეძლო, რომ გაემხილა მშობლებისთვის. ამიტომ უფრო ღია, უფრო გახსნილები უნდა ვიყოთ. უფრო მეტი ტრენინგი უნდა ჩაუტარონ, რომ გაიაზრონ, თუ რამხელა რამე შეიძლება გააკეთონ, იმიტომ რომ ბავშვმა შეიძლება ამით თავს დაუშავოს რამე" (მოზარდი).

„ბავშვის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება თვალნათლივ ეტყობოდეს დაზიანებები, ან ფსიქოლოგიურად იყოს ჩაკეტილი, ან თუნდაც... იყოს გაღიზიანებული, ან რაღაცა სხვადასხვა ფაქტორები იყოს, მაგრამ პრობლემას ვხედავ კიდევ, იცით, რაში? აი, როდესაც, მაგალითად, ძალადობა ხდება ბავშვზე და ამას ხედავს თუნდაც მეზობელი, მშობელი ან აღმზრდელი, ყოველთვის არის ამის შიში და დაუცველობის შეგრძნება, რომ თვითონ ეს პიროვნება, რომელიც ამაზე რეაგირებას მოახდენს, არ იყოს ისევ ძალადობის და იგნორირების მსხვერპლი, თუნდაც ოჯახისგან, თუნდაც ნათესავისგან... ეს პრობლემა არის თემში, სოფელში. იქ არის დედამთილი, მამამთილი და ასე შემდეგ. ანუ კონფიდენციალურობა არ არის და დაცულობას ვერ ვგრძნობ ამ კუთხით, რომ, აი, ძალადობამდე რეაგირება მოახდინოს თუნდაც აღმზრდელმა ამ ფაქტზე, სანამ ძალადობამდე და ფატალურ შედეგამდე მივალთ" (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

„აი, ორჯერ მქონდა ზუსტად ასეთი შემთხვევა და თვითონ ბავშვი ჰყვებოდა, როგორ სცემდა მამა. და მამამისს რომ ვკითხეთ, არაფერი არ ხდებაო. გოგო მყავდა ერთი, რომელიც სულ დალურჯებული, სულ რაღაცა ისეთი მოდიოდა. მშობლებიც გავაფრთხილეთ, ცენტრშიც ჩავაყენეთ საქმის კურსში და მერე მშობელმა წაიყვანა ბავშვი" (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

ბავშვთა განათლება

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ რესპონდენტებისთვის ბავშვის მთავარ მოვალეობად განათლების მიღება მიიჩნევა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კვლევაში ჩართული ყველა მონაწილე მიუთითებდა განათლების მიღების მნიშვნელობაზე, როგორც განვითარებისა და შემდგომი კეთილდღეობის უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტურ საშუალებაზე; მეტიც, როგორც უკვე აღინიშნა, უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტებისთვის „განათლება“ და „განვითარება“ სინონიმური მნიშვნელობის ცნებებია. აღსანიშნავია ასევე, რომ რესპონდენტები საუბრობენ განათლების ყველა საფეხურის მნიშვნელობაზე, კერძოდ, სკოლამდელ, სასკოლო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე.

სკოლამდელი განათლება

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამდელ განათლებას რესპონდენტები აფასებენ, როგორც ბავშვის მომავალი პიროვნული, სოციალური და აკადემიური განვითარებისთვის საჭირო პირველ საფეხურს. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, სკოლამდელ განათლებას ბავშვებისთვის სარგებელი მოაქვს, რადგან საბავშვო ბაღი არის ის ადგილი, სადაც ბავშვი დაისწავლის/გამოიმუშავებს ისეთ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს, როგორიცაა კომუნიკაცია, მოტორიკა, სოციალური თუ კოგნიტური უნარები.

„რასაკვირველია, ბაღი კარგია არა მარტო მშობლისთვის, არამედ ბავშვებისთვის. თავიდანვე ეჩვევიან კომუნიკაციას ადამიანებთან, პედაგოგებთან. წესებს სწავლობენ ქცევის. ყველაფერს ბაღიდან იწყებენ, ანბანსაც. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ იყო, ერთვებოდნენ პედაგოგები და დიდი აღტაცებით იყო ჩემი ბავშვი“ (მშობელი).

„ადამიანი სოციალური არსებაა და, რაც უფრო მრავალფეროვან სოციუმთან და ადამიანთან ექნება ურთიერთობა, უფრო ყალიბდება სრულფასოვან ადამიანად და, რა თქმა უნდა, პატარაობიდან. ამას მნიშვნელობა აქვს... თავის დამკვიდრებისთვის და განვითარებისთვის ბაღი აუცილებელია“ (მშობელი).

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თითქმის ყველა სოფელში ფუნქციონირებს თითო საბავშვო ბაღი მაინც. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, თუ თემი აერთიანებს რამდენიმე სოფელს, შესაძლოა, ერთი ბაღით სარგებლობდეს რამდენიმე სოფლის მოსახლეობა. შესაბამისად, რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ ტრანსპორტირების პრობლემაზე. როგორც კვლევამ აჩვენა, მაშინ, როცა სკოლების დიდ ნაწილს ემსახურება ტრანსპორტი, საბავშვო ბაღი მოკლებულია ამგვარ შესაძლებლობას, რაც იმის მიზეზი ხდება, რომ მოსწავლეები, განსაკუთრებით – ზამთრის პერიოდში ან ამინდის გაუარესებისას, ვერ მონაწილეობენ სასწავლო პროცესში. ასეთ შემთხვევებში ბაღის თანამშრომლები, რომლებიც

გადაადგილდებიან საკუთარი ავტომობილით, ცდილობენ, დაეხმარონ ოჯახებს და თავად უზრუნველყონ ახლოს მცხოვრები აღსაზრდელების ტრანსპორტირება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პანდემიის პირობებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები თითქმის ერთი წლის განმავლობაში დახურული იყო, გახსნის შემდეგ კი გაცდენების რაოდენობამ იმატა. აღნიშნულის მიზეზი არის მშობელთა შიში, გამოწვეული ვირუსის (COVID-19) გავრცელების გამო.

„არიან ძალიან შორს დასახლებიდან და ტრანსპორტის პრობლემაა. აი, თუ სკოლა არაა, იმ დღეს თვალნათლივ ნაკლებია ბავშვების რაოდენობა და სულ არის ეს პრობლემა და სულ ითხოვენ იმას... მხოლოდ საწვავის მხრიდან მაინც რომ იყოს დაფინანსება, მაგრამ... შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ და, აი, ამ დახმარებას, ჩვენ, როგორც საბავშვო ბაღები, [ბავშვებს] ვერ ვუწევთ“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

„ძირითადად, უმრავლესობა მომყავს მე [ჩემი მანქანით], იმიტომ რომ ყველა ჩემი მეზობელი და ახლობელია სოფელში. ძალიან დიდი სიფრთხილით, სხვათა შორის, ძალიან რთულია ეს, მაგრამ მინდა, დავუდგე მშობელს გვერდში. არ მაქვს ბავშვების ნაკლებობის პრობლემა და მაგიტომ არ ვაკეთებ, ბავშვების სიყვარულისთვის ვაკეთებ ამას და მშობლებთან კარგი ურთიერთობისთვის. რომ იყოს ტრანსპორტი ან რაღაცა, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი მოვა კიდევ; აი ის გაცდენები არ იქნება საბავშვო ბაღში“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

როგორც ბაღის თანამშრომლები აღნიშნავენ, დღესდღეობით სოფლებში არიან ოჯახები, რომელთა წევრები ვერ აფასებენ ბაღის მნიშვნელობას. შესაბამისად, არიან ბავშვები, რომლებიც არ დადიან საბავშვო ბაღში. როგორც ბაღის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ისინი სოფლის ამბულატორიის დახმარებით ფლობენ ინფორმაციას სოფლად მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვების შესახებ. არის შემთხვევები, როდესაც ოჯახი სოფლად არსებულ ბაღს მუნიციპალიტეტის ცენტრში მომუშავე დაწესებულებებს ამჯობინებს. რესპონდენტების თქმით, ზოგიერთ ოჯახს ურჩევნია, ბავშვი დარჩეს შინ, ვიდრე იაროს ბაღში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, უმეტესად, ეს ეხება მშობლებს, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი, შესაბამისად, ამჯობინებენ, შვილი დღეს ატარებდეს არა ბაღში, არამედ შინ, ოჯახის წევრებთან ერთად. საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ისინი ცდილობენ, ესაუბრონ ამ მშობლებს, დაანახვონ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა; მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ განათლების ეს საფეხური სავალდებულო არ არის, უმეტეს შემთხვევაში, სასურველ შედეგს ვერ აღწევენ. იხსენებენ ფაქტებს, როცა ბავშვი არ გამოთქვამს ბაღში დარჩენის სურვილს, ტირის და მძიმდება მისი ფსიქოემოციური მდგომარეობა. ასეთ შემთხვევაში, ბაღის წარმომადგენლები სთხოვენ მშობლებს, რომ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში დაეხმარონ ბავშვს, მცირე დროით დატოვონ ბაღში და თავადაც გაატარონ გარკვეული დრო დაწესებულებაში. თუმცა, ზოგჯერ მშობლები ამჯობინებენ, აღარ ატარონ შვილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. რაც შეეხება სოციალურად დაუცველ

ოჯახებს, ბაღის წარმომადგენელთა თქმით, უმეტესად, სოფელში ამ კატეგორიის ოჯახების შვილები დადიან საბავშვო ბაღში. ამ შემთხვევაში მათი მოტივაცია, რესპონდენტთა აზრით, არა მხოლოდ სოციალიზაცია და განათლების მიღებაა, არამედ იმ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, რომლებსაც, შესაძლოა, მშობელი ვერ უზრუნველყოფდეს (მაგალითად, კვება, დღის რეჟიმის, ჰიგიენის ნორმების დაცვა და სხვ.).

„არიან ასეთებიც, რომ არ დაჰყავთ ბავშვი ბაღში. ვფლობთ ინფორმაციას, არაერთხელ მშობელთან გვქონია კითხვა, რა თქმა უნდა, მეზობლურ ურთიერთობაში და ძალიან თბილად; „აი, რატომ არ მოგყავთ?“ მაგრამ რატომღაც, ვფიქრობ, რომ ვერ ითავისებენ იმას, თუ რა შეუძლია საბავშვო ბაღს, გაუკეთოს ბავშვს და ამიტომ ხდება ეს“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

„თემში შეიძლება იყოს დაახლოებით 7-8 ბავშვი, რომლებიც არ დადიან ბაღში. უბრალოდ, არ სურთ. არიან ისეთებიც, [რომლებსაც] არ აქვთ სოციალური პრობლემა, მაგრამ, უბრალოდ, არ სურთ. „ბავშვი ამბობს უარს და არ მოვიყვან“ [ეს არის მშობლის არგუმენტი]. არასოდეს არ მოუყვანია [მშობელს], იქნებ, მოყვანის შემდეგ არ თქვას უარი და ძალიან მოეწონოს“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

„აუცილებელია ბაღში სიარული... მაგრამ მეცოდებოდა, ტიროდა, არ ჩერდებოდა. რომ ვხედავდი ატირებულს, მეც ვტიროდი. თან ვცხოვრობ ბაღის გვერდით, ყველანი შინაურები არიან, მაგრამ არა, არ ჩერდებოდა და ამის გამო წამოვიყვანე, რომ ტიროდა“ (მშობელი).

„ამ სოციალური კუთხით კიდევ უფრო მეტად გააქტიურებული არიან მშობლები და მოჰყავთ საბავშვო ბაღში [ბავშვები]“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

„საჭმელიც რომ არ ჰქონდათ, ისეთი ბავშვებიც დადიოდნენ და დადიან, ძირითადად. კიდევ იყო, რომ ვერ ტოვებდნენ ბავშვებსაც სახლში. აი, რომ მუშაობს დედ-მამა და დამტოვებელი არ ჰყავს. იძულებულია მშობელი, რომ იმუშაოს“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

რაც შეეხება ბაღში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესს და შინაარსობრივ მხარეს, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს ბავშვების საჭიროებებს. რესპონდენტები ნაკლებად საუბრობენ აღზრდის მეთოდოლოგიაზე, იმ პრინციპებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობენ პედაგოგები. მიიჩნევენ, რომ ამ მხრივ პრობლემები არ არსებობს. როგორც მშობლები და ბაღის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, უმეტეს შემთხვევაში, ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი სწორედ მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსების ნაკლებობაა.

სასკოლო განათლება

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ზოგადი განათლების საფეხური ბავშვის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. როგორც მშობლები/მეურვეები/მზრუნველები აცხადებენ, მათთვის მთავარი საზრუნავი სწორედ ის არის, რომ ბავშვებს შეუქმნან საჭირო პირობები, მიიღონ სრულფასოვანი განათლება, რაც მათი აზრით, შემდგომი წარმატების საწინდარი გახდება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რესპონდენტები თავიანთ თემში ვერ იხსენებენ სასკოლო ასაკის ბავშვს, რომელიც არ დადის სკოლაში. როგორც ვიცით, სასკოლო განათლება არის სავალდებულო და ეს კანონით რეგულირდება, შესაბამისად, ოჯახები ვალდებულნი არიან, ბავშვები სკოლაში ატარონ.

აღსანიშნავია, რომ მშობლები, ძირითადად, კმაყოფილნი არიან შვილების აკადემიური მოსწრებით და სწავლისადმი მათი დამოკიდებულებით. უმეტეს შემთხვევაში, გამახვილდა ყურადღება იმაზედაც, რომ მნიშვნელოვანი არ არის, რამდენად მაღალი შეფასებები ექნება მოსწავლეს ყველა საგანში. მშობლების თქმით, მთავარია, ბავშვი შეეცადოს, გაიგოს სხვადასხვა საგნის მასალა. თუმცა, ისინი იაზრებენ, რომ ყველაფრის ერთ დონეზე შესწავლა საკმაოდ რთულია. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ მათი შვილები საკმაოდ კარგად ართმევენ თავს სასკოლო პროგრამას და სწავლის პროცესს მაქსიმუმს თუ არა, საკმარის შრომას ახმარენ. საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი შვილები მეტწილად უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო/საკანცელარიო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით. გამოიკვეთა, რომ სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათი გახდა ოჯახებისთვის. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი დროულად ვერ ახერხებენ საჭირო დამატებითი წიგნების ან საკანცელარიო ნივთების შეძენას, თუმცა, ელემენტარულ პირობებს მაინც უქმნიან საკუთარ შვილებს, რომ მათ განათლების მიღება შეძლონ.

„წინა წლებში გვქონდა, მაგალითად, რესურსებზე, საკანცელარიო ნივთებზე [შეძენის პრობლემა], იმიტომ რომ ოთხი მყავს სასკოლო. წელს პროგრამა იყო, პრემიერ-მინისტრმა გარკვეული თანხა გადმოგვცა და ცოტა ხელგაშლილად შევიძინეთ, მარა მერე სკოლაც არ იყო და ამიტომ სახლში მოგვიწია ამ ნივთების გამოყენება და საინტერესოდ გაატარეს ბავშვებმა ეს პერიოდი, როცა ონლაინ-სწავლება იყო, ფერადი ფურცლებიც ჰქონდათ“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

რაც შეეხება თავად სასწავლო პროცესს, გამოკითხული მშობლების უმრავლესობა კმაყოფილია მასწავლებელთა მუშაობით. ისინი მიიჩნევენ, რომ მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ, დაეხმარონ ბავშვებს განათლების მიღებაში და შექმნან მათ საჭიროებებზე მორგებული გარემო. მეტიც, მშობელთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ პედაგოგი როგორც მოსწავლისთვის, ისევე მშობლისთვის უნდა იყოს ავტორიტეტი და

დევიაციურ ქცევად მიიჩნევა მასწავლებლისთვის შენიშვნის მიცემა ან საყვედურის თქმა მშობლის მხრიდან, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა შეიძლება იკვეთებოდეს არა მოსწავლის, არამედ პედაგოგის ბრალეულობა. რესპონდენტები მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას უმეტესად კლასის დამრიგებლებს ანიჭებენ და მიიჩნევენ, რომ სწორედ კლასის დამრიგებელი უნდა ეცადოს, განათლების მიცემასთან ერთად, მოსწავლეებს სწორი ფასეულობები და ღირებულებები განუვითაროს.

„მასწავლებლისთვის ცუდი არ მითქვამს. ვცდილობ, რომ ბავშვი გავამტყუნო. მასწავლებელი ყოველთვის მართალია“ (მშობელი).

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა კმაყოფილია პედაგოგების მუშაობით, გამოიკვეთა, რომ მათი შვილები საჭიროებენ დამატებით მომზადებას სხვადასხვა სასკოლო საგანში. ძირითადად, ეს საგნებია: უცხო ენები (ინგლისური, რუსული), მათემატიკა და ქართული ენა და ლიტერატურა. საყურადღებოა ისიც, რომ მშობლები შვილებს დამატებით ატარებენ არა მხოლოდ საკუთარი სკოლის პედაგოგებთან, არამედ სხვა სკოლის პედაგოგებთანაც. ეს კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსებთან. რესპონდენტების თქმით, რეპეტიტორთან ერთ საგანში მომზადების საფასური, სულ მცირე, 50 ლარს შეადგენს. მიუხედავად კერძო მასწავლებელთან სიარულის საჭიროებისა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ეს გამოწვეულია არა სკოლის პედაგოგის მუშაობის დაბალი ხარისხით, არამედ სასკოლო პროგრამის სირთულით, სასკოლო პროგრამასთან ეროვნული გამოცდების პროგრამის შეუთავსებლობით, ასევე, კლასში მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებით. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მხოლოდ სკოლას არ განიხილავს საკმარის რესურსად და მიიჩნევს, რომ, რაც არ უნდა კარგი მასწავლებელი ჰყავდეს ბავშვს და რაც არ უნდა მონდომებული იყოს მოზარდი, მხოლოდ სასკოლო განათლებით წარმატებას ვერ მიაღწევს. ასეთ შემთხვევაში, გაცილებით რთულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობა, რადგან, მათი თქმით, ისინი ვერ ახერხებენ დამატებით საგნებში ბავშვების მომზადებას საჭირო ფინანსური რესურსების არქონის გამო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ სკოლის პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ დამატებით დახმარებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამას ადასტურებენ როგორც მშობლები, ასევე სკოლის წარმომადგენლებიც. თუმცა, საყურადღებოა ისიც, რომ, რესპონდენტების თქმით, უმეტეს შემთხვევაში, ამგვარმა მიდგომამ არ გაამართლა, რადგან ეს მომსახურება იყო უფასო და არც ერთი მხარე არ გამოირჩეოდა პასუხისმგებლობით. მართალია, პროცესი იწყებოდა დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ არც მოსწავლეები და არც პედაგოგები ინიციატივას აღარ იჩენდნენ.

„კი, მინდა განათლებული ბავშვი, მაგრამ რა ვქნა, მომზადების საშუალება რომ არ მაქვს!“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ჩემი გოგოები მოვიდნენ, მამამისს უთხრეს, რომ, მამა, ჩვენ ჩამოვრჩით და, თუ შეგიძლია, მოგვეხმარო, იმიტომ რომ... გვჭირდება ინგლისურში დახმარებაო. ახლა წავიდა ჩემი ქმარი, ცოტა მაინც რომ რამე ყოველდღიურად იმუშაოს, რადგან, როცა ბავშვი ასე აღიარებს, რომ მას სჭირდება ცოდნაში დახმარება და იმას ვერ დაეხმარები, მაგაზე საშინელი არაფერი არაა და ძალიან ძნელია, რომ არ გაქვს ამის საშუალება“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მასწავლებელსაც თავისი სამსახური აქვს და ის არ არის ვალდებული, სამსახურის იქით დაუჯდეს ბავშვს და დავალება დააწერინოს. მაგრამ, პროგრამას რაც შეეხება, მშობელი მაღალ კლასში ვალდებულია, ბავშვი მიიყვანოს რეპეტიტორთან“ (მშობელი).

„მარტო მასწავლებლის ბრალი არაა მაგი, სკოლა რომ არ აძლევს სათანადო განათლებას. არც ბავშვები არ უსმენენ. მარტო მასწავლებელთან რომ მიდის და თვითონ ამეცადინებს მასწავლებელი, იქ უფრო მეტი მომთხოვნელობაა ალბათ, ერთი-ერთზე რომაა და უფრო პასუხისმგებლობას გრძნობს... უფრო ისწავლოს, მოემზადოს. სკოლაში ბევრი რომაა ბავშვი, გაფანტულია, არ აქცევს მასწავლებელს ყურადღებას, თუ არა მასწავლებელი ყველა ერთნაირად უხსნის, ყველა ერთნაირად აგებინებს, ყველა მასწავლებელს უნდა, რომ ყველა კაი ბავშვი იყოს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ჩემი სკოლის გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ თითოეული მასწავლებელი დაინტერესებულია, რომ, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებით გამოუყოს დრო მეცადინეობისათვის. არც ერთი მასწავლებელი ამაზე უარს არ იტყვის. თვითონ არიან დამატებითი გაკვეთილის ინიციატორები, მით უმეტეს, დისტანციური სწავლების შემდეგ ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნათ ბავშვებს, თუნდაც ათვისებაში. თუმცა, რაც სკოლაში გამოვიდნენ, მასწავლებელთა უმრავლესობა ცდილობს, რომ, თუკი ოდნავ მაინც დაინახავს დაინტერესებას მოსწავლეებში, დამატებით ამეცადინოს. ჩვენთან არის ასეთი პრეცედენტი აქტიურად“ (მშობელი).

„ცალკე, ასე რომ ვთქვათ, სოციალურად დაუცველებისთვის, აი ამას ვაკეთებთ... რა თქმა უნდა, გვქონდა ასეთი ტიპის შეთავაზება იმათთვის, ვისაც რეპეტიტორებთან აქვთ მერე გადასახდელი, ადგილზე, ჩვენი მასწავლებლები, უსასყიდლოდ, კვირაში 1 დღეს [გაკვეთილს უტარებდნენ] მათემატიკის გასაძლიერებლად. სხვადასხვა წრეების შეთავაზება გვქონდა ასეთი, მაგრამ, აი, შეძლეულ ხორცს ძაღლიც არ ეტანებაო. ამის გამო თითქოს ერთ დღეს იყო ჩართულობა მაღალი ხარისხით, შემდეგ ნელ-ნელა იკლო და ბოლოს ისე... [შემცირდა] მოტივაცია, ვიფიქრეთ კიდეც, რომ მასწავლებელმა ხომ არ გააუარესა სერვისი? კვლევები არ ჩაგვიტარებია, მაგრამ დაკვირვება, რა თქმა უნდა, და დიალოგი გვქონდა ერთმანეთთან და ვსაუბრობდით, რაში იყო საქმე, რა მოხდა. მერე დავადგინეთ, რომ ალბათ

არ შევთავაზეთ ის პროგრამა, რომელიც მათ უფრო მეტად სჭირდებოდათ“ (სკოლის წარმომადგენელი).

რაც შეეხება პანდემიის პირობებში დისტანციურ სწავლებას, რესპონდენტები მას ცალსახად ნეგატიურ შეფასებას აძლევენ. პირველ რიგში, მთავარი პრობლემა იყო კომუნიკაციის ნაკლებობა, თუმცა, ამავე დროს, ბევრი ბავშვი სასწავლო პროცესის მიღმა დარჩა. ამის მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო ინტერნეტის და/ან საჭირო ტექნიკური მოწყობილობის არარსებობა ოჯახში. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებში, როგორც წესი, დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკა ან საერთოდ არ მოიპოვებოდა, ან არ იყო საკმარისი. როგორც თავდაპირველად აღინიშნა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებში, მეტწილად, 4 ან მეტი ბავშვი ცხოვრობს; შესაბამისად, ყველა მათგანს ფიზიკურად არ ჰქონდა შესაძლებლობა, დასწრებოდა online-გაკვეთილებს. მშობლების თქმით, მათ სურდათ, შეეძინათ ტელეფონი ან კომპიუტერი, რათა ბავშვები ჩართულიყვნენ საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ მატერიალური ფონი კიდევ უფრო დამძიმებული იყო, რადგან უმეტესმა მათგანმა დაკარგა ყოველდღიური მცირე შემოსავალი, ასევე, საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობაც. აქედან გამომდინარე, საკმაოდ ბევრი ბავშვი დარჩა განათლების მიღმა. აღსანიშნავია ისიც, რომ პედაგოგთა ნაწილი ცდილობდა, შეეთავაზებინა მოსწავლეებისთვის ინტერნეტის თანხის ჩარიცხვა სატელეფონო ანგარიშზე, მაგრამ, მასწავლებლების თქმით, ამას ხშირად ნეგატიური შეფასებები მოჰყვებოდა მოსწავლეთა მხრიდან. ისინი, უმეტესად, უარს ამბობდნენ მსგავს დახმარებაზე და, მეტიც, მასწავლებელთა თქმით, ზოგ შემთხვევაში, ამას შეურაცხყოფადაც კი აღიქვამდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლებიც და პედაგოგებიც საკმაოდ დადებითად აფასებდნენ მასწავლებელთა მუშაობას დისტანციური სწავლების პროცესში, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ პედაგოგები ნაკლებად იყვნენ მოტივირებულნი, სასწავლო პროცესი საინტერესო და მრავალფეროვანი ყოფილიყო. ბავშვების თქმით, დისტანციური სწავლების პროცესში სწავლის ხარისხი კიდევ უფრო დაქვეითდა და ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ ბავშვების სიზარმაცით, არამედ პედაგოგთა დამოკიდებულებებითა და არასაკმარისი უნარ-ჩვევებით. მოსწავლეთა თქმით, ზოგ შემთხვევაში მასწავლებელს ეზარებოდა გაკვეთილის ჩატარება, აგვიანებდა, ვერ ფლობდა ტექნიკას. შესაბამისად, ეს ყველაფერი კიდევ უფრო ნეგატიურად აისახებოდა ბავშვების მოტივაციაზე.

„ინტერნეტი როგორ ჩავრთო? 200 ლარიდან 35 ლარი ინტერნეტში როგორ გადავიხადო? მარტო შუქი მაქვს შეყვანილი სახლში. რამდენი უნდა ქნას ამ სოციალურის 200-მა ლარმა? მთავრობის წევრების შვილები საფრანგეთში და სად არ სწავლობენ და ჩემი შვილი უსახსრობის გამო ვერ ახერხებს სწავლას. ინტერნეტი კი არა, მობილური ტელეფონი ვერ მიყიდია. მთავრობის წევრები ჩვენი და ჩვენი წინაპრების ნაშრომით გამდიდრდნენ და ჩვენ მშიერი უნდა ვიყოთ?“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ძალიან რთული იყო ჩემთვისაც, იმიტომ რომ ტელეფონი არ მქონდა და ვერ ვერთვებოდი, ფაქტიურად, ონლაინ-გაკვეთილებში“ (მოსწავლე).

„რაც შეეხება თვითონ სკოლის განათლებას, ვფიქრობ, რომ მაქსიმალურს არ აკეთებენ; თუმცა, ნუ, შესაძლებელია, რომ გააკეთონ. ყველა სკოლას აქვს ეს პრობლემა. ვფიქრობ, სწავლის დონემაც დაიწია... შეძლებისდაგვარად კი ახერხებენ რაღაცას, თუმცა, მაინც უკან დახია, როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები [ამ ყველაფერმა] და ეს აისახა გამოცდების ჩაბარების დროს მასწავლებლებში... როცა ბავშვს სთხოვ ონლაინ-გაკვეთილზე დასწრებას და ამ დროს შენ აგვიანებ ოცი წუთით, ნახევარი საათით და ხანდახან ამბობ, რომ, იცით, რა, ბავშვებო, დღეს მეზარება, მოდი, ხვალ ჩავატაროთ, ეს უკვე ბავშვზეც მოქმედებს და მერე ითხოვ ბავშვისგან იმას, რასაც რეალურად შენ არ აკეთებ. სკოლაც რომ დაიწყო, კი, დაიწყო და რაღაცა, მაგრამ ძალიან შენელებული ტემპით. იმის მაგივრად, რომ, რაც დავკარგეთ, ავანაზღაუროთ და ცოტა მეტი პასუხისმგებლობა... გვქონდეს, ყველა მოშვებულია“ (მოსწავლე).

„მე პირადად ერთ მოსწავლეს შევთავაზე და ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი, ინტერნეტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით. თან ძალიან რბილად [ვუთხარი], ჩემი აზრით, მაგრამ მან რაღაც იუხერხულა და მერე გადავწყვიტე, რომ აღარ შევთავაზებდი მსგავს რაღაცას, რომ თავი უხერხულად არ ეგრძნო და დაველოდე, როცა მან მოახერხა ჩართვა. რამდენიმე გაკვეთილი გააცდინა (სკოლის წარმომადგენელი).

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, გამოიკვეთა, რომ, ხშირ შემთხვევაში, სკოლის ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და რესურსები ვერ აკმაყოფილებს ბავშვთა საჭიროებებს. ამაზე საუბრობენ როგორც მშობლები, ისე მოსწავლეები და სკოლის წარმომადგენლები. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება საბუნებისმეტყველო საგნებსა და ე.წ. „კეთებით სწავლის“ (learning by doing) გამოწვევებზე. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სკოლა გარემონტებულია, ცდებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მაინც მოუწესრიგებელი რჩება. კვლევაში ჩართული მოსწავლეები, ასევე, მიუთითებენ სკოლებში ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობაზე, რაც მათი აზრით, სასწავლო პროცესში ხელის შემშლელი ფაქტორია.

„ჩვენს სკოლაში ყველაფრის სიმცირეს განვიცდით, ტექნოლოგიიდან დაწყებული. ბიბლიოთეკაც არ გვაქვს. [არ გვაქვს] შესაბამისი მხატვრული ლიტერატურა, 5-10 წიგნი მოიძებნება, რომლებიც შეგიძლია, გამოიყენო. ამავდროულად, არც რამე ლაბორატორია ან რამე მსგავსი რამ არ გაგვაჩნია, არც სპორტული დარბაზი. და, აი, ერთადერთი, რაც გაგვაჩნია, ესაა მერხი და სკამი. მივდივართ, დავჯდებით, ვსწავლობთ და მოვდივართ. არაა რამე დამატებითი რესურსი, გაკვეთილი ქიმიაში მერე ლაბორატორიაში რომ გადავიტანოთ; ან ტექნოლოგიები; „ისტ“-ის გაკვეთილები ნორმალურად რომ ჩატარდეს. ჩვენთან მსგავსი

რამ ვერ ტარდება, რადგან გვაქვს ტექნოლოგიური [აღჭურვილობის] სიმცირე. ეს პრობლემა მოუგვარებელი რჩება“ (მოსწავლე).

რაც შეეხება გახანგრძლივებულ ჯგუფებს, მსგავსი შეთავაზება მოსწავლეებისთვის მუნიციპალიტეტის სოფლების სკოლებს არ აქვთ. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, გახანგრძლივებული ჯგუფების არსებობა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა სკოლას აქვს ამის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სკოლაში არსებობდეს სასადილო, სადაც მოსწავლეები შეძლებენ დღის განმავლობაში კვებას, ასევე, იყოს პედაგოგი, რომელიც იმუშავებს გახანგრძლივებულ ჯგუფებთან და ექნება დამატებითი ანაზღაურება; აუცილებელია პროგრამაც, რომელზე დაყრდნობითაც, გახანგრძლივებულ ჯგუფებში ბავშვები შეასრულებენ სხვადასხვა აქტივობასა თუ დავალებას. სკოლის წარმომადგენლების თქმით, ბავშვებისთვის, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის, მნიშვნელოვანია თავისუფალი დროის ქონა და დასვენება; შესაბამისად, თუ გახანგრძლივებული ჯგუფები იარსებებს, ეს პროცესი უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მოსწავლეები არ გადაიტვირთონ.

„თუ გვინდა, რომ გახანგრძლივებული ჯგუფები იყოს ეფექტიანი და ბავშვისთვის ცალკე წამებად არ გადაიქცეს, იმისთვის, რომ მშობლებს ჰყავდეს ისინი მობარებული... სკოლებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინფრასტურქტურა. მაგალითად, ჰქონდეთ წესიერი სასადილო, სადაც ბავშვი იაფად შეძლებს, რომ ისადილოს. აბა, მშიერი ხომ არ იქნება მთელი დღე? და, აი, ეს გახანგრძლივებული რა ფორმით იქნება კიდევ, 6 გაკვეთილის მერე... 3 გაკვეთილს ჩაუტარებენ? წესით, ასე ხდება ხოლმე. თუ ეს იქნება რაღაცა ისეთი, მაგალითად, წრე იქნება მისი ინტერესების შესაბამისი, სპორტით დაკავების საშუალება ექნება, რამე სასიამოვნო იქნება ბავშვისთვის, რომელმაც 6 საათი იმუშავა გაკვეთილებზე და მთელი ენერგია დახარჯა. ასეთ შემთხვევაში სასარგებლოა, ჩემს შემთხვევაში კი, რაც მახსოვს ეს გახანგრძლივებულები, ტანჯვის გაგრძელება იყო, მე თუ მკითხავთ“ (სკოლის წარმომადგენელი).

კვლევის შედეგების მიხედვით, ასევე გამოიკვეთა, რომ უმრავლესობა რესპონდენტებისა, რომლებსაც აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, სამომავლოდ სწავლის გაგრძელებას უკავშირებს პროფესიულ კოლეჯს და, მეტწილად, კულინარიის სფეროს. თუმცა, გამოვლინდა შემთხვევები, როცა მშობლები ცდილობენ, შვილებს დაანახვონ უმაღლესი განათლების საჭიროება და ბავშვებიც გამოთქვამენ სურვილს, სწავლა უნივერსიტეტში გააგრძელონ. აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში თითქმის არ გამოვლენილა შემთხვევა, როცა სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე ოჯახის წარმომადგენელი შვილის სამომავლო პერსპექტივად, უმაღლესი სასწავლებლის გარდა, სხვა არჩევანს განიხილავდეს.

„ერთს უნდა, გამოვიდეს კულინარი და მეორეს უნდა, იყოს დიზაინერი, კაბებს და ესკიზებს დიდებულად აკეთებს, საოცრად. არ გამჩენია სურვილი, რომ უმაღლესი დაამთავროს

მაინცდამაინც. სულ არ მაინტერესებს, ვინ იტყვის, რომ ჩემი შვილი იქნება თუ არა უმაღლესდამთავრებული. მე ძალიან მწყდება გული, ძალიან ბევრი რამე მინდოდა, მექნა და მამაჩემმა, სანამ უმაღლესს არ დაამთავრებო... ორი წითელი დიპლომი მიდევს სახლში და ვარ დამლაგებელი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ახლა ჩემს შვილებზე ვფიქრობ, რომ კოლეჯში ჩააბარონ, კულინარია ისწავლონ და, სავარაუდოდ, მომავლისთვის ძალიან მინდა, რომ პატარა ოჯახური რაღაცა გავაკეთოთ, თუ მექნება დაფინანსება. ჯერ ეს ძალიან ადრეა, პატარები არიან, მაგრამ ასეთი მიზანი აქვთ, რომ მეც ვისწავლო, მათთან ერთად ვიარო კოლეჯში და ვისწავლო კულინარია, რომ შემდეგ მომავლისთვის საოჯახო რაღაცა გავაკეთოთ“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„კი მინდა, ჩემმა შვილიშვილმა ისწავლოს უნივერსიტეტშიც, მაგრამ, თუ ვერ მოვახერხებთ, არ მაქვს საშუალება, პროფესია მაინც უნდა მიიღოს რამე“ (მზრუნველი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მე ბავშვობიდან მქონდა მიზანი, რომ აუცილებლად უნივერსიტეტი დამემთავრებინა. ახლაც მაგ აზრზე ვარ. ვაბარებ იურიდიულზე, უნდა გამოვიდე სახალხო უფლებათა დამცველი და ამ გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარა ის, რომ ძალიან ბევრ ორგანიზაციაში დავდიოდი, ბევრ ლექციებს ვესწრებოდი და უფრო მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ უნდა გავყვე ამ სფეროს და, რა ვიცი, იმედი მაქვს და, რა ვიცი, ყველაფერი ისე გამოვა, როგორც მაქვს ჩაფიქრებული“ (მოსწავლე).

ინკლუზიური განათლება

რესპონდენტების გარკვეული ნაწილის თქმით, მათი შვილები ჩართულნი არიან ინკლუზიური განათლების პროგრამაში. შესაბამისად, სკოლაში ჰყავთ სპეციალური პედაგოგი. ნაწილი მშობლებისა ამ მხრივ კმაყოფილია სკოლის მუშაობით, თუმცა, არ უჭირთ ისეთი ფაქტების გახსენება, როდესაც მათი შვილი გამხდარა ბულინგის მსხვერპლი. გარდა ამისა, ისინი მიუთითებენ სკოლაში ინდივიდუალური ასისტენტის საჭიროებაზე, რადგან მათ შვილებს აქვთ სპეციფიკური საჭიროებები, რომლებსაც სპეციალური პედაგოგი ვერც დააკმაყოფილებს და თანაც ეს, მათი თქმით, არც ევალება. გარდა ამისა, იკვეთება, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სპეციალური პედაგოგი მუშაობს ბავშვთან ინდივიდუალურად და ვერ ხერხდება ამ უკანასკნელის ინტეგრაცია კლასში. ეს კიდევ უფრო აშკარა გახდა პანდემიის პირობებში, როდესაც უმეტესად მხოლოდ სპეციალური პედაგოგი ურთიერთობდა მშობელსა და მოსწავლესთან და ბავშვი თითქმის არასდროს არ იყო ჩართული ჩვეულებრივ დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში კლასელებთან ერთად. როგორც მშობლები აღნიშნავენ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც ნაკლებად არის მორგებული ბავშვის შესაძლებლობებზე, რაც საბოლოოდ იწვევს იმას, რომ მოსწავლის აკადემიური განვითარება

შედარებით ნელა მიმდინარეობს. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ ინკლუზიური განათლება სკოლებში არაეფექტურია, რადგან პროგრამები არ არის მორგებული კონკრეტული ბავშვის საჭიროებებზე. ამიტომ მშობელთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი შვილი/შვილები, რომლებიც ამ ეტაპზე ჩართულნი არიან ინკლუზიური განათლების პროგრამაში, საჭიროებენ სპეციალიზებულ სკოლას და არა ტიპურს.

„ერთადერთი პრობლემა მე მაქვს ის, რომ ბავშვს უჭირს ცოტა სწავლა და ცოტა დახმარება სჭირდებოდა. ფსიქოლოგთან მინდოდა მიყვანა. ჩემს გოგოს ჰყავს კლასში 2 მოსწავლე, რომლებსაც ცალკე მასწავლებელი სჭირდება. მასწავლებელი ვერანაირად ვერ ახერხებს, რომ დააწყნაროს, არის ძალიან ცელქი. მხოლოდ ერთადერთი პრობლემა ეს არის კლასში, რომ ამათ სჭირდებათ გამოყოფილი ცალკე მასწავლებელი. ჩემს შვილსაც რომ უჭირს სწავლა, მასწავლებელს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ ბავშვებს ასწავლოს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„სპეცმასწავლებელმა რა იცის პირის ღრუს დამუშავება?! იმან თავისი საქმე იცის. ჩვენ ძალიან კარგი დირექტორი გვყავს, ყველნაირად ცდილობს, ჩემს შვილს ხელი შეუწყოს, სპეცმასწავლებელიც ჰყავს სკოლაში, მაგრამ ის თავის საქმეს აკეთებს, ამეცადინებს და ა.შ., მაგრამ იმას სულ სხვა რაღაცები სჭირდება. სკოლის პროგრამა ჩემს შვილს ვერ დააკმაყოფილებს, სკოლაში უნდა ისწავლოს ჯანსაღმა, ღმერთმა კარგად უმყოფოს ყველას შვილები. აი, ჩემს შვილს უფრო სხვანაირი სკოლა და სხვანაირი დახმარება სჭირდება, სულ სხვა კუთხით მიდგომა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ადაპტირება მოვახდინეთ სკოლის ახლა და იყო ამაზე მთელი ამბავი, ცოტა წინააღმდეგობები, მაგრამ გაკეთდა ეს სკოლაში, ადაპტირება გვაქვს. აქამდე მეორე სართულზე, სანამ უფრო მსუბუქი იყო, ვეხმარებოდი და ამყავდა, მაგრამ სხვა თუ გვერდიდან არ დაგეხმარა, ჩათვალე, წაშლილია და მთლად ჩამოგეყრდნობა. სკოლაში კი დამყავს, მაგრამ ახლა სკოლის მარშრუტკა არ არის ადაპტირებული და ვერ გადამყავს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„დადის სკოლაში ჩვეულებრივად. რა ვქნა, ექიმმა მითხრა, რომ მიიყვანე სკოლაში, რომ ბავშვებთან ურთიერთობა ჰქონდესო, მაგრამ მთელი დღე სკოლაში ვარ. იმიტომ რომ ხშირი ნერწყვდენა აქვს პირიდან, იმას გამოცვლა უნდა, სხვანაირი ყურადღება უნდა, არა გვაქვს მაგის პირობები, მაგრამ იძულებული ვარ, მივიყვანო სკოლაში. უჭირს, მესამე კლასშია, მაგრამ ვერ წერს, ასოებს ზოგიერთს კი ხვდება, მაგრამ მაინც კლასელებთანაა და არ მინდა, რომ გაუცხოვდეს და ბავშვებთან ურთიერთობას მიეჩვიოს. კონფლიქტური არაა, ჩვეულებრივად არის ბავშვებთან და, რა ვიცი, ნელ-ნელა ვცდილობ... ლოგოპედი სჭირდება, კი არის, მაგრამ ფული უნდა და მე არ მაქვს საშუალება“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მე რომ წავიყვანე ჩემი შვილი სკოლაში, ეტლით დამყავდა მთელი ერთი კილომეტრი იქით და აქეთ, მაგრამ ბავშვებმა პირველად რომ დაინახეს ეტლით... მისი კლასელები შეგუებულები არიან და უხაროდათ, მაგრამ დანარჩენები სკოლის კარებში არ შედიოდნენ და ისე უტრიალებდნენ გარშემო... თვალი როგორც მოვაცილე, დამიშვეს ბორბალი, იმდენი ვიწვალე, ძლივს მოვაღწიე სახლამდე იმ დღეს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ის პრობლემა იკვეთება, რომ ინკლუზიური ბავშვები ვერ ერთვებიან სასწავლო პროცესში. დისტანციურ გაკვეთილებზე მასწავლებლებს არც კი აქვთ მცდელობა, რომ ასეთი ბავშვები, რომლებსაც სპეციალური საჭიროება აქვთ, ჩართონ პროცესში და, ასე ვთქვათ, არ დატოვონ განათლების მიღმა. ასეთი ჩვენს ირგვლივ ძალიან ბევრია“ (მოსწავლე).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, სკოლის წარმომადგენლების თქმით, ხშირია შემთხვევები, როცა თავად მშობელი არ აღიარებს, რომ ბავშვს სჭირდება სპეციალური პედაგოგი და აუცილებელია მისი ჩართვა ინკლუზიური განათლების პროგრამაში. როგორც პედაგოგები/აღმზრდელები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ეს თემა ჯერ კიდევ ტაბუდადებულია და ხშირ შემთხვევაში ბევრ სტერეოტიპთან არის დაკავშირებული. უმეტესად, ინკლუზიური განათლების შესახებ საკმაოდ მწირია ინფორმაცია. შესაბამისად, მათ უწევთ მშობლების დარწმუნება, რომ ბავშვებს შეუქმნან მათთვის საჭირო გარემო, თუმცა, რესპონდენტების თქმით, ეს ხშირად არ გამოსდით. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტების უმრავლესობა, მათ შორის პედაგოგებიც, იყენებენ ისეთ ტერმინოლოგიას, როგორიცაა, მაგალითად, „ინკლუზიური მოსწავლე“, რაც ბავშვის მიმართ დამატებით სტიგმას აჩენს.

„ერთი ბავშვი გვყავს, რომელსაც აქვს აუტიზმი, ძალიან რთულად, მაგრამ მშობელი არ აღიარებს ამას. რამდენჯერ ჩართულობაც გავაკეთეთ მშობელთანაც, ჩვენი მენეჯერიც, რა თქმა უნდა, მუშაობს, გვყავს სპეცმასწავლებელიც. ეს რაღაც გასაუბრებები არ არის საკმარისი, რომ არ იყოს სირცხვილი, რომ ბავშვს ამხელა პრობლემა აქვს და უნდა დაძლიოს და მიხმარება სჭირდება. არ აქვს ჩემს შვილს არაფერიო, რომელსაც აშკარად გამოხატული აქვს [პრობლემა] და არის აუტისტი. ძალიან რთულია, რომელი მშობელიც არ აღიარებს, იმასთან ურთიერთობა. რაც არ უნდა ეცადო, თუ მშობელმა არ აღიარა, ვერაფერს ვერ გახდები ასეთ ბავშვთან“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

არაფორმალური განათლება

გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არაფორმალურ განათლებასაც. აღნიშნავენ, რომ არაფორმალური აქტივობები, ერთი მხრივ, ახალ ცოდნასა და გამოცდილებას სძენს ბავშვებს, მეორე მხრივ კი, ეხმარება სოციალიზაციის პროცესში.

ასევე, ხელს უწყობს დროის მართვას, ინტერესის ჩამოყალიბებას და სხვ. მიუხედავად ბავშვის განვითარებაზე არაფორმალური განათლების პოზიტიური გავლენისა, ოჯახების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს შვილების არაფორმალურ წრეებში შეყვანას, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ, რესპონდენტთა თქმით, სოფლებში საკმაოდ იშვიათია არაფორმალური წრეები. მეტწილად, მათ უწევთ, ბავშვი მუნიციპალურ ცენტრში, ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებულ ხატვის, ცეკვისა თუ მუსიკის წრეებზე ატარონ. წრეებზე სიარული მნიშვნელოვან თანხასთან არის დაკავშირებული და ესეც ბავშვების არაფორმალურ წრეებში ჩაურთველობის ერთ-ერთი საყურადღებო მიზეზია; ამას ემატება დამატებითი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მგზავრობასთან სოფლიდან მუნიციპალიტეტამდე და უკან; ასევე გასათვალისწინებელია კვებისთვის საჭირო თანხა.

„სამწუხაროდ, სოფელში არ გვაქვს ასეთი არაფერი. ოზურგეთში – კი. იმიტომ რომ ჩვენს სოფელში არც ცეკვის, არც სიმღერის, არც სპორტული წრე არ არის. სხვათა შორის, კარგი, ლამაზი სოფელი გვაქვს, ძალიან კარგი ხალხი და ბევრი ახალგაზრდა ცხოვრობენ და არ გვაქვს ამის საშუალება“ (მშობელი).

რესპონდენტები ასევე მიუთითებენ იმაზედაც, რომ ზოგიერთ სოფელში (უმეტესად, სკოლის ბაზაზე) არსებობს სხვადასხვა წრე, ძირითადად, ჭიდაობის, რაგბის, ცეკვის და გიტარის. მათგან ნაწილი სახელმწიფოს მიერ არის დაფინანსებული, შესაბამისად, მოსწავლეები თანხას არ იხდიან. ასევე წრეები, რომლებიც ფასიანია, ხშირად უწესებს შეღავათებს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებს; მაგრამ, როგორც თავად ამ ოჯახების წარმომადგენლები აღნიშნავენ, თუნდაც მცირეოდენი გადასახადი მათთვის ტვირთია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სხვადასხვა წრეზე სიარული დაკავშირებულია საჭირო ატრიბუტებისა და რესურსების შეძენასთან, როგორიცაა ცეკვის ფორმები, სპორტული ფეხსაცმელი, ფუნჯები, საღებავები, მუსიკალური ინსტრუმენტი და სხვ.

„არის სპორტული დარბაზი. ნუ, არ არის მთლად კარგი, მაგრამ უფასოდ ასწავლიან ჭიდაობას ბავშვებს. ჩემი უმცროსი შვილი იქ დადიოდა. პანდემიის გამო აღარ დადის. რამდენსაც აქვს სურვილი, ყველა დადის ჭიდაობაზე. ერთადერთი, მთავარი წუხილი ის არის, რომ არ არის ისეთი აღჭურვილი, რაც აუცილებელია. მოძველებულია. შეკეთებას საჭიროებს. თვითონ საშხაპეებიც. ითქვა, გაკეთდებაო, და, როდის იქნება, არ ვიცით“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„არის საფეხბურთო გუნდი და დღესაც განაგრძობენ, სხვათა შორის, მომზადებას. ფასიანი არ არის, ადგილობრივ მასწავლებელს აქვს. ხარჯები, რა თქმა უნდა, არის, თუ ტურნირებზე წავლენ და ეს თავისთავად ხდება. როგორც ასეთი, გადასახადი არ არის“ (სკოლის წარმომადგენელი).

„ფეხბურთის წრე იყო, უფასო... დაფინანსებულია გამგეობის მიერ. რაგბის წრეა, უფასო არის ესეც და ცეკვის წრე, როგორც ტრადიციულად, ფასიანია... გადასახადი საკმაოდ [შეღავათიანია] ყოველ შემთხვევაში, მაგრამ, აი, ეს სპორტული წრეები არის უფასო, რომლებსაც საკმაოდ კვალიფიციური ხალხი ემსახურება“ (სკოლის წარმომადგენელი).

პედაგოგები ასევე იხსენებენ შემთხვევებს, როცა სკოლის ბაზაზე არსებობდა უფასო არაფორმალური წრეები, მაგრამ ბავშვების დაინტერესება არ იყო დიდი. ამას პედაგოგები, ძირითადად, ხსნიან იმით, რომ ის, რაშიც თანხა არ არის გადასახდელი, არ ფასდება მნიშვნელოვნად. შესაბამისად, სოფელში არსებულმა რამდენიმე უფასო წრემ ფუნქციონირება სწორედ ბავშვების სიმცირის გამო შეწყვიტა. ამის პარალელურად, პედაგოგები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მშობლები ამჯობინებენ, თავიანთი შვილები მუნიციპალურ ცენტრში ატარონ სხვადასხვა წრეზე და ამაში თანხაც გადაიხადონ.

„ჩემთან იყო გიტარის წრე, რომელსაც [გამგეობა] აფინანსებდა. მანამდე დადიოდა მასწავლებელი სკოლაში და ბავშვები იხდიდნენ ფულს. მერე, როცა საკრებულომ დააფინანსა, ამის შემდეგ უკვე ნაკლები იყო აქტივობა. გამიკვირდა ძალიან. რატომღაც ჩათვალეს, რომ ოზურგეთში უკეთესად ასწავლიდნენ, სადაც ფულს გადაიხდიდნენ და ეს მშობლის გადაწყვეტილება უფრო იყო, ვიდრე მოსწავლის“ (სკოლის წარმომადგენელი).

საბოლოო ჯამში, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა გვესაუბრა სოფლებში სხვადასხვა არაფორმალური წრის არსებობის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე, რაც გააქტიურებს ბავშვებს და უფრო ხელმისაწვდომს გახდის ოჯახებისთვის მათი ინტერესების დაკმაყოფილებას.

მშობლის ჩართულობა შვილის/შვილების განათლების პროცესში

რესპონდენტების უმრავლესობა აქცენტს აკეთებს ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში მშობლის ჩართულობის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით სიღრმისეულად აცნობიერებენ ამ საკითხს სწორედ საბავშვო ბაღისა და სკოლის წარმომადგენლები. როგორც ისინი აღნიშნავენ, მათი დაკვირვებით, ბავშვი, რომლის მშობელიც ჩართულია სასწავლო პროცესებში, გაცილებით წარმატებულია და, უმეტესად, აღწევს დასახულ მიზნებს. სკოლისა და ბაღის წარმომადგენლების თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულება მარტო ბევრს ვერაფერს შეძლებს, რადგან მშობლებს ბავშვის განვითარების ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. რესპონდენტების აზრით, მშობელთა ჩართულობა არ გამოიხატება მხოლოდ ბაღში ან სკოლაში შვილის მოყვანით; მნიშვნელოვანია, მშობელი ეხმარებოდეს ბავშვს დავალებების მომზადების პროცესში, ჩაერთოს სკოლის ან ბაღის აქტივობებში, კომუნიკაცია ჰქონდეს კლასის დამრიგებელთან ან ბაღის აღმზრდელთან. პედაგოგებისა და აღმზრდელების აზრით, მსგავსი ჩართულობა მშობლების მხრიდან საკმაოდ იშვიათია,

რადგან მშობლები, მეტწილად, დასაქმებული არიან და ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების შესრულებას ვერ ახერხებენ. ამას ემატება ისიც, რომ კვლევის მონაწილენი ცხოვრობენ სოფლად და, პედაგოგთა თქმით, სოფლის მოსახლეობა გაცილებით დაკავებულია, ვიდრე ქალაქისა.

„ჩემი აზრით, მთავარი, რაც შეუძლია სკოლას, მშობლებთან ჰქონდეს უფრო ახლო კომუნიკაცია და აუხსნას მშობელს, რას ნიშნავს შვილისთვის მშობლის მხარდაჭერა და გვერდით დგომა. მე მინახავს ძალიან ბევრი წარმატებული ადამიანი და ძალიან წარმატებული ბავშვი, რომლის მშობელი იყო დაინტერესებული თავისი შვილის მხარდაჭერით და სულ კითხულობდა ამბავს, დაჰყავდა რაღაც წრეებზე. არ ვგულისხმობ, რომ სცემს სწავლის დროს... სხვათა შორის, ყველა მშობელი მონდომებულია დაწყებითებში და ეს მონდომება 80%-ით გამოიხატება ცემაში, იმიტომ რომ არ იცის ხალხმა, როგორ დაეხმაროს შვილს და, აი, აქ სჭირდება ადამიანებს, ჩემი აზრით, [რჩევის მიცემა]“ (სკოლის წარმომადგენელი).

თავად მშობლებიც მიიჩნევენ, რომ მათი ჩართულობა შვილების საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანია, თუმცა, გამოყოფენ რამდენიმე ასპექტს, რომლებიც ამ მიმართულებით მათთვის ხელის შემშლელია. პირველი ფაქტორი არის გადატვირთული დღის გრაფიკი, რასაც პედაგოგებიც აღნიშნავდნენ; მეორე შემთხვევაში კი არის მშობლის შესაძლებლობები და უნარი, მიეშველოს შვილს გაკვეთილების მომზადებაში. მშობლების დიდი ნაწილი ამბობს, რომ არ აქვს საკმარისი განათლება, რომ დაეხმაროს საკუთარ შვილებს თუნდაც მათემატიკაში ან უცხო ენებში. სწორედ ასე ხსნიან ისინი იმას, რომ ბავშვებს დაწყებითი კლასებიდანვე სჭირდებათ დამატებითი მომზადება სხვადასხვა საგანში.

„თუ შენ შეგეძლება, სახლში ბავშვს აუხსნა და კიდევ ერთხელ გაუმეორო რაღაცა, ამას თავისებური მიდგომა, განათლება სჭირდება და მე ამ ყველაფერს ვერ გავაკეთებ, რადგან არასრული საშუალო მაქვს დამთავრებული; კარგად ძალიან, მაგრამ ახლა სხვანაირი პროგრამები და სხვანაირი გაძლიერებული რაღაცები წამოვიდა. მე თვითონ ვერ ვხვდები და ბავშვს ვერ ვუხსნი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„რა თქმა უნდა, მე ვეხმარები, მაგრამ მათემატიკაში, მაგალითად, არის ლოგიკური ამოცანები. ბავშვს კი არა, შეიძლება, დიდსაც გაუჭირდეს. ახსნილი მოაქვს, რა თქმა უნდა, მასალა, მაგრამ არის ხანდახან, რომ სჭირდება მაინც დახმარება. შეიძლება, აუხსნა და გააგებინო უფრო. მშობელზეც არის, დაწყებითში – მით უმეტეს, სჭირდებათ ბავშვებს მაინც დახმარება და ახსნა. ვისაც დრო აქვს და ეხმარება, რა თქმა უნდა, უკეთესია“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

მშობელთა განათლება

კვლევის შედეგების მიხედვით, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მშობლების განათლების უმაღლესი საფეხური, უმეტესად, პროფესიული ან საშუალო განათლებაა. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ასეთი სტატუსის მქონე მშობლების გარკვეულ ნაწილს აქვს არასრული საშუალო განათლება. მეორე მხრივ, მშობლებს, რომლებსაც არ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, ძირითადად, მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ეკონომიკის, ფილოლოგიის, პედაგოგიკის, ჟურნალისტიკის და სხვა სფეროებში.

გამოიკვეთა, რომ მშობლების დიდი ნაწილი სწორედ სწავლის პერიოდში დაოჯახდა და გააჩინა შვილი. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორი რესპონდენტების მიერ დასახელდა როგორც ხელის შემშლელი სწავლის გაგრძელების პროცესში. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ მათ ვერ შეძლეს სწავლისა და ოჯახური საქმიანობის შეთავსება, რის გამოც ვერ მოახერხეს სწავლის დასრულება. თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მშობლები დღესაც არიან ჩართული საგანმანათლებლო პროცესში და ცდილობენ, გაიუმჯობესონ შესაძლებლობები. კვლევის შედეგების მიხედვით, ამ მიმართულებით მშობლები ირჩევენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული პროფესიული კოლეჯის სხვადასხვა სასწავლო მოდულს, კერძოდ, პედაგოგიკას, კულინარიას, სტილისტის პროფესიას. თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ მშობელთა რიცხვი საკმაოდ მცირეა. რესპონდენტების უმრავლესობის თქმით, ამ ეტაპზე მათ განათლების მიღების არც დრო აქვთ და არც შესაძლებლობა; თანაც მიიჩნევენ, რომ განათლების მიღებას აქვს კონკრეტული პერიოდი, რომელიც მათ უკვე ამოწურეს.

„საშუალო განათლება მაქვს, თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვეღარ გავაგრძელე“ (მშობელი).

„განათლება ისეთი მივიღე, რომ თოხის და ბარის მეტი არ შემიძლია არაფერი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

> *„ფარმაცევტის [სპეციალობას] ვსწავლობდი. პირველი კურსი დავამთავრე, მერე კოლეჯში დავდიოდი, ორსული რომ ვიყავი, მაგრამ მერე ბავშვი რომ დაიბადა პრობლემური. მეორე კურსი ვერ დავამთავრე [უსახსრობის] გამო და... მოკლედ, ძალიან მიყვარდა ეს პროფესია, წამლებში გაცნობიერებული ვარ 16 წლიდან, ყველაფერი ვიცი, მაგრამ ვერ დავამთავრე ამის გამო“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).*
>
> *„ვმუშაობ და, ამავე დროს, ვსწავლობ პროფესიულზე, პედაგოგიურზე, საბავშვო ბაღის აღმზრდელის [სპეციალობით]“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).*

რესპონდენტების მცირე ნაწილი გამოთქვამს სურვილს, ჩაერთოს საგანმანათლებლო ტრენინგებსა და შეხვედრებში, რომლებიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ბავშვთა განვითარება და მისი მახასიათებლები, ბავშვის აღზრდის მეთოდები, ბავშვის უფლებები. ეს

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მათ აღნიშნულ საკითხებზე საკმარისი ცოდნა დააგროვეს, თუმცა ფიქრობენ, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები ეფექტური იქნება ახალგაზრდა მშობლებისთვის, რომლებიც სწორედ ახლა იწყებენ მშობლობის უნარ-ჩვევების ათვისებას.

„ახალგაზრდა, დამწყები მშობლისთვის კარგი იქნება ნამდვილად. ეხლა მე გამოვიარე ეგ ასაკი და, პატარები ვისაც ჰყავს, ვფიქრობ, რომ არ იქნებოდა ურიგო“ (მშობელი).

„მე ვფიქრობ, რომ, როგორც დამწყები მშობლისთვის, ასევე ცოტა დიდი ასაკის მქონე მშობლებისთვის, საინტერესო იქნება. შეიძლება არ ვიცით ჩვენ ბევრი რამ ბავშვთა უფლებებზე. ასე რომ, მე მგონი, კარგი იქნება“ (მშობელი).

ჯანმრთელობის დაცვა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

ჯანმრთელობის დაცვის საკითხი, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, რესპონდენტებმა საკმაოდ მნიშვნელოვან გამოწვევად დაასახელეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა მწვავედ, როგორც წესი, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებისთვის დგას. საყურადღებოა ისიც, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტებისთვის სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება გახდეს. რესპონდენტები მიუთითებენ ბავშვთა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაზე, რაც, ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს მკურნალობას, ეს კი საკმაოდ დიდ თანხასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ამ ნაწილში ბევრი ხარვეზია, რის გამოც აღნიშნული მნიშვნელოვან შეღავათს ვერ უწევს ამ კატეგორიის ოჯახებს.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა

კვლევაში ჩართული რესპონდენტების დიდ ნაწილს, რომელიც სახელმწიფოსგან მიზნობრივ სოციალურ დახმარებას იღებს, ჰყავს შვილები, რომლებიც, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკურ მოვლასა და გარემოს საჭიროებენ. ეს, ძირითადად, უკავშირდება ბავშვთა შეზღუდულ გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. უმეტეს შემთხვევაში, ოჯახები ვერ უქმნიან საკუთარ შვილებს ადაპტირებულ გარემოს, მათი საცხოვრებელი პირობები კი არ შეესაბამება იმ საჭიროებებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აქვთ. ეს მეტწილად ეხებათ ბავშვებს, რომლებიც გადაადგილდებიან ეტლით. მშობლები ამბობენ, რომ ხშირად ბავშვი ერთი ოთახიდან მეორეში ვერ გადის, რადგან კარის ჩარჩო ვიწროა, ეტლი კი – ფართო; ამასთან, ძნელია საპირფარეშოსა და აბაზანაში ბავშვების გაყვანა და მათი მომსახურება, რადგან არც ისინი არ არის მორგებული ბავშვების საჭიროებებზე. შესაბამისად, მშობლები მიუთითებენ, რომ მათ საკუთარი ხელით უწევთ შშმ შვილების გადაადგილება, რაც საკმაოდ შრომატევადია და

მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. ამასთან, გარდა გარემო პირობებისა, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ ოჯახებისთვის არის მკურნალობასთან დაკავშირებული თანხა. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მათ შვილებს ჯანმრთელობის არაერთი პრობლემა აქვთ, რეგულარულად სჭირდებათ გამოკვლევები, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მათი თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ხშირ შემთხვევაში ვერ იღებენ დახმარებას, რადგან ძვირად ღირებული გამოკვლევები, რომლებიც მათი შვილებისთვის აუცილებელია, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ნაზღაურდება. ასეთ შემთხვევაში, რესპონდენტები მიმართავენ ადგილობრივ ხელისუფლებას. მშობლების თქმით, არის შემთხვევები, როცა თვითმმართველობა ან კერძო ფონდები გამოყოფენ თანხას ბავშვის კვლევისთვის ან რეაბილიტაციის კურსისთვის, მაგრამ ეს ფინანსური სახსრები განკუთვნილია მხოლოდ მკურნალობისთვის, დამატებით კი დგება ტრანსპორტის დაქირავების, სხვა ქალაქში დროებით ცხოვრების საჭიროება, რადგან კვლევების უმრავლესობა გურიის რეგიონში არ ტარდება. ეს კი, რესპონდენტთა თქმით, მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული.

გარდა რეგულარული კვლევებისა, რესპონდენტების თქმით, არის შემთხვევები, როცა მათ შვილებს სჭირდებათ კონსულტაცია სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებთან. ასეთ შემთხვევაში, მშობლები მიუთითებენ კონსულტაციის მაღალ ღირებულებაზე, რომელსაც დაზღვევა არ ანაზღაურებს. რესპონდენტებს არ უჭირთ ისეთი შემთხვევების გახსენება, როდესაც ბავშვს სჭირდებოდა სამედიცინო ჩარევა, მაგრამ თანხის არქონის გამო მშობელმა ამის უზრუნველყოფა ვერ შეძლო. მეტიც, რესპონდენტები ასახელებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც მათ, საავადმყოფოში მისულთ, არ აღმოაჩნდათ საკმარისი თანხა და გადახდის გარეშე მოუხდათ გამოპარვა სამედიცინო დაწესებულებიდან. აღნიშნული საკითხი, რესპონდენტების აზრით, ყველაზე მწვავედ დგას მათთვის და, გარდა ფიზიკური ჯანმრთელობისა, ნეგატიურად აისახება როგორც მათ ფსიქიკაზე, ისე მათი შვილების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე.

„ჩემს ბავშვებსაც აქვს პრობლემა მხედველობასთან დაკავშირებით, ახლომხედველები არიან. ყოველ 6 თვეში ვუცვლი სათვალეს. აქ, ოზურგეთში, ვერ უმკურნალეს კარგად. მერე თურქეთშიც მყავდა, თბილისშიც და, ბოლოს, ბათუმში დაგვყავს ახლა. ყოველ 6 თვეში კი უნდა დავდიოდეთ, მაგრამ... ვერ ვახერხებ და ვახერხებ ყოველ წელიწადში ერთხელ. ექვს თვეში ერთხელ რომ მივიყვანო, უფრო კარგი იქნება. ახლა კიდევ გამიტეხა ახალი სათვალე, 100-ლარიანი სათვალე გაუტყდა სკოლაში და ახლა სათვალე მაქვს სასწრაფოდ შესაცვლელი. ორი ბიჭი მყავს და ორივეს თვალზე აქვს პრობლემა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„70 კილოა ჩემი შვილი... ტუალეტში [თავისით] ვერაფრით ვერ იზამს, თუ თავზე არ ადგახარ. გოგოა, რცხვენია, პამპერსში ვერ იზამს, რომ მოკლა, რომ გასკდეს, და ამის გამო ვერ მიმყავს ამხელა გზაზე. დავრჩი, ვერაფერი ვერ გავაკეთე. ხან ხალხი დამეხმარა... ინტერნეტში ფული

გადმოურიცხეს, ფული შეგროვდა, მაგრამ ბავშვი ვერ მიმყავს, ვერც თბილისში და ვერც ქუთაისში. პატარა მანქანაში ვერაფრით ვერ ჩავსვი. მარტო ვარ მე, ზურგიანად ყველაფერი მტკივა. 2 ადამიანი ვერ ჩასვამს პატარა მანქანაში ვერაფრით, ვერ მიუდგები. მერე რომ ჩავსვი და ამხელა სიმძიმეს ვზიდავ, მეც ვწვალობ, ბავშვიც წვალობს, მერე იმ მანქანასაც ხომ ფული უნდა" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ჩვენც ბათუმში გვყავდა ჩემი შვილი, ძლივს გავუკეთე ერთი ოპერაცია. ახლა კიდე წასაყვანია. თბილისში ან ბათუმში წავიყვან, მე მგონი, ერთი ოპერაცია კიდე სჭირდება. გავუკეთე ერთი წელი რეაბილიტაცია, მაგრამ უკვე ველარ დაგვყავს, იმიტომ რომ 250 ლარი ბინას უნდა, შელავათიან ფასში, 250 ლარი კვებას უნდა. მეუღლეს მიყავს, კი ბატონო, მაგრამ 500 ლარი ყველა თვეში რანაირად გამოვყო?! 360 მქონდა სოციალური, 310 დამიტოვეს, 16 წლისაა, და დანარჩენი მომაკლეს" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„სისხლის შედედება აქვს მაღალი დონის, [რაკი] ზის, მსუქნად არის და, ეტყობა, პროტრომბინიც ძალიან დაბალი აქვს. რომ გავუსინჯე ანალიზები, შეიცხადა ექიმმა, უნდა ჩამოიყვანოო. ვერ ჩავიყვანე. რაღაც პრობლემები ჰქონდა ადრე, ბავშვთა გინეკოლოგი სჭირდებოდა. ჩავიყვანე. უბრალოდ, შეხედა ექიმმა, ხელიც არ მოკიდა და, 60 ლარი გამოუწერეთო, და გამოვიპარეთ საავადმყოფოდან. არ მქონდა ფული და ჩავსვი ბავშვი მანქანაში, ეტლი დავტოვე და გამოვიქეცით. გამოვიპარეთ... მეგონა, რომ გზაში მომდევდნენ, ისე მრცხვენოდა, მაგრამ რა მექნა? არაფერი დანიშნულება არ გაუკეთებიათ, შეხედეს და მორჩა" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ თავად მედიცინის მუშაკების შეურაცხმყოფელ და ძალადობრივ დამოკიდებულებაზე მათ მიმართ. იხსენებენ ფაქტებს, როდესაც ექიმი მათ მდგომარეობას არ მოეკიდა სათანადო ყურადღებით, გამოიჩინა გულგრილობა და პაციენტს დაუნიშნა ძვირად ღირებული, მაგრამ არაეფექტური მკურნალობის კურსი, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვა ოჯახებს.

„მოხდა ტვინის აფეთქება და ტვინში სისხლმა გაჟონა. თურქეთშიც გადავიყვანეთ [ბავშვი], შემდეგ თბილისში, ჟვანიას კლინიკაში მყავდა და მითხრეს, არ აქვს ამ ბავშვს ეპილეფსიაო, არ გრცხვენიათო, ფულის გამო ყველაფერს კადრულობთო; არადა, 24 საათში ჩემს შვილს 65-ჯერ და 70-ჯერ აქვს კრუნჩხვა, 24 საათში. იმ დონეზე მოკვდა ტვინი, რომ, როგორც ჩვილი ბავშვი, 6 თვის ბავშვი რომ არის, ბურდღუნებს, ისე ლაპარაკობს 16 წლის, და პენსიის გამო ვაკეთებთ თურმე ამას. და ამ დროს ჩემი ბავშვი რომ ჩავარდებოდა კრუნჩხვაში და 1 მეტრზე რომ გაიქნევდა, სად მოხვდებოდა, ღმერთმა უწყის. ჩხუბი მოგვივიდა ექიმთან და, რომ წაიქცა ჩემი ბავშვი და ჩავარდა კრუნჩხვაში, მერე კი გვიხადეს ბოდიშები, მაგრამ რაღაში მჭირდებოდა" (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„აი, სადაც გინდა მიხვიდე, რომც კვდებოდეს შენი შვილი, თუ ფული ხელში არ გაქვს, ზედაც არ გიყურებენ. მე უკვე მაგ საავადმყოფოებში გავიზარდე, რომ იტყვიან, და ვიცი“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მყავდა რეანიმაციაში ბავშვი, ჩემი ხელიდან რომ ჭამს და არავის არ იკარებს, ამიყვანეს. ვუთხარი, რომ არ შეჭამს და შიმშილით ხომ არ მოვკლავთ ბავშვს-მეთქი. იქ ისეთ სიტუაციას შევესწარი, მოხუცი კაცი იყო ცუდად, დგებოდა და ეუბნებოდა, ცუდად ვარ და გამიყვანე გარეთო, და ისეთი შემოსდო ექთანმა მამაკაცს, მეორე დღეს, დილით, ის კაცი გარდაიცვალა. ხომ ვერ ვიტყოდი ამას, აი, ვერ ვამბობდი; რომ მეთქვა, უნდა მქონოდა დამამტკიცებელი საბუთი. იქ ყველა გვერდში დაუდგებოდა იმ ექთანს. ისეთი განუკითხაობაა ჩვენთან, საავადმყოფოში. ავადმყოფი ცუდად არის, სიკვდილს ებრძვის და შენ ხელს ურტყამ. აი, ასეთი სიტუაციაა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის თქმით, ბავშვები აყვანილი არიან ამბულატორიაში აღრიცხვაზე და ჩატარებული აქვთ ასაკობრივი აცრები. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, დისკუსიის მონაწილეები ნაკლებად მიმართავენ ამბულატორიებს, რადგან, მათი გამოცდილებით, შემდეგ მაინც მოუწევთ მუნიციპალურ საავადმყოფოში ვიზიტი. შესაბამისად, სოფლის ექიმებთან ურთიერთობა ნაკლებად აქვთ. რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ისინი მეტ-ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ; ამაში მოიაზრებენ წნევის გასინჯვას, გაციების დროს მკურნალობას, გულის წასვლის შემთხვევაში მოქმედებას და სხვ. აღნიშნული, მათი თქმით, გამოცდილებით ისწავლეს, რადგან ნებისმიერ დედას შეიძლება მსგავსი რამ დასჭირდეს.

მშობლის ფსიქოემოციური მდგომარეობა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ ირგვლივ ხშირად არის სტრესული გარემო და ამის გამომწვევი უამრავი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, გაცილებით მძიმეა ფსიქოემოციური მდგომარეობა იმ ოჯახების წევრებისა, რომლებსაც აწუხებთ როგორც ეკონომიკური, ისე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. რესპონდენტების თქმით, ისინი ხშირად გრძნობენ შფოთვას, შიშს, არიან დეპრესიულ მდგომარეობაში, ვერ ხედავენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც ნეგატიურად აისახება მათ როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამასთან, მიუთითებენ, რომ ამ მხრივ მათ ნაკლებად ჰყავთ მხარდამჭერი ადამიანი ან სისტემა. რესპონდენტები მიუთითებენ ფსიქოლოგების საჭიროებაზე; აღნიშნავენ, რომ სტრესთან ბრძოლა საკმაოდ რთულია და არის შემთხვევები, როცა ინდივიდს უკვე თავად აღარ შეუძლია არსებულ რეალობასთან გამკლავება. თუმცა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დგას კვალიფიციური ფსიქოლოგის და, ზოგადად, ფსიქოლოგის, არსებობის პრობლემა, სხვა

ქალაქებში კი ფსიქოლოგის მომსახურება საკმაოდ დიდ თანხასთან არის დაკავშირებული. კვლევაში ჩართული ადამიანების გამოცდილებით, ხშირ შემთხვევაში, ფსიქოლოგის როლს ითავსებს სასულიერო პირი, მოძღვარი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, რესპონდენტების თქმით, ისინი ცდილობენ, ისწავლონ ამ პრობლემებთან ერთად ცხოვრება და მათთან გამკლავება. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თავიანთ შვილებს არ უნდა აგრძნობინონ დაძაბულობა, უნდა შექმნან მშვიდი და თბილი ატმოსფერო. რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სტრესისა და ბრაზის მართვა მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა აგრესია შვილზე არ გადაიტანოს. როგორც თავად ამბობენ, ისინი განსხვავებულად უმკლავდებიან მსგავს სიტუაციებს, კერძოდ, განმარტოვდებიან, დაკავდებიან რაიმე საქმით, გაეცლებიან სტრესულ გარემოს და საუბრობენ მეზობლებთან.

„მე მეშინია საკუთარი თავის და სულ ვფიქრობ, რომ ერთ დღესაც შეიძლება აღარ გამეღვიძოს და ბავშვს რა ეშველება… ბავშვს სჭირდება მუდმივი მიხედვა და საჭიროებს დახმარებას, რაღაცა მომავალი [უნდა] შეუქმნა, რაღაცა გაუკეთო, რაღაცა დაუტოვო, რომ ვიღაცამ რაღაცის გამო მაინც მიხედოს, რაღაცის გამო მაინც გაუკეთოს, სულ ეს შიშები მაქვს. ვმუშაობ საკუთარ თავზე, ვეუბნები, რომ მე უნდა ვიყო კარგად; მე თუ ძლიერი არ ან ვერ ვიქნები, ვერ გავუკეთებ ვერაფერს. ჩემი შვილებისთვის უნდა ვიყო მაგრად, უნდა ვიდგე ფეხზე მყარად, უნდა გამოვიყურებოდე კარგად; რომ ბავშვიც დასტრესილი არ იყოს, უნდა იყოს მშვიდი, გაღიმებული... თბილი და ტკბილი ოჯახი, სადაც იზრდებიან ბავშვები, ყველაფერს ვაკეთებ ამისთვის. ძალად გაკრეჭაც რომ დამჭირდეს, ამასაც ვაკეთებ ამათი გულისთვის. მაგრამ მეშინია საკუთარი თავის, რომ რამე, ბავშვი მრჩება ისე, რაღაცნაირად, და სულ ამაზე ვფიქრობ, სულ ამის მეშინია...“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„საკუთარი თავის წამალი და მკურნალი შენ თვითონ უნდა იყო. შენ ვერავინ ვერ დაგეხმარება, საკუთარი თავის გარდა, ვერც დამამშვიდებელი და ვერც ფსიქოლოგი. შენ [თვითონ] უნდა გაიაზრო, რომ ეს შენ გჭირდება, შენი კარგად ყოფნისთვის ესაა აუცილებელი. შენ უნდა დაარწმუნო შენი თავი, რომ წამოიყვანო წინ“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„რომ დაჯდები საღამოს და, ვაიმე, ხვალ რა ვაჭამო ბავშვებს, იმას რომ გაიფიქრებ, იქ დარწმუნებული ვარ, ყვავილების გამოჭრის და კედლებზე გაფორმების თავი არც ერთ მშობელს არ აქვს, ამის დარდის და... ფიქრის [გამო]“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„მასწავლებელმა რომ დაურეკა ჩემს შვილს, რატომ არ შემოდიხარ, „არას“ გიწერო, ეს ჩემთვის იყო იმდენად ისეთი, თავი მეგონა დამნაშავე. მე ვარ სახლში, მე რატომ არ მივდივარ [სამუშაოდ], მე ჯანმრთელობა არ მიშვებს. რატომ არ აქვს ჩემს შვილს ის, რაც ყველას აქვს- მეთქი... ეს იყო, რა ვიცი, გამოვიჭირე მერე ჩემი თავი იმაში, რომ ბავშვებთან მქონდა ნაკლები

კონტაქტი, იმაზე ფიქრით, საიდან რა მექნა, რა გამეკეთებინა. დედიკო, მოგვეხმარეო, [მეუბნებოდნენ]. სულ დამავიწყდა, რომ იმათ ახლა უფრო მეტი უნდათ, უფრო მეტი სჭირდებოდათ მიხმარება; რომ არ ჰქონდათ, რა მექნა, აღარ ვიცოდი. ძნელია ის მომენტი, რომ იმას აქვს და შენ არ გაქვს და რომ გჭირდება, ძალიან რთული აღსაქმელია მშობლისთვის და როცა არ შეგიძლია... ნერვიულობისგან ცუდად გავმხდარვარ" (მშობელი).

დისფუნქციური ქცევა და მისი შედეგები

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დიდი ნაწილის ცოდნა ოჯახური დისფუნქციის შესახებ საკმაოდ მწირია. მათ უჭირთ ტერმინის განმარტება, თუმცა, მეტ-ნაკლებად შეუძლიათ იმ მახასიათებლების თუ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომლებიც შეიძლება დისფუნქციურობის გამომწვევი იყოს. რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, მათი ცოდნა მეტწილად შემოიფარგლება საკუთარ გამოცდილებაზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციით. ძირითადად, ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ სოციალური მუშაკები, რომლებიც დისფუნქციის სხვადასხვა მახასიათებელს გამოყოფენ, კერძოდ: პრობლემების გადაჭრის უნარის უქონლობას, დისციპლინის არამდგრადობას, მხარდაჭერის, ზრუნვის და სიყვარულის ნაკლებობას/არამდგრადობას, აღზრდის კომპეტენციების არარსებობას, ბავშვის საბაზისო საჭიროებების უგულებელყოფას.

კვლევაში ჩართული სოციალური მუშაკების თქმით, გურიაში ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანა თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ უკავშირდება მხოლოდ ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და სიღარიბეს. რესპონდენტები ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში გადაყვანის ძირითად მიზეზად სწორედ მშობლების დისფუნქციურობას ასახელებენ. როგორც კვლევის შედეგებიდან იკვეთება, ძირითადად, ის მშობლები, რომელთა შვილებიც გადაყვანილ იქნენ სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებენ ბავშვთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და, შესაბამისად, მათ დაკმაყოფილებას. ეს შეიძლება გამოვლინდეს მშობლის უყურადღებობით ბავშვის საგანმანათლებლო და/ან ჯანმრთელობის კუთხით არსებული გამოწვევების მიმართ. სოციალური მუშაკების თქმით, ხშირ შემთხვევაში, შემთხვევის გაცნობის/გამოკვლევის შემდეგ იკვეთება, რომ პრობლემა შემდეგია – მშობელი არ ფლობს ინფორმაციას ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილების გზების შესახებ. რესპონდენტების თქმით, ერთი შეხედვით, მარტივი შემთხვევა დიდ სირთულეებს უკავშირდება, რადგან პრობლემას წარმოადგენს არა თავად ფაქტი, რომ მშობელი ვერ აკმაყოფილებს შვილის საჭიროებებს, არამედ ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზი, რომ **მშობელი ვერ იაზრებს ზემოაღნიშნული საჭიროების მნიშვნელობას და მისი დაკმაყოფილების აუცილებლობას.** ამ ნაწილში, სოციალური მუშაკების გამოცდილებით, მხოლოდ საუბარი მშობელთან დიდ შედეგს არ იძლევა. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დგება ბავშვის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში გადაყვანა. სოციალური

მუშაკების თქმით, ხშირია ბავშვების მხრიდან მავნე ნივთიერებების მოხმარება, რის კონტროლის მექანიზმებიც მშობლებს არ აქვთ.

„ჩვენთან, გურიაში, არც ერთი ბავშვი არ არის გამოყვანილი [ოჯახიდან] სიღარიბისა და სიღატაკის გამო. ძირითადი პრობლემა არის ზუსტად მშობლის უუნარობა“ (სოციალური მუშაკი).

„ოჯახიდან ბავშვის გამოყვანა დაგვჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლებს არ ჰქონდათ ბავშვზე ზრუნვის უნარები. ისინი შშმ პირები იყვნენ, ოღონდ ისეთი ხარისხის არა, გადაწყვეტილების მიღების უნარი რომ არ ჰქონოდათ. მათ შემოსავალი ჰქონდათ, ყველაფერი ჰქონდათ. ჩვენც ვმუშაობდით, თუმცა არ შეეძლოთ, [უზრუნველეყოთ] ელემენტარული ჰიგიენის ნორმების დაცვა ბავშვებისთვის. ან, მაგალითად, ბავშვი დილიდან საღამომდე, მთელი დღე... სათევზაოდ იყო წასული. არ მოიკითხავდნენ, სად იყო ბავშვი, ან რას აკეთებდა. არ აინტერესებდათ, რა ეცვა ან რანაირად... სეზონს თუ შეესაბამებოდა“ (სოციალური მუშაკი).

„გვყავს ისეთი მშობლებიც, რომლებზედაც ვერ ვიტყვით, რომ უნარები არ აქვთ, მაგრამ თავიანთი შვილების მიმართ აშკარა უდარდელობას იჩენენ. მაგალითად, მთელი დღე მშობელი იმყოფება სკოლაში – ხან დირექტორის კაბინეტში, ხან მასწავლებელთან. რატომ? იმიტომ რომ ბავშვი ვერ წყნარდება. მშობელი ჩართულია, ყოველდღიურად დადის სკოლაში, ამბებს იგებს, მაგრამ ერთ რამეს არ აკეთებს – ყველა ეუბნება, რომ ბავშვი მისაყვანია ექიმთან, რათა დაუნიშნოს რაღაც წამალი, დამამშვიდებელი, რადგან ეს შეიძლება იყოს მისი გადამრჩენელი, თუმცა მშობელს ის მაინც არ მიჰყავს ექიმთან. სოციალური მუშაკი ურეკავს, ფსიქოლოგი ურეკავს. ვეუბნებით, ვუხსნით, ვხვდებით, ვესაუბრებით, რომ ეს უნდა გააკეთო, მაინც არ აკეთებს. აგერ უკვე, 20 დღეა, ვმუშაობთ მე და ფსიქოლოგი დედასთან, რომ ბავშვი წაიყვანოს, მაგრამ ვერ მივაღწიეთ. ამბობს... ჩემს შვილს არ სჭირდება არანაირი ექიმი და არანაირი დახმარებაო“ (სოციალური მუშაკი).

„დარეკა სამშობიარო სახლიდან თანამშრომელმა და გვეუბნება, გააჩინა ბავშვი დედამ, თუმცა მან არ იცის არც წერა, არც კითხვა, არც საკუთარი ასაკი, არც უფროსი ორი შვილის ასაკი. ორი უფროსი გამოვიყვანეთ ოჯახიდან, ეს პატარა კი დავტოვეთ, რადგან მისი საჭიროებების უზრუნველყოფას ახერხებდნენ“ (სოციალური მუშაკი).

„მქონდა შემთხვევა, პლანის ზემოქმედების ქვეშ იყო გადმოყვანილი პოლიციაში მოზარდი, რომლის მშობლები წასულები იყვნენ შრომით მიგრაციაში და იგი იზრდებოდან მოხუც ბებია-ბაბუასთან. გადმოყვანისას იგი იყო ლუდისა და პლანის ზემოქმედების ქვეშ. ისინი არ თვლიდან ამას პრობლემად. დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნებოდა პირველი და უკანასკნელი შემთხვევა“ (სოციალური მუშაკი).

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, ისინიც, სოციალური მუშაკების მსგავსად, მეტწილად, ყურადღებას ამახვილებენ იმ ოჯახებზე, რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარი ბიუჯეტის სწორად განკარგვას, ბავშვის მინიმალური ჰიგიენური და საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები დისფუნქციაზე საუბრისას არ განიხილავენ მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს და აღნიშნავენ, რომ მატერიალური მდგომარეობა ხშირად სულაც არ არის სხვადასხვა დისფუნქციის განმაპირობებელი, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხება ბავშვის ჰიგიენური საჭიროებების დაკმაყოფილებას. რესპონდენტები ცალსახად აღიარებენ, რომ მნიშვნელოვანია, მშობლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რაც მათ დაეხმარებათ მშობლობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში.

„სამწუხაროდ, გვყავს ისეთი მშობლები, რომლებიც, მაგალითად, სოციალურს ღებულობენ და იმის მაგივრად, რომ მოახმარონ მისი დანიშნულებით, სულ სხვა რაღაცას ახმარენ. მაგრამ რა ვიცი. კონფლიქტს რომ მოვერიდოთ, მე ვერ მივცემ მაგაზე შენიშვნას“ (სკოლის წარმომადგენელი).

„შეიძლება ამას არ უნდა ვლაპარაკობდე მორწმუნე ადამიანი, მაგრამ როდესაც ბავშვს ასდის სუნი, თვითონ ბავშვებსაც არ სურთ კონტაქტი“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

„შეიძლება სოციალურად დაუცველები უფრო სუფთად და გაწიკწიკებულად მოჰყავდეთ, ვიდრე აი, რომ ასდით და გადასდით; ისეთები მოვლენ რომ, აი, გაგიჟდები და მშობლები ისეთი გაპრანჭულები არიან. ესე იგი ბავშვისთვის უნდა მოიცალო“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

„ჩვენს ჯგუფში ერთი ბავშვი იყო, რომელსაც თავი არ ჰქონდა მოწესრიგებული, აი, დაბანილი საერთოდ. მშობელს ექთანმა უთხრა, რომ ძალიან გთხოვთ, თავი მოუწესრიგოთო. მშობლის გასაოცარი პასუხი იყო, იცით, რაო, მე ზამთარში ჩემს არც ერთ შვილს არ ვბან თავსო, იმიტომ რომ მეშინია, არ გამიცივდესო. კატეგორიული უარი გვითხრა, ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ მე ჩემს შვილს თავს არ დავბანო. ეს სოციალურზე არაა, ეს არის რაღაცა აკვიატება მშობლის, რომელსაც ჰგონია, რომ [ამით მის შვილს] რაღაცა დაუშავდება“ (საბავშვო ბაღის წარმომადგენელი).

მიგრაცია და ბავშვთა შრომა

როგორც სოციალური მუშაკები და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, მათ სოფლებში ხშირია ბავშვების სეზონური შრომითი მიგრაციის ფაქტები. რესპონდენტების თქმით, მე-9 და უფრო მაღალი კლასების მოსწავლეები, ძირითადად,

მშობლებთან ერთად თურქეთში გადადიან სამუშაოდ. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ეს მეტწილად დამახასიათებელია აჭარული თემით დასახლებული სოფლებისთვის. სოციალური მუშაკების თქმით, ასეთ შემთხვევებში ირღვევა ბავშვის როგორც განათლების, ისე ჯანმრთელობის და სხვა უფლებები. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ისინი ვალდებულნი არიან, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, ეს ასახონ შესაბამის დოკუმენტაციაში, რის შესახებაც ოჯახიც და ბავშვის არის ინფორმირებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგების თქმით, ბავშვები ამჯობინებენ თურქეთში წასვლას და მუშაობას, რადგან ასე გამოიმუშავებენ თანხას, რომელსაც თავად მოიხმარენ საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როცა ოჯახი ამას ვერ ახერხებს. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვნები გამოხატავენ პროტესტს, როდესაც მათ სოციალური მუშაკები და/ან საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები ესაუბრებიან, ზოგადად, ბავშვთა შრომითი მიგრაციის უარყოფით მხარეებზე.

ბავშვთა უფლებები ირღვევა მაშინაც, როცა მშობლები გადიან საზღვარგარეთ სამუშაოდ და შვილებს ტოვებენ სოფლად. ასეთ შემთხვევაში, ხშირად შეინიშნება ბავშვთა მხრიდან აგრესიული ქცევა, სტრესისა და დეპრესიული განწყობის მატება, ფსიქოემოციური ფონის დამძიმება, რაც ნეგატიურად აისახება მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვრის დატოვება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. როგორც რესპონდენტები იხსენებენ, საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ზოგიერთ მათგანს შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივი ფულადი დახმარება.

„ჩემს შემთხვევაში იყვნენ 17 წლის მოზარდები, რომლებიც ამბობდნენ, რომ თქვენ ვინ გეკითხებათ, საერთოდ, მე სად დავსაქმდებიო (გულისხმობდნენ თურქეთში სეზონურ სამუშაოებზე გასვლას); ქვეყანა მე არ მეხმარება სწავლის საფასურის გადახდაშიო, იმხელა გადასახადიაო, შემოსავალი არაფერი არ აქვთო მშობლებსო, ვისი რა საქმეა, მე სად დავსაქმდები ფიზიკურადო. ის მოპოვებული ფული ხომ ისევ ჩვენს ქვეყანაში მომაქვსო, სხვაგან ხომ არ მიმაქვსო. ჰოდა, რამდენი სოციალური მუშაკიც არ უნდა გამომიგზავნოთ, მე მაინც ამას ვიზამო, იმიტომ რომ ჩემი აზრი მაქვს და თავად გამოვხატავ, რა მინდაო“ (სოციალური მუშაკი).

„გოგოებმა იჩხუბეს ერთმანეთთან. უხამსი სიტყვები ეძახეს ერთმანეთს, თმებში სწვდნენ, დაკბინეს და დაკაწრეს ერთმანეთი. როცა მივედი პოლიციის განყოფილებაში, ერთ-ერთი მათგანისთვის მოითხოვეს საპროცესო წარმომადგენელი. როდესაც ჩავეძიეთ, აღმოჩნდა, რომ, მე ვისაც წარმოვადგენდი, მისი მშობლები იყვნენ წასულები სეზონურ სამუშაოზე თურქეთში. ამ გოგოს ჰყავდა დატოვებული 10-12 წლის ძმა, 5 ძროხა, ქათმები, სოფლის მეურნეობა, ნუ, მთელი ოჯახი. ძირითად საქმეს ეს გოგო აკეთებდა, დილიდან წველიდა ძროხებს, ალაგებდა, საჭმელს აკეთებდა და სკოლაში მასწავლებელმა დაახასიათა, როგორც ცუდი მოსწავლე. თუმცა, როგორ ისწავლიდა ეს ბავშვი, ან სოციალურად რამდენად

იქნებოდა ადაპტირებული, როდესაც მთელი ოჯახი მასზე იყო. როდესაც ვკითხე მასწავლებელს, თქვენ იცოდით, მშობლები წასულები რომ იყვნენ-მეთქი, კიო, კაცოო, როგორ არა, დედამისი და მამამისი, წლებია, ასე დადიან და, ზოგადად, ჩვენთან ბევრია მასე წასულიო“ (სოციალური მუშაკი).

საყურადღებოა ისიც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგიერთი წარმომადგენელი ვერ აღიქვამს პრობლემად მოსწავლის შრომით მიგრაციას. ისინი მიიჩნევენ, რომ ამგვარად ბავშვს უვითარდება შრომისადმი სწორი დამოკიდებულება, მშობლების პატივისცემა და დაფასების უნარი. შესაბამისად, მათი თქმით, ხშირ შემთხვევაში, ხელსაც უწყობენ ბავშვებს, რომ მათ საზღვარგარეთ სხვადასხვა სამუშაოს შესრულება შეძლონ.

„იყო შემთხვევა, როცა საექსკურსიო გასვლები გვქონდა. უთხოვიათ ბავშვებს, გადასულან თურქეთში, სტატუსი შეჩერებიათ. ერთი თვე შეგვიწყვია ხელი. სემესტრის ბოლო თვეში ხდებოდა ეს, სკოლის მოხსნამდე 15 დღით ადრე, ბავშვები წასულან, უმუშავიათ, რომ ამ ფულით წამოსულიყვნენ ექსკურსიაზე. სტატუსი შეჩერებიათ, არც ამის წინააღმდეგი ვყოფილვარ. ხელი შეგვიწყვია, იმიტომ რომ ეს ხდებოდა მშობლების... და ბავშვების სურვილით“ (სკოლის წარმომადგენელი).

გარდა შრომითი მიგრაციისა, არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნები (მეტწილად – სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებიდან) საქმდებიან დღიურ სამუშაოებზე მუნიციპალიტეტში. რესპონდენტები თავად ჰყვებიან, რომ მათი შვილები მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო იძულებულნი ხდებიან, გააცდინონ სკოლა და შეასრულონ დღიური სამუშაო, რომელიც, ძირითადად, ფიზიკურ ძალას მოითხოვს. მიღებულ შემოსავალს ბავშვები, მეტწილად, ისევ საკუთარი განათლების პროცესის უზრუნველსაყოფად ხარჯავენ.

„ჩემი ბიჭი ახლა ხომ სწავლობს აქ, შაბათ-კვირას სოფელში თუკი რამე სამუშაო გამოჩნდება, ხედავს, რომ არ მაქვს საშუალება, ვიცი, დედა, რომ არ გაქვსო, და შაბათ-კვირას მუშაობს და თავის გზის ფულს და ჭამის ფულს თვითონ გამოიმუშავებს“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„ტელეფონი არ აქვს და ონლაინ-გაკვეთილებს ვერ ესწრებოდა ჩემი შვილი და ტელეფონი რომ ეყიდა, ამდგარა და წამოსულა ქალაქში და ტაჭკაზე დაუწყია მუშაობა, რომ ფული შეეგროვებია და ტელეფონი ეყიდა. რომ ვერ ესწრებოდა დისტანციურ გაკვეთილებს, პროგრამას ჩამორჩა, ეხლა კი დაეწია უკვე, მაგრამ რომ ვერ ერთვებოდა, გული მტკიოდა, თვითონაც გულდაწყვეტილი იყო. ერთი თვეა, რაც ტელეფონი შევიძინეთ. რომ მუშაობდა, მასზე ვიყავით დამოკიდებული, მაგრამ ნახეთ, რამდენი ხანი გამოუვიდა მუშაობა და რამდენ რამეს ჩამორჩა ამ დროში“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„იყო შემთხვევები, ბავშვები მუშაობდნენ. ჩემი ერთ-ერთი მოსწავლის მამა შემდუღებელი იყო. ის ბავშვი ბიჭია, ეხმარებოდა, მაგრამ ვიცოდით, გვაფრთხილებდნენ, რომ კვირაში ერთი დღე მამას დაეხმარებოდა და, სხვათა შორის, არც ვიყავით წინააღმდეგი, იმიტომ რომ შრომაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ“ (სკოლის წარმომადგენელი).

სახელმწიფო სოციალური პროგრამები და მათი ეფექტურობა

კვლევაში ჩართული სოფლის რწმუნებულები და მათი წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა მიზნობრივ დახმარებას, ძირითადად, ფულადს. რესპონდენტები ასახელებენ შემდეგ პროგრამებს: მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება, დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დახმარება, მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა, ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებული პირების დახმარების პროგრამა, შშმ პირთა 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყოველთვიური დახმარება მედიკამენტების შეძენისთვის, ერთჯერადი დახმარებები წლის განმავლობაში შშმ ბავშვებისთვის, 1 წლამდე ახალშობილთა დახმარების პროგრამა, დახმარება უსახლკარო ოჯახებისთვის. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პროგრამების ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები; შესაბამისად, რესპონდენტების თქმით, ისინი ხშირად ვერ აკმაყოფილებენ პროგრამის პირობებს და რჩებიან დახმარების მიღმა.

„ჩვენ გვაქვს, ძირითადად, ორი პროგრამა. ეს არის გადაუდებელი დახმარების პროგრამა და კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. მაგრამ სხვა მიზნითაც აკეთებენ მომართვებს, მაგალითად, სახლის მშენებლობაზე, სახლი მოგვიძიეთ, ან ბინაში განგვათავსეთ სოციალურ სახლშიო, და ა.შ., მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამ ორი პროგრამის ფარგლებში ვთავაზობთ დახმარებას. თუმცა, ჩვენთან რომ მოდიან, ჩვენ ვამისამართებთ გამგეობაში, იმიტომ რომ იქ აქვთ სხვადასხვა პროგრამები“ (სოციალური მუშაკი).

საყურადღებოა ისიც, რომ სოფლის რწმუნებულები და მათი წარმომადგენლები არ ფლობენ ზუსტ სტატისტიკურ ინფორმაციას, რამდენი ოჯახი საჭიროებს მათ სოფელში მიზნობრივ დახმარებას. შესაბამისად, არც იმას გამორიცხავენ, რომ არსებული პროგრამების მიღმა, შესაძლოა, სოფელში ოჯახების გარკვეული რაოდენობა დარჩეს და ვერ ისარგებლოს სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებით. თუმცა, რესპონდენტების თქმით, ისინი იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა გზას, რომ დაეხმარონ თავიანთ სოფლებში მცხოვრებ ოჯახებს. ამისთვის პროცესში რთავენ ბიზნესმენებს, ატარებენ ადვოკატირების კამპანიებს და იხსენებენ, რომ ამ გზით გადაუჭრიათ სხვადასხვა პრობლემა, როგორიცაა, უსახლკარო ოჯახისთვის სახლის შეძენა, რემონტი და სხვ.

„ხშირად გვქონდა პრობლემა, მოგვეძიებინა, სოციალურად დაუცველი რამდენი ოჯახი ან ბავშვი იყო სოფელში. მაშინ სოციალური სააგენტოდან გვითხრეს, რომ უნდა გამოვითხოვოთ

და ჩვენ წვდომა არ უნდა გვქონდეს ამ გაზაზე. უნდა ვიცოდე, ვინ საჭიროებს სოფელში სოციალურ დახმარებას, რადგან, რაც არ უნდა დახმარება დასჭირდეს, განცხადება ჩვენგან იგზავნება. ამიტომ, მე მგონია, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს წვდომა ამ გაზებზე" (მერის წარმომადგენელი).

„მქონია ისეთი შემთხვევებიც, მაგალითად, ვინმე ვერ მოხვედრილა იმ პროგრამებში და სარეიტინგო ქულებში, [რადგან] შეიძლება რაღაც მომენტში განცხადება ვერ დაწერა, პრობლემები შეექმნა ოჯახს. ასეთი შემთხვევები მქონია ბევრჯერ და მერთან შეთანხმებით სარეზერვო ფონდიდან რაღაც დახმარებები გაგვიცია და ასე მოგვიგვარებია პრობლემა" (მერის წარმომადგენელი).

კვლევის ფარგლებში, ასევე, გამოიკვეთა გამოწვევები ადგილობრივ დონეზე ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით. ამ საკითხზე ყურადღებას, მეტწილად, სოციალური მუშაკები ამახვილებენ და აღნიშნავენ, რომ სოფლის რწმუნებულები არ ფლობენ ინფორმაციას სოფლის მოსახლეობის საჭიროებების და მათი დაკმაყოფილების გზების შესახებ. მეტიც, აღნიშნავენ, რომ ისინი, უმეტეს შემთხვევაში, არასდროს მიმართავენ სოციალურ მუშაკებსა და სააგენტოს და იშვიათად ახდენენ რეფერირებას ოჯახების მხარდაჭერის მიზნით. სოციალური მუშაკები თვლიან, რომ სოფლის რწმუნებულები არ იცნობენ ინფორმაციას ზრუნვის სააგენტოს (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო) ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.

„უმეტესად, ჩვენ ვაწვდით იქით ინფორმაციას [სოფლის რწმუნებულებს]. ჩვენთან შემოვა შეტყობინება და შეფასების პროცესში რომ ვერთვებით, ვუკავშირდებით, რომ მათგანაც მივიღოთ გარკვეული ინფორმაცია. ისინი კი უმეტესად გვპასუხობენ, კარგი, მოვიკითხავ, ასეთი ადამიანი ჩვენთან თუ ცხოვრობსო" (სოციალური მუშაკი).

„ერთხელ დავურეკეთ [სოფლის რწმუნებულს] ერთ-ერთ ოჯახზე. დიდხანს ვმუშაობდით, მაგრამ ჩვენმა ჩარევამ შედეგი არ გამოიღო. გადავწყვიტეთ, რომ ბავშვი უნდა გამოვიყვანოთ ოჯახიდან და აქ წამოვიდა გამგებლის უკმაყოფილება, რომ უჩემოდ როგორ ბედავთ ბავშვის ოჯახიდან გაყვანასო. იმასაც ვერ მიხვდა, რომ ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში იყო მის სოფელში ოჯახი. ამაზე მე კი არ უნდა მიმემართა მისთვის, მას უნდა დაერეკა და ეცნობებინა ჩვენი სამსახურისთვის. და ეს ხდება იმიტომ, რომ მინიმალური ინფორმაცია აქვთ სოფლად მცხოვრები ოჯახების შესახებ. თუმცა, ყველაზე ამას ვერ ვიტყვი" (სოციალური მუშაკი).

„ჩემს შემთხვევაში, სოციალური მუშაკის როლი და ფუნქცია საერთოდ არ ჰქონდა გაგებული იმ წარმომადგენელს. სოციალური მუშაკი და სოციალური აგენტი ერთი ჰგონია. ისევე, როგორც არ იციან, რომ კონკრეტული ფაქტი, მაგალითად, ძალადობაა... მშობელმა შვილს დაარტყა, მერე რა მოხდაო" (სოციალური მუშაკი).

„ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება არის მნიშვნელოვანი, თუნდაც იმ დონეზე, რომ იცოდეს, ზრუნვის სააგენტოს რა ფუნქციები აქვს და რა ტიპის შემთხვევები შეიძლება გადმოამისამართოს ჩვენთან. ეს უნდა იცოდნენ. გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობას ფუნქციურად უნდა დაემატოს ეს, არ ვიცი – როგორ, მაგრამ, აი, ვალდებულებაში უნდა ჩაიდოს, რომ, როდესაც ჰყავს ასეთი დისფუნქციური ოჯახი, უნდა გადმოამისამართოს“ (სოციალური მუშაკი).

რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არსებული სოციალური პროგრამები არ არის საკმარისი. როგორც თავად ამბობენ, ისინი მუდმივად ცდილობენ, მოიპოვონ ინფორმაცია სხვადასხვა მიზნობრივი დახმარების შესახებ, მაგრამ საბოლოოდ, უმეტეს შემთხვევაში, ან ვერ აკმაყოფილებენ პროგრამის მოთხოვნებს, ან კონკრეტული დახმარება არ არის საკმარისი არსებული პრობლემის გადასაჭრელად. ეს განსაკუთრებით ეხება ჯანმრთელობის დაცვას.

„მივედი გამგეობაშიც, ვთხოვე, დამიფინანსეთ, თავი აქვს გადასაღები ბავშვს-მეთქი. რაც მე საბუთებზე ვიწვალე, მივედი და, ერთ თვეში იქნება დაფინანსებაო. მე ეხლა მიჭირს, ეხლა სტკივა ამ ჩემს შვილს თავი და ერთი თვის მერე რა ჯანდაბად მინდა დაფინანსება? თავში სისხლი რომ არ ჩაექცეს ბავშვს, ხომ შეიძლება? ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს საერთოდ რომ არ დარდობენ, ეგ არის“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„30 ბავშვი არის სულ გურიის რეგიონში, რომლებსაც ჩემი ბავშვივით ძვალკუნთოვანი სისტემის სისუსტე აქვს და თავში სისხლ-ძარღვების გაფართოება-შევიწროება. ყველა ამოიღეს პროექტიდან ამ წელს. არ არის მაგაზე დაფინანსებაო“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

საბოლოო ჯამში, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი მთავარი გამოწვევა არის სამუშაო ადგილების სიმცირე და ასევე ისიც, რომ თუნდაც მცირეოდენი სამუშაოს ანაზღაურების დაფიქსირების შემდეგ ოჯახს ეხსნება სოციალურად დაუცველის სტატუსი. აქედან გამომდინარე, რესპონდენტები აღიარებენ, რომ მათ არ გააჩნიათ რომელიმე სამსახურში დაცულობის და სტაბილურობის შეგრძნება და ამიტომ ვერ იწყებენ მუშაობას. ამას გარდა, მათ არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ იპოვონ მაღალანაზღაურებადი სამსახური. ამის გამო ამჯობინებენ, გარანტირებულად ჰქონდეთ სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივი დახმარება, როგორც შემოსავალი, თუნდაც ეს მინიმალური იყოს. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მათ არ სურთ, დამოკიდებულნი იყვნენ მხოლოდ სახელმწიფოზე, გამოთქვამენ მზადყოფნას, იმუშაონ, თუმცა იმგვარი ანაზღაურებით, რომ შესაძლებელი იყოს ოჯახის რჩენა. ამას გარდა, ზოგიერთი რესპონდენტი მსჯელობს მიკროგრანტებზე, როგორც მეწარმეობის წამოწყების შესაძლებლობაზე. გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა მცირე ნაწილი დაინტერესებულია მსგავსი პროგრამებით; თუმცა, მათი

უმეტესობა არ ფლობს საკმარის ცოდნასა და უნარს, მოამზადოს პროექტი, შექმნას ხარჯთაღრიცხვა და ა.შ. შესაბამისად, ისინი ვერ სარგებლობენ მსგავსი შესაძლებლობით.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სოციალურად მძიმე პირობების მქონე მოსახლეობა ხშირად გამოირჩევა სიზარმაცით და ისინი სახელმწიფოს მხრიდან მიღებულ თანხას სწორედ იმიტომ სჯერდებიან, რომ არ სურთ შრომა. ამის საპასუხოდ, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მათთვის მართლაც იქნებოდა დამხმარე საშუალება, მაგრამ ისინი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, კერძოდ, ქიმიური დანამატების (სასუქის), ნერგების და ა.შ. შეძენასთან.

„...ცოტა ზარმაცები არიან [მიზნობრივი დახმარების მიმღები ოჯახები], თითქმის ყველა სოფელში ვყოფილვარ ოზურგეთში. სამეგრელოში, მაგალითად, ბოსტანს და ყანას გაზაფხულზე დაუმუშავებელს ვერ ნახავ“ (სოციალური მუშაკი).

„აი, მე მაქვს სათბური ძველებური რკინის კონსტრუქციით და მინდა, რომ მარწყვის კულტურა გავაშენო. მაქვს გადახურვის საშუალება. აი, ვთქვათ, ამაშიც რომ დამეხმარონ. მარწყვის ტერასებს გავაკეთებ. ლიმონარიუმი იყო ადრე. აღარ გვაქვს ახლა. არაჩვეულებრივი რკინის კონსტრუქციაა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„სახელმწიფომ ფული კი არ დაგვირიგოს, შეგვაძლებინოს ჩვენი ხელით შრომა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

„კლიენტი ხომ მყავს მე, ყვავილებს ვაბარებ, იმას ყველა სეზონზე უნდა ყვავილი და ყველა სეზონზე ვერ მივაწოდე, იქიდან გამომდინარე, რომ დავთესე, მაგრამ თესლიც გამიფუჭდა და ყვავილიც. იმ სათბურში ვერ ეტევა და ამაში ხელშეწყობა გვინდა. არც ერთი მშობელი არაა ზარმაცი, არც ერთი მშობელი არ უყურებს, რომ სხვას რამე გამოართვას. მეზობელთან 1 კილო შაქარი ან ნახევარი, ან 1 ჭიქა შაქარი მომეციო, რომ გადახვალ, მეორედ არც ერთი ქალბატონი არ მივა მეზობელთან. გვინდა სახელმწიფოდან დახმარება, მეტი არაფერი. ფული მოგვცეს კი არა, ჩვენს შრომაში, რასაც ვაკეთებთ, მაგაში გვინდა ხელის შეწყობა“ (მშობელი, სოციალური შემწეობის მიმღები პირი).

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მათ გარშემო მხარდაჭერის ქსელი თითქმის არ არსებობს. შესაბამისად, მათ, საკუთარი თავის და ოჯახის წევრების გარდა, არავის იმედი არ აქვთ. თუმცა, უფრო ძლიერი მხარდაჭერის ქსელის არსებობაზე საუბრობენ ოჯახების წარმომადგენლები, რომლებიც არ საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივ დახმარებას. მხარდამჭერებად ისინი, ოჯახის წევრების გარდა, მოიაზრებენ მეგობრებს, ნათესავებს, ადგილობრივ ხელისუფლებას (თუ ამის საჭიროება დადგა) და თემის წარმომადგენლებს.

რეკომენდაციები:

1. საკანონმდებლო ცვლილებები

მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის სფეროში. ამიტომ სასურველია, საქართველოს კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ შევიდეს ცვლილებები, რითაც გაიზრდება მუნიციპალიტეტების როლი და უფლებამოსილება მოსახლეობისათვის, კერძოდ, მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახებისთვის მიზნობრივი მხარდამჭერი სისტემის შექმნისა და სოციალური კეთილდღეობის გარანტიების შექმნის მიმართულებით. ამ ეტაპზე მოცემული სფერო არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას, შესაბამისად, ყველა ღონისძიება ნებაყოფლობითი ხასიათისაა (იხ. მიმაგრებული დოკუმენტები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები, ბავშვის უფლებები და ადგილობრივი თვითმმართველობა).

2. საჭიროებათა კვლევის ინსტრუმენტები

მოცემული საკანონმდებლო ცვლილებები შექმნის საფუძველს, რომ მუნიციპალიტეტებმა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სტრუქტურული ერთეულების/სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით, დადგენილი პერიოდულობით, სპეციალური მეთოდოლოგიით (ინსტრუმენტით) შეისწავლონ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებები, რათა დაეხმარონ ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული მხარდამჭერი სისტემების (პროგრამების/მომსახურებების) განვითარებას. მოცემული სისტემის განვითარება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბავშვიანი ოჯახებისთვის მდგრადი, გრძელვადიანი მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბებას, რაც სასიკეთო ზეგავლენას იქონიებს მათი დისფუნქციების დაძლევასა და სოციალური ფუნქციონირების დონის ამაღლებაზე.

არსებობს ადგილობრივ დონეზე საჭიროებების მოძიების სხვა მეთოდიც, კერძოდ, კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ მერის წარმომადგენლები სოფლად, ხშირ შემთხვევაში, არ ფლობენ ინფორმაციას თავიანთ თემებში მცხოვრები მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების რაოდენობის, მათი საჭიროებების შესახებ. მეტად მნიშვნელოვანია მერის წარმომადგენლის ინსტიტუტის გაძლიერება და მისი როლის გაზრდა თემში მცხოვრები მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით. ამ მიზნით უნდა გადაიხედოს მერის წარმომადგენლის ფუნქცია-მოვალეობები. შესაძლებელია, მათ დაევალოთ სპეციალური ინსტრუმენტის (მაგალითად, კითხვარი) საშუალებით მუნიციპალიტეტის ფარგლებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ინფორმაციის შეგროვება ყოველწლიურად. ხოლო მოძიებული ინფორმაცია გაანალიზდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ.

3. სოციალური პროგრამის განხორციელების სტანდარტი

ვინაიდან საჭიროებებზე დაფუძნებული მხარდამჭერი სისტემების განვითარება მუნიციპალიტეტებისთვის სიახლეს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა დაამტკიცონ სოციალური პროგრამების დაგეგმვისა (მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების მოძიება და ანალიზი; პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, პროგრამული ღონისძიებების ჩამოყალიბება) და განხორციელების სტანდარტი (წესი), რაც დაეხმარება ყველა ჩართულ მხარეს სოციალური პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებისას იხელმძღვანელონ დადგენილი რეგულაციებით.

4. ოჯახის გაძლიერების სტრატეგია

თუკი მუნიციპალიტეტებისთვის მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახები პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფი გახდება, მნიშვნელოვანია, ამ სახელმწიფო ორგანოებმა დაამტკიცონ ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული სისტემის განვითარების სტრატეგია, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო წლის დაგეგმვისას ახალი მხარდამჭერი პროგრამებისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზებას და საბიუჯეტო სოციალური პროგრამების ყოველწლიურ განვითარებას.

2. მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი სისტემა

მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი სისტემის ერთ-ერთ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს ოჯახებისთვის საკონსულტაციო-საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც კომპლექსური საჭიროებების მქონე ოჯახებს დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში, დასაქმებაში, შვილების აღზრდასა და განვითარებაზე ორიენტირებული საჭიროებების დამოუკიდებლად დაკმაყოფილებაში. აღნიშნულის პრიორიტეტულობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის რესპონდენტები, მეტწილად, მრავალშვილიანი და/ან მარტოხელა მშობლები არიან.

საკონსულტაციო-საგანმანათლებლო მხარდაჭერა

მნიშვნელოვანია, ადგილობრივ თემში მცხოვრებ მშობლებს ხელი მიუწვდებოდეთ საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც საშუალებას მისცემთ, არამარტო მიიღონ ინფორმაცია მშობლის ვალდებულებებზე საერთაშორისო/ადგილობრივი კანონმდებლობით, არამედ შეიძინონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, ასევე გაეცნონ აღზრდის თანამედროვე

მეთოდებსა და ოჯახის დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ საკითხებს, როგორიცაა:

- მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მშობლის ვალდებულებები;
- ბავშვის განვითარების დამცავი და ხელი შემშლელი ფაქტორები;
- მშობლობის უნარ-ჩვევები (საბაზისო და განვითარებაზე ორიენტირებული საჭიროებების დაკმაყოფილება);
- ბავშვის ასაკობრივი განვითარების საჭიროებები;
- პოზიტიური აღზრდის მეთოდები;
- ბავშვთან/მოზარდთან კომუნიკაციის თავისებურებები;
- ბავშვის ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვა;
- ბულინგის რაობა და მასთან ბრძოლის სტრატეგიები;
- რთული ქცევა და მისი მართვის სტრატეგიები;
- მშობლების დადებითი დამოკიდებულება და პოზიტიური განწყობა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- ბავშვთა უფლებები;
- სოციალური/ჯანმრთელობის დაცვის მხარდამჭერი სისტემები;
- ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა;
- დისფუნქციური ოჯახები, ოჯახის ფუნქციონირების ხელის შემშლელი ფაქტორები;
- საზიანო შრომის ზეგავლენა ბავშვის განვითარების ასპექტებზე;
- მშობელთა შრომითი მიგრაციის ზეგავლენა ბავშვების აღზრდა-განვითარებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების პერსპექტივებზე;
- მოტივაციის ამაღლება მშობლებში საკუთარი რესურსების/პოტენციალის გაძლიერებისა და რეალიზების მიმართულებით.

3. ადგილობრივი რესურსების გაძლიერება

3.1. მშობლისა და ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერება. მნიშვნელოვანია, ადგილობრივ თემებში (სოფლებში) ორგანიზება გაეწიოს საჯარო დისკუსიებსა და საინფორმაციო შეხვედრებს, რომელთა მონაწილენიც იმსჯელებენ ბავშვისა და ოჯახის მხარდამჭერ სისტემებზე, ოჯახისა და მშობლის როლის მნიშვნელობაზე ბავშვის აღზრდის პროცესში. ამ შეხვედრებზე მშობლები თავად ისაუბრებენ იმ გამოწვევებზე, რომელთა პირისპირ აღმოჩნდნენ ამ მიმართულებით. ამ პროცესში აქტიურად უნდა განიხილებოდეს როგორც მშობელთა, ისე ბავშვთა შრომითი მიგრაციის საკითხები, რადგან, დანარჩენი რეგიონებისგან განსხვავებით, გურიას, ისევე როგორც აჭარას, განსხვავებული რეალობა აქვს მშობელთა/ბავშვთა ხანგრძლივი და სეზონური შრომითი მიგრაციის თვალსაზრისით. სასურველი იქნება, უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნულ პროცესში ბავშვების/მოზარდების ჩართულობა, რომელთაც საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება ექნებათ; ამასთან, განხილვის

შედეგად მატ შეიძლება სწორი წარმოდგენები ჩამოუყალიბდეთ ყველა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

3.2. ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენელთა ცოდნის დონის ამაღლება. მნიშვნელოვანია სხვა ჩართული/დაინტერესებული მხარეების (სკოლის პედაგოგები/ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ბაღის აღმზრდელები/ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური, სსიპ საგანმანათლებლო რესურცენტრი, პოლიცია, სამედიცინო დაწესებულებების (სოფლის ექიმი, ამბულატორიის ექიმი) წარმომადგენლები) ჩართვა პრევენციის მიზნით დაგეგმილ საგანმანათლებლო კამპანიებში/შეხვედრებში, რაც საშუალებას მისცემს მოცემული სტრუქტურების წარმომადგენლებს, დროულად მოახდინონ ბავშვიან ოჯახებში არსებული დისფუნქციების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეფერალის გაკეთება.

მნიშვნელოვანია, ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა გადამზადების სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს ახალი თემატური ბლოკი, რომელიც ეხება მშობელთა შრომითი მიგრაციის ზეგავლენის შედეგებს ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობასა და აკადემიური განათლების მიღებაზე; როგორ აისახება ბავშვთა (არასრულწლოვანთა) განვითარებაზე შრომით საქმიანობაში (როგორც შინამეურნეობებში, ისე შრომითი მიგრაციის პროცესში) მათი ჩართვა.

3.3 სკოლამდელი განათლების დაწესებულებების წარმომადგენელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება. მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა თანამშრომლების/ადმინისტრაციის წარმომადგენლების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ასევე, ზოგადი კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით მიზნობრივი აქტივობების (საგანმანათლებლო ტრენინგები, საკონსულტაციო შეხვედრები, წარმატებული პრაქტიკის სწავლება-გაცნობა) დაგეგმვა-განხორციელება. ასევე, სასურველია მათთვის პრაქტიკული სწავლებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება სკოლამდელი განათლების ასაკის მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირებისა და მხარდაჭერის მიზნით.

მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა და ბავშვების განმავითარებელი საშუალებებით (ფიზიკური/შემეცნებითი/დასასვენებელი აქტივობებისთვის) აღჭურვა, რათა მოცემულ დაწესებულებას, გარდა ზრუნვის კომპონენტისა, ჰქონდეს ბავშვის განვითარების შესაძლებლობები.

3.4 სპეციალისტთა ერთობლივი სწავლება. მნიშვნელოვანია, ადგილობრივ დონეზე ბავშვის უფლებათა კოდექსითა და სხვა სამართლებრივი რეგულაციებით (ბავშვთა დაცვის

მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები) ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სფეროში მულტისექტორული თანამშრომლობის ვალდებულებების სრულყოფილად აღსრულების მიზნით ჩართული სუბიექტების (მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებათა და მხარდაჭერის სამსახური, ზრუნვის სააგენტო, პოლიცია, სკოლამდელი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები) წარმომადგენლებს/სპეციალისტებს პერიოდულად ჩაუტარდეთ ერთობლივი სწავლება სამართლებრივი რეგულაციებით გაწერილ თანამშრომლობის პროცედურებზე, რათა თანდათანობით აღმოიფხვრას განსხვავებული პრაქტიკა და მიდგომები, რომლებიც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება ბავშვის/ოჯახის კეთილდღეობაზე.

3.5. მუნიციპალური სამსახურების გაძლიერება. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტში შექმნილი ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის გაძლიერება ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და დაცვის კუთხით. ასევე, საჭიროა ადგილობრივ დონეზე მცხოვრები მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების დისფუნქციებისა და საჭიროებების დროული გამოვლენის მიზნით ჩამოყალიბდეს მჭიდრო და ურთიერთდახმარებაზე ორიენტირებული თანამშრომლობა ზრუნვის სააგენტოს, ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებსა და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებს შორის.

3.6 მულტისექტორული თანამშრომლობის გაძლიერება. მნიშვნელოვანია, გუბერნატორის აპარატის დახმარებით, ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ფორმატში, შეიქნას სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაშიც ჩაერთვებიან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ადგილობრივი სამსახურის წარმომადგენლები, მიზნობრივი ჯგუფის წევრები და ექსპერტები. სამუშაო ჯგუფის მიზანი იქნება მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების ადგილობრივი/საერთაშორისო პროგრამების წარმატებული პრაქტიკის შესწავლა, რის საფუძველზედაც, ადგილობრივი კონტექსტისა და ტენდენციების კვლევით გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება ბავშვიანი ოჯახებისთვის ახალი მხარდამჭერი პრევენციული პროგრამის/პროგრამების შემუშავება და მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ სოციალურ პროგრამებში მათი ეტაპობრივად ინტეგრირება.

ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია მოცემული კვლევით გამოვლენილი ტენდენციების შეფასება, კერძოდ, იმის გარკვევა, თუ რა უშლის ხელს მოწყვლადი ჯგუფის ბავშვიან ოჯახებს საკუთარი რესურსების რეალიზებასა და შვილების საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ამ კუთხით, დამაბრკოლებელ ფაქტორად იკვეთება მშობლების პროფესიული კომპეტენციის დაბალი ხარისხი და სამუშაო გამოცდილების არქონა; შესაბამისად, ეს ხელს უშლის მათ, შრომის/დასაქმების ღია ბაზარზე

კონკურენტუნარიანი კანდიდატები იყვნენ. ამასთანავე, მათი სრულიად სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ სტაბილური დასაქმების ადგილების მოძიების მიმართ, ამიტომაც ურჩევნიათ, მიზნობრივი დახმარების მიმღებებად დარჩნენ.

3.7 მუნიციპალური პროგრამების შეფასების სისტემა. სასურველია მუნიციპალიტეტების რესურსების გაძლიერება მათ მიერ ადმინისტრირებული სოციალური პროგრამების ეფექტურობის შეფასების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. მოცემული ხელს შეუწყობს, სწორად შეფასდეს პროგრამების მიზნობრიობა, ხარისხი, ასევე, გამოიკვეთოს განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზები. მოცემული ანალიზის შედეგად გამოვლენილი მონაცემები საუკეთესო ინდიკატორები იქნება მომდევნო წლის სოციალური პროგრამების დაგეგმვისთვის, რომლებიც უკეთ უპასუხებს კონკრეტული თემის საჭიროებებს.

მეტად მნიშვნელოვანია, ადგილობრივ თემებში ბავშვებისთვის დაფუძნდეს არაფორმალური განათლების ცენტრები, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალური პროგრამა. აღნიშნული დაეხმარება არა მარტო ბავშვებს, ჩაერთონ ინტერესების შესაბამის აქტივობებში და შინაარსიანად გაატარონ დღე, ასევე ხელს შეუწყობს ოჯახებს, დაზოგონ ხარჯები, რომლებიც გამიზნულია მათი შვილების არაფორმალური განათლებისთვის (მომსახურება, ტრანსპორტირება) .

3.8 მუნიციპალური პროგრამების განვითარება შშმ ბავშვებისთვის. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა თემში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ეტაპობრივად, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ სხვადასხვა მიზნობრივი მომსახურების – რეაბილიტაცია/აბილიტაცია, სპეციალური ასისტენტის მომსახურება – განვითარებას, რათა ამ კატეგორიის ბავშვიან ოჯახებს არ უწევდეთ შვილებისთვის მიზნობრივი მომსახურებების მისაღებად ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ტრანსპორტირება, ასევე, იქ ცხოვრება, ვიზიტი სპეციალისტთან და ა.შ., რადგან ეს ყოველივე დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ხარჯებთან.